ვიტალი ხაზარაძეს საკუთარ ფრაქციაშიც კი არ სწყალობენ A3

„ადამიანური პროექტი„ - უმუშევარი ადამიანებისთვის A6

"ხალხის პირისპირ" - ანკეტა B3

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

ორშაბათი, 20 იანვარი, 2003 წელი. №18 (230)

ფასი 50 თეთრი

## ათი წლის შემდეგაც არ არსებობს ერთიანი პოზიცია

### რაც დღეს აფხაზეთთან მიმართებაში ხდება, მხოლოდ აღრმავებს პრობლემას




საქართველოს ხელისუფლებისგან იმედგაცრუებული დევნილები რუსეთის პრეზიდენტს მიმართავენ.

ბადრი კოპლატაძე

1994 წლის გაზაფხულზე საქართველოს მაშინდელი პარლამენტი აფხაზეთში სამშვიდობო ძალების განლაგების შესახებ ხელშეკრულებას იხილავდა. მოლაპარაკებებზე საქართველოს იმ პერიოდში ჯაბა იოსელიანი წარმოადგენდა. დებატები საკმაოდ ხანგრძლივი იყო. წლების გასვლის მემდეგაც კი, ამ სხდომის ყველაზე ღირსშესანიშნავ მომენტად ჯაბა იოსელიანის და ოპოზიციის სიტყვიერი პაექრობა დარჩა. სამთავრობო შეთანხმების ტექსტში აღნიშნული იყო, რომ სამშვიდობო ძალები მდინარე ენგურიდან 12 კმ-ის მანძილზე უნდა განლაგებულიყო. დავის საგანი კი სამი რუსული სიტყვის "ოტ რეკი ინგური"-ს ქართული ინტერპრეტაცია გახდა. როგორც

გაგრძელება A2 გვერდზე

## აუნთებს თუ არა ამერიკა რუსეთს წითელ შუქს

ეკა კვესიტაძე

დღეს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე მოსკოვში მიემგზავრება ოფიციალური ვიზიტით, რომლის ფარგლებში დაგეგმილია შეხვედრები რუსეთის პარლამენტის ფედერაციის საბჭოს თავმჯდომარე სერგეი მირონოვთან, საგარეო საქმეთა მინისტრ იგორ ივანოვთან, უშიშროების საბჭოს მდივან ვლადიმირ რუშაილოსთან, დუმის თავმჯდომარე გენედი სელეზნიოვთან და სხვა ოფიციალურ პირებთან.

მოლაპარაკებების მთავარი თემა აფხაზეთის კონფლიქტი და სოჭი-სოხუმის რკინიგზის აღდგენა იქნება.

რამდენიმე დღის წინ რუსეთში სპეციალური ვიზიტით მყოფი ტრანსპორტის მინისტრის შეხვედრები მის რუს კოლეგასთან კონკრეტული შედეგების გარეშე დამთავრდა. რუსეთის ოფიციალური პირები არასერიოზულად უდგებიან სოჭი-სოხუმის რკინიგზის აღდგენით ქართველების შეშფოთებას და ქართველ ოფიციალურ პირებსაც, შესაბამისად, არასერიოზული პასუხებით ისტუმრებენ - ამ მონაკვეთზე მატარებლის მიმოსვლა კერძო კომპანიამ აღადგინა და ამაში რუსეთის ხელისუფლება ჩარეული არ არისო; რუსებმა პირობა დადეს, რომ ამის შესახებ მოახსენებენ პრეზიდენტ პუტინს, რომლის ყურამდე ეს ინფორმაცია ჯერჯერობით არ მისულა. საქართველოს ტრანსპორტის მინისტრმა რუსების ასეთ პოზიციას ცინიკური უწოდა.

გაგრძელება A2 გვერდზე

## ჩვეული განგაში საქართველოს ენერგოსექტორში

*დღეს მთელ საქართველოს ბუნებრივი აირის მოწოდება შეუწყდება. ამის მიზეზი ლარსის საზღვრიდან 3 კილომეტრში, რუსეთის ტერიტორიაზე, ამიერკავკასიის სარეზერვო გაზსადენზე მომხდარი ავარიაა, რომლის აღმოსაფხვრელადაც სპეციალისტებს მინიმუმ ერთი კვირა დასჭირდებათ. შეგახსენებთ, რომ ამას წინ უსწრებდა იმავე მონაკვეთზე, მაგისტრალურ გაზსადენზე მომხდარი ავარია. მის აღმოფხვრას რუსეთის გაზის მეურნეობის მუშაკები 25 დღის ვადაში გეგმავდნენ, მაგრამ საქართველოს სახელმწიფო მინისტრის თხოვნით, ეს ვადა ორ კვირამდე შეამცირეს. მანამდე კი, გაზი არ მიეწოდება არც "თბილსრესის" მეცხრე ენერგობლოკს. ამის გამო "ეი-ი-ეს მტკვარი" ენერგოსისტემას 200 მეგავატ სიმძლავრეს ვეღარ მიაწვდის. გაზის მიწოდების შეწყვეტისთანავე საქართველოსთვის 140 მეგავატის მოწოდება შეწყვიტა სომხეთმაც, რომელიც ელექტროენერგიის გამომუშავებისთვის თბოელექტროსადგურებს იყენებს და, ამდენად, მთლიანად რუსეთიდან მიღებულ გაზზეა დამოკიდებული.*

მაია ურუშაძე

გუშინ თბილისში ელექტროენერგიის მიწოდება უკვე შეიზღუდა. დილის 12 საათიდან საღამოს 18 საათამდე, "კავკასიონის" ელექტროგადამცემი ხაზის მეშვეობით რუსეთიდან მიღებული 240 მეგავატი სიმძლავრის ელექტროენერგია (რაც თბილისის მოთხოვნილების ნახევარზე ნაკლებია) შემდეგნაირად განაწილდება: თუ

გაგრძელება A6 გვერდზე

## ქვეყნის ბიუჯეტი - გასახეთქად გაბერილი საპნის ბუშტი

*"საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია" ახორციელებს პროექტს - "გამჭვირვალე ბიუჯეტი". მასში მონაწილე ექსპერტებმა მოამზადეს დასკვნა "საქართველოს 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონის პროექტის თაობაზე. ისინი უარყოფითად აფასებენ საქართველოს მთავრობის ეკონომიკურ ნაშრომს. დასკვნის ავტორების მთავარი პრეტენზია არის 2003 წლის ბიუჯეტის პროექტის მეტისმეტად ოპტიმისტურად დაგეგმვა, მთელი რიგი ხარჯების ბუნდოვანი გაწერა და პროექტის შედგენისას რამდენიმე მოქმედი კანონის დარღვევა.*

სოფიკო ოხანაშვილი

"ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის" შეფასებით, მთავრობის მიერ შემუშავებული კანონპროექტი, მოქმედი საკანონმდებლო ბაზის პირობებში, პრაქტიკულად, შეუსრულებადია და წინასწარ განწირულია გარღვევისათვის. ექსპერტები ასეთ დასკვნას წინა წლების პრაქტიკის, ტენდენციებისა და ექსპერტული შეფასებების საფუძველზე აკეთებენ. დასკვნის მიხედვით, წლის ბოლოს სახელმწიფო ბიუჯეტი, სავარაუდოდ, 140-165 მილიონი ლარით გაირღვევა. მაგრამ, მათი ვარაუდით, მთავრობა თავს მაინც იმართლებს და ბიუჯეტის გარღვევის სხვადასხვა სუბიექტურ-ობიექტურ მიზეზს დაასახელებს. დასკვნის თანახმად, გარღვევა ძირითადად სახელმწიფო ქონების

გაგრძელება A6 გვერდზე

## შეკვეთილი მკვლელობის მცდელობა თბილისში

### დავით შენგელია ტერაქტს გადაურჩა

ინგა ალავიძე

*თბილისში კიდევ ერთი შეკვეთილი მკვლელობა იგეგმებოდა. ქილერთა თავდასხმის ობიექტი, სავარაუდოდ, გალის გამგებლის მოადგილე დათო შენგელია უნდა გამხდარიყო.*

გუშინ, გვიან ღამით, დიღმის მასივში პოლიციელებსა და ორ მამაკაცს შორის შეიარაღებული კონფლიქტი მოხდა. ქუჩაში მიმავალი ორი უცნობი მამაკაცი შემოვლაზე მყოფმა დიდუბე-ჩუღურეთის პოლიციის თანამშრომლებმა საეჭვოდ მიიჩნიეს და მათ ვინაობის დამადასტურებელი საბუთები მოსთხოვეს. პოლიციელთა მოთხოვნას უცნობთა უცნაური რეაქცია მოჰყვა, შემოწმების თაობაზე განმეორებით მოთხოვნას და გაჩხრეკის მცდელობას კი - ხელყუმბარის აფეთქება.

რუსულ ენაზე მოსაუბრე ახალგაზრდა მამაკაცმა ყველასთვის მოულოდნელად ხელყუმბარა ჯიბიდან ამოიღო და გახსნა, აფეთქების შედეგად მძიმედ დაიჭრა სამი პოლიციელი, მსუბუქად დაშავდნენ ამფეთქებელი და მისი მეგობარიც.

სამართალდამცველებმა დააკავეს რუსეთის მოქალაქე - 23 წლის ახალგაზრდა კაცი, რომლის ვინაობასაც პოლიცია, ჯერჯერობით, საიდუმლოდ ინახავს. დაკავებულია ასევე მეორე მამაკაციც - გალის რაიონის მცხოვრები. ცნობილია მხოლოდ მისი გვარი - ყოლბაია. დაკავებულები თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს წინასწარი დაკავების საკანში იმყოფებიან, სადაც მათი დაკითხვა მიმდინარეობს.

ინციდენტი პოლიციასა და ქუჩაში მოსიარულე მამაკაცებს შორის გალის რაიონის გამგებლის მოადგილის

გაგრძელება A7 გვერდზე

## ვაშინგტონს ნავთობსადენების უსაფრთხოება ყველგან აღელვებს

*შეერთებულმა შტატებმა კოლუმბიაშიც დაიწყო ქართული "წვრთნისა და აღჭურვის" ანალოგიური პროგრამის განხორციელება. საქართველოს მსგავსად, ამერიკელების გაწვრთნილი დანაყოფების ძირითადი მიზანი ნავთობსადენის დაცვა იქნება, რომლითაც შეერთებული შტატები ნავთობით მარაგდება.*

რევაზ ბახტაძე

შეერთებულმა შტატებმა აღმოსავლეთ კოლუმბიაში სამხედრო ინსტრუქტორები გააგზავნა, რომლებმაც კოლუმბიის არმია უნდა გაწვრთნან ტერორისტების წინააღმდეგ საბრძოლველად არაუკას პროვინციაში, სადაც, სავარაუდოდ, მარქსისტი მეამბოხეები იმალებიან.

კოლუმბიაში სამოქალაქო ომი, 39 წელია, მიმდინარეობს. მარქსისტი მეამბოხეები ცენტრალურ მთავრობას ებრძვიან ქვეყანაზე აბსოლუტური კონტროლის მოსაპოვებლად.

კოლუმბიის რევოლუციური შეიარაღებული ძალები 1964 წელს შეიქმნა. დღეს ეს დაჯგუფება ქვეყნის 40 პროცენტს აკონტროლებს. საინტერესოა, რომ ამ არალეგალური შეიარაღებული დაჯგუფებების ერთ მესამედს ქალები შეადგენენ.

სამოქალაქო ომს ყოველწლიურად, დაახლოებით, 3500 ადამიანის სიცოცხლე ეწირება.

კოლუმბიაში მიმდინარე ომის განმავლობაში ეს არის პირველი შემთხვევა, როდესაც ამერიკელი სამხედროები უშუალოდ ჩაერევიან.

აღსანიშნავია, რომ ამერიკელებს კოლუმბიელი სამხედროების მომზადების გამოცდილება უკვე აქვთ. შეერთებულმა შტატებმა უკვე გაწვრთნა

გაგრძელება A4 გვერდზე

## საშობაო მოთხრობებს მთელი ერი უნდა წერდეს




რეზო გაბრიაძე

### პოლიტიკა

#### ქაქია-პატიაშვილის "ერთობა" ირღვევა

ბოლო ორი დღეა საქართველოს პოლიტიკურ კულუარებში აქტიურად საუბრობენ იმაზე, რომ პატიაშვილი-ჭაჭიას "ერთობა" აღარ არის "ერთიანი". ამასთან, პარტიაში ნაწილი "მოქალაქეებისკენ" იწევს, თავად პატიაშვილი კი სააკაშვილთან შესაძლო ალიანსს არ გამორიცხავს. პატიაშვილის პარტიას უკვე აღარავინ ახსენებენ "აღორძინებასთან".

A3

### უცხოეთი

#### არასერიოზული კვარტეტი

ისრაელის პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, რომ საერთაშორისო მედიატორთა კვარტეტის - აშშ-ს, რუსეთის, ევროკავშირისა და გაეროს მიერ მომზადებული სამშვიდობო გეგმა მნიშვნელობას მოკლებულია.

A4

### ეკონომიკა

#### ვილაცამ ბაქო-სუფსის მილსადენი გახვრიტა

გუშინ, დაახლოებით 15 საათსა და 30 წუთზე გორის რაიონში, სოფელ სვენეთთან დაზიანდა ბაქო-სუფსის მილსადენი. ავარიის გამომწვევი მიზეზები დგინდება, თუმცა ექსპერტები არც დივერსიას გამორიცხავენ.

A6

### სამართალი

#### დეპუტატის მკვლელს რვა წლის შემდეგ მიეზღო

რამდენიმე დღის წინ უზენაესმა სასამართლომ დეპუტატ იოსებ მახალდიანის ოჯახზე მომხდარი თავდასხმის მეოთხე და მთავარ "გმირს" იოსებ ცაგურიშვილს 15 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

A7

### თვალსაზრისი

#### თავიდან ავიცილოთ უცხო ქვეყნების დივერსია ბორჯომის ხეობაში

ჩვენ ვეხმარებით ნავთობის კორპორაციას, რომ "ბაქო-თბილისი-ჯეიჰანმა" საქართველოს ტერიტორიაზე გაიაროს. ისინი კი, ჩვენ გვეხმარებიან პოლიტიკური თუ ეკოლოგიური რისკების თავიდან აცილებაში, რასაც ბორჯომის გზა შეიცავს. ეს არის თანამშრომლობის და არა კონფრონტაციის მოდელი. მაგრამ, თანამშრომლობა უნდა ემყარებოდეს ურთიერთპატივისცემას, გამჭვირვალეობას, სიმართლეს და პრობლემების გადაჭრის სურვილს.

A8

### ამინდი

| | |
|---|---|
| თბილისი | 6 |
| ქუთაისი | 9 |
| ბათუმი | 11 |
| სოხუმი | 10 |
| ფოთი | 11 |
| თელავი | 5 |
| ზუგდიდი | 11 |
| გორი | 3 |
| ახმეტა | 4 |
| ჭიათურა | 6 |
| გაგრა | 10 |
| სამტრედია | 9 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.1900 |
| ევრო | 2.3262 |
| გირვანქა სტერლინგი | 3.5296 |
| რუბლი | 0.0688 |

A2 ინფორმაცია A3 პოლიტიკა A4 პოლიტიკა A5 რეკლამა A6 ეკონომიკა A7 სამართალი A8 საზოგადოება

B2 კულტურა B3 ანკეტა B4 სპორტი B5 სპორტი B6 განცხადებები B7 სტილი B8 სხვადასხვა

## პოლიტიკური კულუარები

### ჟვანია საარჩევნო შტაბს ქმნის

საპარლამენტო არჩევნებამდე რვა თვით ადრე "გაერთიანებული დემოკრატები" არჩევნებისთვის სერიოზულ მზადებას იწყებენ.

მიმდინარე კვირაში პარტია საარჩევნო შტაბს შექმნის. მისი თავმჯდომარე პარტიის ლიდერი ზურაბ ჟვანია იქნება. წინასწარი ინფორმაციით, შტაბის შემადგენლობა თერთმეტი წევრით განისაზღვრება. ჯერჯერობით უცნობია, ვინ მიიღებს უშუალო მონაწილეობას პარტიის საარჩევნო სიის დაკომპლექტებაში.

## მოკლედ

**თბილისი.** 20-21 იანვარს ირანის საგარეო საქმეთა სამინისტროს პოლიტიკური და საერთაშორისო კვლევითი ცენტრი თეირანში მართავს მეათე სემინარს თემაზე - "ცენტრალური აზია და კავკასია". საქართველოს მხრიდან სემინარში მონაწილეობას მიიღებს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე თამარ ბერუჩაშვილი. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

**თბილისი.** ცაგერის რაიონის სოფელ ლასურიაშში ჩამოწოლილი მეწყერის შედეგებთან დაკავშირებით სახელმწიფო მინისტრმა გამოსცა სპეციალური განკარგულება, რომელშიც თავის მოადგილეს მამუკა ნიკოლაიშვილს დაავალა თხოვნით მიმართოს შესაბამის საერთაშორისო ორგანიზაციებს, ჰუმანიტარული დახმარება გაუწიონ სტიქიით დაზარალებულ მოსახლეობას. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

**თბილისი.** 20 იანვარს საქართველოს სახელმწიფო მინისტრი ავთანდილ ჯორბენაძე ისრაელში მიემგზავრება. როგორც ისრაელის საელჩოში აცხადებენ, ვიზიტი შედგება ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრის ბენიამინ ნეთანიაჰუს მიწვევით. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

**თბილისი.** მომავალი კვირიდან თბილისის საკრებულოში ნაგავგადამამუშავებელი ქარხნის მშენებლობასთან დაკავშირებული განხილვა დაიწყება.

ნაგავგადამამუშავებელი ქარხნის მშენებელი ორგანიზაცია საერთაშორისო ტენდერის საფუძველზე შეირჩევა. სააკაშვილის თქმით, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მან უცხოური დონორი ორგანიზაციებისაგან რამდენიმე შეთავაზება უკვე მიიღო. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია “Conciliation Resource"-ის (“შერიგების რესურსი") ინიციატივით ლონდონში ქართულ-აფხაზური მოლაპარაკებები მიმდინარეობს. ათდღიან მოლაპარაკებებში მონაწილეობის მისაღებად ლონდონში საქართველოს განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრი მალხაზ კაკაბაძე გაემგზავრა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისის საკრებულო 24-25 იანვარს, გუდაურში დაგეგმილ გასვლით სხდომაზე, დედაქალაქის ბიუჯეტის ფორმირების საკითხებზე იმსჯელებს. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს მუსულმანი აზერბაიჯანელები წინააღმდეგნი არ არიან საქართველოს სახელმწიფოს დროშაზე ჯვრის გამოსახვის, რომლის ინიციატივითაც საპატრიარქო გამოდის, თუმცა ამ საკითხზე საერთო სახალხო რეფერენდუმის გამართვას ემხრობიან. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტი, უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს ბიუროს უახლოეს სხდომაზე, დეპუტატთა ყოველწლიური ანტინარკოლოგიური შემოწმების მოთხოვნით წარსდგება. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ფრაქცია "აღორძინების" წევრი ჯემალ გამახარია მოუწოდებს ენგურის ხიდზე მიმდინარე აქციის მონაწილეებს, მოითხოვონ საქართველოს პრეზიდენტის გადადგომა. ამის შესახებ მან დღეს აქციის მონაწილეებთან შეხვედრისას განაცხადა. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

**თბილისი.** მარტში საქართველოში ჩამოდის ნატო-ს ექსპერტთა ჯგუფი, რომელიც თავდაცვის სამინისტროსთან ერთად ნატო-ში გასაწევრიანებლად საქართველოსთვის ინდივიდუალურ პროგრამას შეიმუშავებს. **მედია-ნიუსი.**

# ათი წლის შემდეგაც არ არსებობს ერთიანი პოზიცია

პირველი გვერდიდან

ჯაბა იოსელიანი ამტკიცებდა, ამ სიტყვებში სამშვიდობო ძალების მხოლოდ ენგურს იქით განლაგება იგულისხმებოდა, ოპოზიცია კი ამბობდა, რომ ჯარები მდინარის ორივე მხარეს განთავსდებოდა. ეს დისკუსია, რომელიც იმ პარლამენტისათვის დამახასიათებელი სიცხარით და მჭერმეტყველებით წარიმართა, როგორც ყოველთვის, უშედეგოდ დასრულდა. ასე ხდება ახლაც, ომის დასრულებიდან თითქმის ათი წლის თავზე.

როდესაც საახალწლოდ რუსული პასპორტების გაცემის და რკინიგზის გახსნის გამო აფხაზეთში სიტუაცია კვლავ დაიძაბა, ბუნებრივად გაჩნდა კითხვები საქართველოს მთავრობის საპასუხო ქმედების შესახებ. სამწუხაროდ, მოხდა ის, რაც ყველაზე მოსალოდნელი, თუმცა კი ყველაზე მიუღებელი იყო. პარლამენტში ამ თემაზე მორიგი სხდომა შედგა, ენგურის ხიდთან მორიგი აქცია განახლდა და საქართველოს მორიგი, ამჯერად საპარლამენტო, დელეგაცია მოსკოვში გაემგზავრება სიტუაციის გასარკვევად. წარსულის გამოცდილება აჩვენებს, რომ არაფერი რეალური ასეთი ტიპის საპასუხო ნაბიჯებს არ მოაქვს. შეიძლება ითქვას, რომ რუსეთის ბოლოდროინდელმა აგრესიულმა ქმედებებმა კიდევ ერთხელ წარმოაჩინა ის კრიზისი, რომელიც აფხაზეთთან დაკავშირებით თბილისში სუფევს – არავინ ამ ქვეყანაში ზუსტად არ იცის, რა უნდა გაკეთდეს.

ამის ერთი მიზეზი ისიცაა, რომ ჩვენ არ გვაქვს მკაფიოდ გააზრებული, თუ რას ნიშნავს შექმნილ სიტუაციაში ცნება "საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა". როცა პოლიტიკოსები, ლტოლვილები, ჩვეულებრივი ადამიანები ამ თემაზე მსჯელობენ, მათი უმრავლესობა გულისხმობს, რომ უნდა აღდგეს ის მდგომარეობა, რაც ომამდე იყო. მაგრამ ჩვენ ყველანი უნდა შევეგუოთ იმას, რომ ის სიტუაცია, რაც ომამდე იყო, იგივე ფორმით, იგივე შინაარსით ველარასოდეს დაბრუნდება. წარმატებული სამხედრო ოპერაციის განხორციელების შემთხვევაშიც კი, ჩვენ მაინც მოგვიწევს ისეთ პოლიტიკურ სისტემაზე ფიქრი, რომელიც ორივე მხარისათვის იქნება მისაღები და რომელიც ამ რეგიონის მდგრად განვითარებას უზრუნველყოფს. მზად უნდა ვიყოთ იმისთვისაც, რომ ეს საკმაოდ გრძელვადიანი და მრავალსაფეხურიანი პროცესი იქნება. ყველა ჩვენი მცდელობა უშედეგოდ ჩაივლის, თუ არ შევეცდებით თვითონ აფხაზების დარწმუნებას, რომ მათთვისაც ხელსაყრელი იქნება საქართველოს შემადგენლობაში ყოფნა. წინააღმდეგ შემთხვევაში, მუდმივად იარსებებს იმის საშიშროება, რომ განმეორდება ის, რაც ჩრდილოეთ კავკასიაში ხდება. მით უმეტეს, რომ ამ პრობლემით მუდმივ დაინტერესებას შეინარჩუნებს რუსეთი, რომლის ლიდერებიც და ელჩებიც გეგმაზომიერად ახორციელებენ იმ პოლიტიკას, რომლის შედეგებს ჩვენ უკვე მეათე წელია, ვიმკით.



თანამედროვე საქართველოს პარადოქსი: საკუთარი სახლ-კარიდან გამოდევნილებმა, ბინა იმ ქვეყნის საელჩოსთან დაიდეს, რომელსაც ლომის წილი მიუძღვის მათ გამოდევნაში.

დღემდე არც საქართველოს ხელისუფლებას, არც საზოგადოებას არ აქვს ჩამოყალიბებული ერთიანი ხედვა, თუ როგორი ტიპის სახელმწიფოში ვთავაზობთ აფხაზებს თანაცხოვრებას და რა უფლება-მოვალეობებით უნდა აღიჭურვოს აფხაზეთის ავტონიმიური წარმონაქმნი ერთიანი საქართველოს შემადგენლობაში. ბუნებრივია, იმის ილუზია, რომ აფხაზები სიხარულით გაიზიარებენ ჩვენს მიერ შემუშავებულ წინადადებებს, არ არსებობს. ასეთი მიდგომების ჩამოყალიბება უპირველესად ისევ ჩვენთვისაა საჭირო, რათა ზუსტად წარმოვიდგინოთ, რას ვგულისხმობთ აფხაზეთის დაბრუნებაში და სად არის ის ზღვარი, რომლის იქით უკან დასახევი გზა არ გვექნება. ეს არის აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი წინაპირობა იმისა, რომ პრობლემის მოგვარებაზე ვიფიქროთ. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება გვქონდეს საერთაშორისო ორგანიზაციების თუ მეგობარი ქვეყნების მხრიდან რაიმე რეალური დახმარების იმედი.

დღეს, როდესაც აფხაზებს არაფერ კონკრეტულს არ ვთავაზობთ, როდესაც ქვეყნის შიგნით ელემენტარულ პრობლემებს ვერ ვაგვარებთ, როდესაც სახელმწიფოს განვითარების გრძელვადიანი სტრატეგია არ ჩანს, რაოდენ სამწუხაროდაც უნდა ჟღერდეს, სრულიად მოსალოდნელი იყო ის პოზიცია, რომელიც აფხაზეთის ე.წ. საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი შამბამ დააფიქსირა: აფხაზები ვერაფერ მიმზიდველს საქართველოს შემადგენლობაში ყოფნაში ვერ ხედავენ. კიდევ უფრო სამწუხაროა ის, რომ რუსეთის ზეგავლენის გარეშეც, აფხაზების პოზიცია მაინც ასეთი იქნებოდა. რაც დღეს აფხაზეთთან მიმართებაში ხდება, მხოლოდ აღრმავებს პრობლემას და რაც უფრო დროში გაიჭიმება ეს პროცესი, მით უფრო ძნელი იქნება დღევანდელი, ჩვენთვის არასასურველი, სტატუს-ქვოს შეცვლა.

# აუნთებს თუ არა ამერიკა რუსეთს წითელ შუქს

პირველი გვერდიდან

ბუნებრივია, ოფიციალური მოსკოვისთვის ბურჯანაძის ვიზიტი გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი და ანგარიშგასაწევი იქნება. პარლამენტის თავმჯდომარე ქართული პოლიტიკური ისტებლიშმენტიდან ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული და საშიში ოპონენტია რუსი პოლიტიკოსებისათვის. რუსეთის დუმის რადიკალი დეპუტატები უკვე საუბრობენ იმაზე, რომ ბურჯანაძესთან საუბარი საკმაოდ რთულია.

თუმცა, ასეთი დახასიათების მიუხედავად, ძნელი წარმოსადგენია, რომ პარლამენტის თავმჯდომარემ მოლაპარაკებების დროს ტრანსპორტის მინისტრზე მეტს მიაღწიოს და თბილისში ხელშესახები შედეგებით დაბრუნდეს.

მიუხედავად ზაფხულში გაკეთებული დამაიმედებელი პროგნოზებისა, რუსეთ-საქართველოს შორის სიტუაცია უფრო დამძიდა. აფხაზეთის პრობლემა კიდევ უფრო გართულდა მას შემდეგ, რაც რუსებმა აფხაზი მოსახლეობისათვის პასპორტების მასობრივი დარიგება დაიწყეს და რკინიგზის სოჭი-სოხუმის მონაკვეთი აღადგინეს.

ასე გამოიხატა ის “ახალი მიდგომები”, რომლითაც რუსეთი აფხაზეთის კონფლიქტის მშვიდობიან მოგვარებაში დაეხმარება საქართველოს.

პრეზიდენტის სპეციალური მოთხოვნით, ხვალ თბილისში ჩამოფრინდებიან საქართველოს ელჩები ამერიკაში და რუსეთში - ლევან მიქელაძე და ზურაბ აბაშიძე; ხვალ ჩამოდის საქართველოს სპეციალური წარმომადგენელი გაერო-ში რეზო ადამიაც.

სავარაუდოა, რომ ელჩები იმ საგანგებო სიტუაციაზე იმსჯელებენ, რომელიც რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებში აფხაზეთში რუსეთის გააქტიურებული მოქმედებების შემდეგ გაჩნდა.

ამ ფონზე უკვე თითქმის უპერსპექტივოდ რჩება გაერო-ში ბოდენის დოკუმენტის მიღების საკითხი, რომელიც მთელი შემოდგომის განმავლობაში, რუსეთის დელეგაციის აქტიური წინააღმდეგობის გამო, უშიშროების საბჭომ ვერ განიხილა.

ჯერჯერობით, ვერანაირი შედეგი ვერ გამოიღო ამერიკის ადმინისტრაციის ძალისხმევამ, რომ აფხაზეთის პრობლემა ჩიხიდან გამოვიდეს და პოზიტიური შედეგები იქნას მიღწეული. თუმცა, ამერიკელები ისევ ცალსახად აცხადებენ, რომ აფხაზეთის კონფლიქტის დარეგულირებაში პირველი ნაბიჯები მხოლოდ მას შემდეგ შეიძლება გადაიდგას, როცა საბოლოოდ მოგვარდება პანკისის პრობლემა.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ხელისუფლება ყველას არწმუნებდა, სპეცოპერაცია წარმატებით დამთავრდაო, პანკისის თემა ისევ აგორდა. რუსეთის არხებმა ახლებურ კონტექსტში გადასცეს ძველი კადრები, სადაც პანკისში მყოფი არაბები არიან აღბეჭდილი. უშიშროების მინისტრ ვალერი ხაბურძანიას მიერ ბოლო დღეებში გაკეთებულმა განცხადებებმა ეჭვები გააჩინა დასავლეთშიც. მსოფლიოში ერთ-ერთმა ყველაზე გავლენიანმა გაზეთმა “ფაინენშელ თაიმსმა” საქართველოს უშიშროების მინისტრი ინფორმაციის დამალვაში დაადანაშაულა. სტატიის ავტორმა დევიდ სტერნმა განაცხადა, რომ ამ თემის გაგრძელებას ის კვლავაც აპირებს.

ამერიკელები, რომლებიც პანკისის პრობლემის მოგვარებას უზარმაზარ მნიშვნელობას ანიჭებდნენ და ნებისმიერი დონის შეხვედრაზე, პირველ რიგში, პანკისის თემის მოხსნას ითხოვდნენ, დღეს საკმაოდ შეშფოთებულები არიან.

ამ თვალსაზრისით, ძალიან საინტერესოა ამერიკის თავდაცვის მინისტრის მოადგილის ვოლფოვიცის განცხადება, რომ ქართველები არა მარტო რუსეთს, არამედ თურმე ამერიკასაც არასწორ ინფორმაციას აწვდიან.

“24 საათის” ინფორმაციით, ამგვარი მოსაზრება სულ მალე, შესაძლოა, დომინანტური გახდეს ამერიკის გავლენიან წრეებში.

თუ საქართველოს ხელისუფლებამ მოახდინა იმის დემონსტრირება, რომ მან ვერ შეძლო პანკისში თავშეფარებული ტერორისტების სრული ლიკვიდაცია, ეს უკვე, სავარაუდოა, აღარ დამთავრდება მორიგი წვრთნისა და აღჭურვის პროგრამის დაწყებით. ამას, ალბათ, გაცილებით უფრო არასასურველი შედეგები მოჰყვება.

რუსები მუდმივად ამტკიცებდნენ, რომ საქართველო პანკისის პრობლემის მოგვარებას დამოუკიდებლად ვერ შეძლებს და აუცილებელია ერთობლივი სპეცოპერაციის ჩატარება.

ამ მოსაზრებას აქამდე ამერიკის ადმინისტრაცია ეწინააღმდეგებოდა და ოფიციალურ მოსკოვს უმტკიცებდა, რომ პანკისის პრობლემას ქართველები ამერიკელების დახმარებით თვითონვე მიხედავენ და რომ ამ მიზნებს ემსახურება “წვრთნისა და აღჭურვის” პროგრამის დაწყებაც.

მაგრამ დღეს სიტუაცია უკვე თვისობრივად შეიცვალა. ამერიკა ერაყთან ომისთვის ემზადება. ბუნებრივია, ამერიკის ადმინისტრაცია სულ უფრო ნაკლებად მოიცლის საქართველოსთვის და პანკისისთვის. გარდა ამისა, ამერიკას რუსეთის სახით თუ პარტნიორი არა, სულ მინიმუმ, მოწინააღმდეგე მაინც არ სჭირდება.

იმ ფონზე, თუ პანკისის სპეცოპერაციის წარუმატებლობაში ყველა დარწმუნდა, გაცილებით უფრო დამაჯერებელი იქნება რუსეთის არგუმენტი, რომ მისი ჩარევის გარეშე პანკისის პრობლემა არ მოიხსნება.

ასეთ დროს კი დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ დგება ამერიკის პოზიცია, ისევ აუნთებს თუ არა ის რუსეთს წითელ შუქს.

ასე რომ, ფონი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაში უკვე რუსეთის სასარგებლოდ იცვლება. თუ ეს მართლა მოხდა, მაშინ საქართველო ძალზე სერიოზული პრობლემების პირისპირ, შესაძლოა, მხარდაჭერის გარეშე აღმოჩნდეს.




United Nations Development Programme

UNDP Georgia

განცხადება

გაეროს განვითარების პროგრამისა და საქართველოს მთავრობის ერთობლივი პროექტი: "ბიზნეს ინკუბაციის მხარდაჭერა" აცხადებს წინადადებების მიღებას ბიზნეს ინკუბატორისათვის ფართის საჭიროებლად ორი წლით ქ. თბილისში. ფართი უნდა პასუხობდეს შემდეგ მოთხოვნებს:

- არა ნაკლებ 500 კვ.მ.
- მდებარეობა ცენტრალური გამზირი ან მიმდებარე ტერიტორია
- საკუთარი შესასვლელი

წინადადებები უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

- ფასი (თვეში/წელიწადში)
- ელექტროგაყვანილობა/კომუნიკაციების არსებობა
- ფართის მისამართი
- მფლობელი ორგანიზაციის რეგისტრაციისმოწმობა
- ფართის ამჟამინდელი მდგომარეობის აღწერა

წინადადებები წარმოდგენილი უნდა იქნას დალუქულ კონვერტებში გაეროს განვითარების პროგრამის ოფისში (ერისთავის ქ. 9) 2003 წლის 27 იანვრის სამუშაო დღის ბოლომდე.

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი კოკილაშვილი, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ჯუანშერ ტიკარაძე, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურა ჯაოშვილი.

პოლიტიკური კულუარები

# ვიტალი ხაზარაძეს საკუთარ ფრაქციაშიც კი არ სწყალობენ


კობა ამირხანაშვილი


ვიტალი ხაზარაძე

თამარ მჭედლიშვილი

ფრაქცია "მოქალაქეთა კავშირის" თავმჯდომარე ვიტალი ხაზარაძე, ავთანდილ ჯორბენაძესთან ერთად, სახელისუფლებო პარტიის ერთ-ერთ მთავარ ფიგურად მიიჩნევა, მაგრამ თავად პარტიაში მის მიმართ დამოკიდებულება არაერთგვაროვანია.

შიდაფრაქციული დაპირისპირებების თაობაზე ინფორმაცია, კარგა ხანია, არსებობს. ამის მიუხედავად, ბოლო წუთებამდე "მოქკავშირი" შიდაკონფლიქტის არსებობას კატეგორიულად უარყოფდა. თუმცა, არაოფიციალურ საუბრებში პარტიის რამდენიმე წევრი მაინც აღიარებდა, რომ ვიტალი ხაზარაძე პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს ისე იღებდა, რომ ფრაქციის წევრებს არც კი უთანხმებდა.

კონფლიქტი სააშკარაოზე პირველად კობა ამირხანაშვილმა გამოიტანა, რომელიც რამდენიმე წელია, ვიტალი ხაზარაძეს უპირისპირდება.

**"ხაზარაძე სახელისუფლებო ფრაქციების დეპუტატებს საკუთარი შესაძლებლობების ოპტიმალური გამომჟღავნების საშუალებასაც არ აძლევს, ზღუდავს, ავიწროებს მათ და ყველასაგან მორჩილებას ითხოვს",** - განუცხადა კობა ამირხანაშვილმა ჟურნალისტებს.

მათ შორის კონფლიქტის გამწვავების საბაბი კი ის გახდა, რომ ორი დღის წინათ გამართულ პარლამენტის რიგგარეშე სხდომაზე, სამხედრო ფორმაში გამოწყობილ ამირხანაშვილს ხაზარაძემ "ტრაქტორისტი" უწოდა. კონფლიქტი იმავე დღეს გაღრმავდა: ხაზარაძემ საინფორმაციო პროგრამა "კურიერის" პირდაპირ ეთერში პარლამენტის თავმჯდომარის მისამართით განაცხადა, რომ ნინო ბურჯანაძე დროს შეგნებულად წელავდა, რათა ბიუჯეტის პროექტი კვლავ ჩავარდნილიყო. ამის თაობაზე დაუყოვნებლივ მოახსენეს ქალბატონ თავმჯდომარეს, რომელმაც თავად ხაზარაძე დაადანაშაულა პოლიტიკურ მაქინაციებში. გაცხარებული ხაზარაძე პასუხის გაცემას აპირებდა, მაგრამ პარლამენტის თავმჯდომარეს კობა ამირხანაშვილი გამოექომაგა და ხაზარაძეს გამოსვლისაგან თავის შეკავება ურჩია. **"მომკლა თქვენმა კუდების აპრეხამ. რასაც მინდა, იმას გავაკეთებ",** - უპასუხია ხაზარაძეს.

სწორედ ამის შემდგომ მიიღო ამირხანაშვილმა პარტიის დატოვების საბოლოო გადაწყვეტილება. **"ან მე, ან ხაზარაძე",** – ამგვარ ულტიმატუმს აყენებს კობა ამირხანაშვილი.

ვიტალი ხაზარაძესთან ურთიერთობები საბოლოოდ გაუფუჭდა რეზო ყიფიანსაც. ეს მას მერე მოხდა, რაც ნინო ბურჯანაძემ გენერალური პროკურორის ყოფილ მოადგილეს ჰკითხა, თუ რამდენად მიზანშეწონილი იქნებოდა, პარლამენტს რუსთაველი როლანდ მგალობლიშვილისათვის სადეპუტატო უფლებამოსილება ეცნო იმ დროს, როცა მგალობლიშვილის საკითხს უზენაესი სასამართლო განიხილავდა. რეზო ყიფიანის პასუხი უარყოფითი იყო. ამ დროს ვიტალი ხაზარაძე დარბაზში არ იმყოფებოდა, მაგრამ ყიფიანის პოზიციამ იმდენად გაალიზიანა ხაზარაძე, რომ იგი დაუყოვნებლივ შეიჭრა დარბაზში და ხანდაზმულ დეპუტატს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა, თანაც დაჟინებით იმეორებდა, რომ ბიუჯეტის განხილვის დღეს როლანდ მგალობლიშვილის პარლამენტში შემოსვლა პარტიისათვის **"ჰაერივით საჭირო იყო, რადგან, ჯენტლმენური შეთანხმებით, ახალ დეპუტატს ბიუჯეტისთვის ხმა უნდა მიეცა".**

ვიტალი ხაზარაძეს ურთიერთობები უფუჭდება ქვემო ქართლის დეპუტაციასთანაც, რადგან მას შინაურულ საუბრებში არაერთხელ გაუკრიტიკებია ლევან მამალაძე. მეტიც: რამდენჯერმე ხაზარაძემ მამალაძეს **"გაურკვეველი პოლიტიკური ორიენტაციის სუბიექტი უწოდა".**

ასე რომ, არ არის გამორიცხული, სახელისუფლებო გუნდმა საკმაოდ სერიოზულად იმსჯელოს იმის თაობაზე, თუ რამდენად მისაღებია ფრაქციის თავმჯდომარის პოსტზე ვიტალი ხაზარაძის ყოფნა. თანაც, მოქკავშირელთათვის შესანიშნავად არის ცნობილი, რომ პარტიის ერთ-ერთ წამყვან სახეს მოსახლეობაში ავტორიტეტი არ აქვს. როგორც ამბობენ, სახელისუფლებო ფრაქციებმა უკვე დაიწყეს ვიტალი ხაზარაძის შემცვლელის ძებნა.

# მეკობრეებმა გადაწყვიტეს მანამდე დაიტოვონ ქართველები, სანამ ფულს არ მიიღებენ

## ˝არავითარი წითელი ჯვარი ჩვენამდე არ მოსულა!˝ ამბობენ ფოთელები

ზაზა წულაძე

*პესიმისტური პროგნოზი, რომ 205 დღის წინათ გატაცებული "ჟენლილის" დაბრუნება პუნტლენდის ნავსადგურ ბოსაასოში, ტყვეობაში მყოფ საქართველოს მოქალაქეებს კარგს არაფერს უქადდა, გამართლდა. "გუშინ ბოსაასოდან გემზე ამოვიდა მეკობრეების მეთაური. მან გვითხრა, რომ, ვინაიდან გემის მეპატრონეებმა დღემდე ვერ მოახერხეს მისთვის და მისი ბიჭებისთვის მოთხოვნილი 100 ათასი დოლარის გადაცემა, დღეიდან იგი ოფიციალურად გვაცხადებს მძევლებად და მანამდე დავრჩებით ბოსაასოში, სანამ, ფული არ იქნება გადახდილი. უკვე აღარ ვიცით, ასეთ სიტუაციაში როდემდე გავძლებთ. უმორჩილესად ვთხოვთ, საქართველოს ხელისუფლებას, ყველას, ვისაც შეუძლია, დაგვეხმარონ და აქედან გაგვიყვანონ, მოლაპარაკებებით არაფერი გამოდის!" – ასეთი ვედრებით მოგვმართა გულადი რუხაძემ, რომელსაც გატაცებულ "ჟენლილზე" გუშინ საღამოს დავუკავშირდით.*

საქართველოს ზოგიერთ საინფორმაციო საშუალებაში, შაბათ-კვირას გავრცელებული ინფორმაცია, რომ "ჟენლილი" წითელი ჯვრის წარმომადგენლებმა მოინახულეს და მეზღვაურებს პროდუქტები გადასცეს, სიცრუე გამოდგა.

**"ვის აწყობს ან საიდან მოაქვთ ასეთი ინფორმაციები, გაუგებარია. ფოთიდანაც დაგვირეკეს, გახარებულები იყვნენ. არავითარი წითელი ჯვარი ჩვენთან არ მოსულა. ცოტა საჭმელი, სამი დღის წინ, თავად მეკობრეებმა ამოიტანეს. რაც ტყვეობაში ვართ, მარტო ამ ხალხთან გვაქვს შეხება, სხვა არავინ გვინახავს,"** – გვითხრა რუხაძემ.

ჯიბუტიში მცხოვრები შუამავალი, რომელმაც "ჟენლილის" მეპატრონე საბერძნეთის კომპანიის "პალას ნავიგეიშენის" მიერ, 30 ნოემბერს, გემისა და მეზღვაურების გამოსასყიდად გადარიცხული 100 ათასი დოლარი ბანკიდან გაიტანა, კვლავ იმალება. მეკობრეებს, როგორც ჩანს, მისი გამოჩენის იმედი აღარ აქვთ.

**"მეკობრეების მეთაურმა კატეგორიულად გვითხრა, რომ მანამდე გაგვაჩერებენ, სანამ ფულს არ მიიღებენ. ამას ვერავინ დამიშლისო - დააყოლა. ბოლოს გვითხრა, კიდევ ათი დღე აქ იქნებით, ვეცდები ვინმეს ფული გადმოვარიცხინოო. უკიდურეს შემთხვევაში, თუ ვინმე ნახევარ თანხას მაინც გადაიხდის, დაგვპირდა, რომ თვითმფრინავით გამოგვიშვებენ და გემს დაიტოვებენ, მაგრამ ამ ხალხის ერთი სიტყვაც არ გვჯერა,"** – თქვა რუხაძემ. მეზღვაურის თქმით, გემზე საწვავი ზღვაში გასასვლელად საკმარისი აღარ არის, ამიტომ მეკობრეები მათ ბოსაასოში გადაყვანას უპირებენ.

"ჟენლილი" სომალის სიბაქ-რუუნის კლანის მეკობრეებმა 30 ივლისს ადენის ყურეში, სომალისგან გამოყოფილი პუნტლენდის ნავსადგურ ბოსაასოსთან ახლოს დაატყვევეს. გემი, რომელზეც ზურაბ გიორგაძე, არტურ არუთუნიანი, ნიკოლოზ პიჟოვი, ალექსანდრე ჩიჩაძე, ანატოლი არხანგოროდსკი და გულადი რუხაძე იმყოფებიან, 13 დეკემბრამდე ბოსაასოდან, 250 კილომეტრის მოშორებით სოფელ ბარკალასთან ახლოს იდგა. 16 დეკემბერს პუნტლენდის მეზობელ, კიდევ ერთ არაღიარებული სახელმწიფოს - სომალილენდის ნავსადგურ ბერბერასთან გადაინაცვლა, სადაც 10 იანვრამდე იდგა. ამის შემდეგ, მეკობრეებმა გემი ისევ უკან პუნტლენდისკენ წაიყვანეს, ჯერ სოფელ ჰაგუსთან იდგნენ, ბოლოს კი ბოსაასოსთან ახლოს გაჩერდნენ.

საგარეო საქმეთა სამინისტრო კვლავ არ ამბობს, რას აკეთებს ან რას აპირებს საქართველოს მოქალაქეების გასათავისუფლებლად. პრეზიდენტ შევარდნაძის ცნობილმა გულისამაჩუყებელმა მიმართვამ მეკობრეებისადმი კი, როგორც ჩანს, სომალიმდე ვერ ჩააღწია.

# ჭაჭია-პატიაშვილის "ერთობა" ირღვევა

## სააკაშვილი ახალ პარტნიორს პოულობს

თამარ ხორბალაძე

*ბოლო ორი დღეა, საქართველოს პოლიტიკურ კულუარებში აქტიურად საუბრობენ იმაზე, რომ პატიაშვილი-ჭაჭიას "ერთობა" აღარ არის "ერთიანი". ამასთან, პარტიაში ნაწილი "მოქალაქეებისკენ" იწევს, თავად პატიაშვილი კი სააკაშვილთან შესაძლო ალიანსს არ გამორიცხავს. პატიაშვილის პარტიას უკვე აღარავინ ახსენებენ "აღორძინებასთან".*

"მოქალაქური" მისწრაფებები "ერთობაში", როგორც ამბობენ, პირველად გლდანი-ნაძალადევის რეგიონული ორგანიზაციის ხელმძღვანელმა გიორგი ხუციშვილმა და, მასთან ერთად, ორმა ათეულმა აქტივისტმა გამოამჟღავნა.

"ერთობაში" "მოქალაქური" ტენდენციების გაჩენის ნიშნად იქნა აღქმული პარასკევს, ბიუჯეტის კენჭისყრაზე დაფიქსირებული ფაქტიც, როცა პარლამენტში პატიაშვილის ქვოტით შემოსულმა დეპუტატმა არჩილ ასათიანმა, ბორის კაკუბავას აქტიურობისა და რევაზ მიშველაძის შეგონების მიუხედავად, მხარი დაუჭირა ბიუჯეტს. თუმცა, "საქმეში ჩახედულები" ამ ფაქტს დეპუტატის პოლიტიკურ გემოვნებაზე მეტად, მის პროფესიას უკავშირებენ. არჩილ ასათიანი პროფესიით ექიმი გახლავთ, ავთანდილ ჯორბენაძემ კი 2003 წლის ბიუჯეტის მხარდამჭერთა რიგების ამ ნიშნით შევსებაც შეძლო - ასათიანის მსგავსად ბიუჯეტს სამედიცინო სფეროს წარმომადგენელმა რამდენიმე ოპოზიციონერმა დეპუტატმაც დაუჭირა მხარი.

მიუხედავად იმისა, თუ რომელ პარტიას შეერწყმება "ერთობის" ორიოდე ათეული წევრი, ცხადია, რომ ამ ორგანიზაციის მთავარი ღირებულება ჯუმბერ პატიაშვილის პერსონა და მისი შედარებით მაღალი რეიტინგი გახლავთ. ჯუმბერ პატიაშვილთან დაკონტაქტება, "24 საათის" ინფორმაციით, რამდენიმე ოპოზიციურმა პარტიამ სცადა. მაგრამ, როგორც ჩანს, მიხეილ სააკაშვილმა ყველაზე მეტად იმარჯვა. მას


ჯერ კიდევ ზაფხულში "ერთობას" არაფერი ემუქრებოდა.

მშვენიერი შუამავალიც ჰყავს კოტე კემულარიას სახით. კემულარია ხომ, თავის დროზე, პატიაშვილის წინასაარჩევნო კომპანიაში აქტიურად იყო ჩართული. პატიაშვილთან წინასაარჩევნო ურთიერთობის გამოცდილება დაუგროვდა "ნაციონალების" საპარლამენტო ფრაქციის ახალ წევრს კაკო ბობოხიძესაც, რომელიც, როგორც იცით, "სახალხოელი" გახლავთ.

დღეს უკვე "ნაციონალისტებიც" და თავად პატიაშვილიც არ უარყოფენ იმ აზრს, რომ შესაძლოა მათ შორის ალიანსი შედგეს. თუმცა ამბობენ, რომ კონსულტაციები ამ თემაზე ჯერ არ გამართულა.

მიუხედავად ასეთი განცხადებებისა, შესაძლო ალიანსის ნიშნები ჯერ კიდევ თბილისის საკრებულოს ამოქმედებისთანავე გამოჩნდა, როცა "ერთობის" სიით საკრებულოში გასულმა მაჩაიძემ და მინდელმა შესანიშნავად გამონახეს საერთო ენა "ნაციონალებთან" და ამ გზით ერთი სკამის მოპოვებაც შეძლეს.

მაგრამ, ბოლო პერიოდამდე არსებობდა ამ ალიანსის ხელის შემშლელი მთავარი პირობა - პატიაშვილის თანამებრძოლი ჭაჭია. ალექსანდრე ჭაჭია, რომელიც საქართველოში აშკარა პრორუსულ ძალად აღიქმება და მისი თანაპარტიელობა პატიაშვილის რეიტინგსაც არ წაადგა სასიკეთოდ, ცალსახად მიუღებელი გახლავთ სააკაშვილისთვის.

პატიაშვილი კი უკვე იმაზე საუბრობს, რომ იგი არც იმდენად პრორუსულია, როგორც ზოგიერთებს წარმოუდგენიათ.



# არასერიოზული კვარტეტი



არიელ შარონი

ისრაელის პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, რომ საერთაშორისო მედიატორთა კვარტეტის - აშშ-ს, რუსეთის, ევროკავშირისა და გაერო-ს მიერ მომზადებული სამშვიდობო გეგმა მნიშვნელობას მოკლებულია.

ამერიკული ჟურნალის "ნიუსუიკის" კითხვაზე, რას ფიქრობს კვარტეტის მიერ მომზადებულ გეგმაზე, შარონმა უპასუხა: "ოჰ, ეს კვარტეტი არაფერია. სერიოზულად ნუ მიიღებთ. არსებობს სხვა გეგმა, რომელმაც შეიძლება იმუშაოს".

კვარტეტის წევრებს ამაზე ჯერ კომენტარი არ გაუკეთებიათ.

ინტერვიუში შარონმა საკუთარ სამშვიდობო გეგმაზე ისაუბრა, რომლის მიხედვითაც, თუ პალესტინელები შეწყვეტენ ტერორისტულ აქტებს და იასირ არაფატს მხოლოდ სიმბოლურ ფუნქციებს დაუტოვებენ, მაშინ შესაძლებელი გახდება პალესტინის სახელმწიფოს შექმნა დროებით საზღვრებში, ხოლო საბოლოო საზღვრების შესახებ მოლაპარაკება დაიწყება მას შემდეგ, როდესაც საბოლოოდ შეწყდება ძალადობა.

პალესტინელები უგულებელყოფენ შარონის იდეას, რომელიც მათი აზრით, მიზნად ნამდვილი სამშვიდობო გეგმების ჩაშლას ისახავს, რომლებმაც ხელი უნდა შეუწყონ პალესტინის სახელმწიფოს შექმნას 1967 წლის საზღვრებში.

მედიატორთა კვარტეტმა სრულიად სერიოზულად დაიწყო საკუთარი სამშვიდობო გეგმის შედგენა მას შემდეგ, რაც ორი წლის მანძილზე ინტიფადამ ასეულობით ებრაელისა და პალესტინელის სიცოცხლე შეიწირა.

შეერთებული შტატების თხოვნით, რომელიც ერაყის წინააღმდეგ შესაძლო ომისათვის კოალიციის მობილიზებას ცდილობს, კვარტეტმა სამშვიდობო გეგმის გამოქვეყნება ისრაელის არჩევნების დასრულებამდე გადადო. **როიტერი**

# ვაშინგტონს ნავთობსადენების უსაფრთხოება ყველგან აღელვებს

პირველი გვერდიდან

2000-კაციანი დანაყოფი, რომლის მისიასაც ნარკობარონების შეიარაღებულ რაზმებთან ბრძოლა წარმოადგენს. ეს პროექტი ამერიკის მიერ შემუშავებული ე.წ. კოლუმბიური გეგმის ნაწილია, რომლის ფარგლებში ვაშინგტონმა ბოგოტას (კოლუმბიის დედაქალაქი) 2 მილიარდი ამერიკული დოლარის დახმარება გაუწია, ძირითადად, სამხედრო სფეროში.

თუმცა, ამერიკელი კონგრესმენები მიღწეული შედეგებით უკმაყოფილოები არიან. კოლუმბიიდან აშშ-ში ნარკოტიკების ნაკადი არ მცირდება. კოლუმბიის ხელისუფლება კი ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე თავის გავლენას კვლავ ვერ ავრცელებს. ადგილობრივი მმართველები და არალეგალური შეიარაღებული ძალები ქვეყნის რესურსებისა და სტრატეგიული დარგების მნიშვნელოვან ნაწილს ისევ აკონტროლებენ.

ვაშინგტონის განსაკუთრებულ შეშფოთებას კი მაინც კოლუმბიური ნავთობი იწვევს. კოლუმბიაში ნავთობის მოპოვებას ამერიკული მრავალეროვანი კორპორაცია "ოქსიდენტალ პეტროლიუმი" ახორციელებს. ქვეყანაში მოქმედი შეიარაღებული დაჯგუფებები კი სწორედ ამერიკული კორპორაციის კუთვნილ ნავთობსა და მის უსაფრთხო ტრანსპორტირებას ემუქრებიან.

უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში მემარცხენე მეამბოხეებმა, დაახლოებით, 200-ჯერ გახვრიტეს მილსადენი. 780-კილომეტრიანი ნავთობსადენი 17 000-იანი კოლუმბიის რევოლუციური შეიარაღებული ძალებისათვის აშკარად მიმზიდველი სამიზნეა.



მილსადენს სამხედროები იცავენ.

ახალი სამხედრო დახმარების რეალურ მიზანს სწორედ კანო ლიმონის მილსადენის დაცვა წარმოადგენს. აღნიშნული სამხედრო პროგრამა კოლუმბიისათვის გამოყოფილი 98-მილიონიანი პაკეტის ნაწილია, რომელიც კონგრესმა კოლუმბიას მიმდინარე წელს გამოუყო.

ერაყში მოსალოდნელი ომისა და ნავთობით მდიდარ ვენესუელაში არსებული არეულობის ფონზე, ვაშინგტონისათვის კოლუმბიის ნავთობმა სტრატეგიული მნიშვნელობა შეიძინა.

ამჟამად კოლუმბია შეერთებული შტატების ნავთობით მომმარაგებელთა შორის მეათე ადგილზე იმყოფება.

სწორედ აღნიშნულმა ფაქტორებმა აიძულა შეერთებული შტატები, კოლუმბიის შიდა საქმეებში უფრო აქტიურად ჩარეულიყო.

70 ამერიკელი ინსტრუქტორი სამ თვეს დაჰყოფს კოლუმბიაში და ამ ხნის განმავლობაში 6500 ჯარისკაცს გაწვრთნიან. ისინი კოლუმბიელ ჯარისკაცებს ანტიტერორისტული ოპერაციების ჩასატარებლად და სადაზვერვო ინფორმაციის შესაგროვებლად მოამზადებენ.

თუმცა, ამერიკელ ჯარისკაცებს საბრძოლო მოქმედებებში უშუალოდ მონაწილეობის მიღება სასტიკად ეკრძალებათ.

კოლუმბიის თავდაცვის მინისტრმა მარტა ლუის მარტინესმა განაცხადა, რომ შეერთებული შტატების სამხედრო ჩარევა "ამ (არალეგალური) ჯგუფების წინააღმდეგ ბრძოლას უფრო ეფექტურს გახდის".

შეერთებული შტატების სპეციალური დანიშნულების ძალების მიერ გაწვრთნილი კოლუმბიური არმიის ორი ბრიგადა დაიცავს კანო ლიმონის მილსადენს, რომელიც "ოქსიდენტალ პეტროლიუმის" მიერ მოპოვებულ ნავთობს კოლუმბიურ პორტამდე მიიტანს, სადაც ნავთობი ამერიკულ ტანკერებში უსაფრთხოდ ჩაიტვირთება.

კოლუმბიის სიდიდით მეორე ნავთობსადენის დაცვა კოლუმბიის პრეზიდენტ ურიბეს ინტერესებშიც შედის. ბოგოტა დიდად არის დამოკიდებული ნავთობის შემოსავლებზე, რომლითაც ქვეყნის სამხედრო და სოციალური ხარჯები იფარება. ნავთობი კოლუმბიის ლეგალური შემოსავლის ყველაზე დიდი წყაროა.

აგვისტოში არჩეულმა კოლუმბიის ახალმა პრეზიდენტმა ალვარო ურიბემ პირობა დადო, რომ რადიკალური მემარჯვენე და მემარცხენე დაჯგუფებების პარპაშს აღკვეთს ქვეყანაში. ამ მიზნის მიღწევას კი ურიბე, ბევრის მსგავსად, ვაშინგტონთან მჭიდრო სამხედრო თანამშრომლობით ცდილობს.

# ბაქოს „შავი იანვრის" მე-13 წლისთავი

დღეს აზერბაიჯანი "შავი იანვრის" მეცამეტე წლისთავს აღნიშნავს. 1990 წლის 20 იანვარს, ღამით, მძიმე ტექნიკით შეიარაღებულმა საბჭოთა კავშირის არმიისა და სპეციალური დანიშნულების ქვედანაყოფებმა იერიშით აიღეს ბაქო და აზერბაიჯანის რამდენიმე სხვა ქალაქი, რის შედეგადაც 137 მშვიდობიანი ადამიანი დაიღუპა და 700-მდე დაიჭრა.

ბაქოში საბჭოთა არმიის მოქმედება განსაკუთრებული სისასტიკით გამოირჩეოდა. ამაზე მსხვერპლის დიდი რაოდენობაც მეტყველებს. როგორც ადამიანის უფლებათა დამცველი ცნობილი ორგანიზაცია წერდა, ჯარი თავს ესხმოდა ექიმებს, სასწრაფო დახმარების მანქანებსა და საავადმყოფოებსაც კი. დაღუპულებს შორის იყვნენ შვიდი წლის ბავშვიცა და 80 წლის მოხუციც. სისხლიანი ანგარიშსწორება მეორე დღესაც გაგრძელდა.

ცენტრალურმა ხელისუფლებამ ბაქოში იმ ღამეს საგანგებო მდგომარეობა შემოიღო, თუმცა ამის შესახებ ქუჩაში მყოფი ხალხისათვის არავის უთქვამს.

მაშინ ხელისუფლება აცხადებდა, რომ საგანგებო ზომების მიღება განპირობებული იყო სოციალისტური ხელისუფლების დამხობისა და ქვეყანაში ანარქიის დაწყების საფრთხით. 1990 წელს ამგვარი მისწრაფებები თითქმის ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში არსებობდა. მასობრივი ანგარიშსწორება მიზნად ისახავდა ხალხის დაშინებას და ეროვნული მოძრაობის ჩახშობას, რომლის სათავეშიც მაშინ აზერბაიჯანის სახალხო ფრონტი იდგა. ამ მხრივ ბაქოს დარბევას ბევრი ჰქონდა საერთო იმავე წელს ვილნიუსში და 1989 წლის 9 აპრილს თბილისში მომხდარ ტრაგედიებთან.

დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას აზერბაიჯანში თან ერთვოდა ყარაბაღის გამო დაწყებული აზერბაიჯანულ-სომხური დაპირისპირება, რასაც მოჰყვა 1990 წლის იანვარში ბაქოში და უფრო ადრე - სუმგაითში განხორციელებული სომეხთა მასობრივი დარბევები, რაც მოსკოვმა ანგარიშსწორების ერთ-ერთ საბაბად გამოიყენა.

# ყირგიზეთი: საზოგადოება ახალი კონსტიტუციით აღშფოთებულია

სულთან ჯუმაგულოვი
მედერ იმაკაევი
IWPR

პრეზიდენტის კრიტიკოსები ამტკიცებენ, რომ კონსტიტუციური ცვლილებები ქვეყანას დიქტატურის მსხვერპლად გადააქცევს.

ოპოზიციური პარტიები და უფლებადამცველი ჯგუფები ახალი კონსტიტუციის საბოლოო ვარიანტის თაობაზე აღშფოთებას გამოთქვამენ. პრეზიდენტი აკაევი დოკუმენტს სახალხო რეფერენდუმზე მომდევნო თვის დასაწყისში გამოიტანს.

პრეზიდენტის ოპონენტები ამბობენ, რომ დოკუმენტის უკანასკნელი ვარიანტი რესპუბლიკის კონსტიტუციური კომიტეტის მიერ შემუშავებული ტექსტისაგან რადიკალურად განსხვავდება და პარლამენტისა და პოლიტიკური პარტიების უფლებებს გაუმართლებელ შეზღუდვებს უწესებს, ასევე საგანგაშოა პრესის თავისუფლების შესახებ კანონში შეტანილი ცვლილებები.

2 თებერვალს ამომრჩევლებმა ახალ კონსტიტუციას ვერდიქტი უნდა გამოუტანონ.

აკაევმა მომავალი რეფერენდუმი ყირგიზეთის დემოკრატიის ტრიუმფად მონათლა. მისი თქმით, კონსტიტუციის შესახებ მთავრობასა და ოპოზიციას შორის მიმდინარე დისკუსიას მთელს დსთ-ში ანალოგი არ აქვს. "დემოკრატიული რეფორმების თვალსაზრისით, ყირგიზეთი ყოველთვის წამყვანი იყო დსთ-ში. ახლა ჩვენ ხელისუფლებასაც გავაძლიერებთ", - განაცხადა მან.

თუმცა, ოპოზიციური პარტიებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების უმრავლესობა პრეზიდენტის მიერ შემოთავაზებულ ვარიანტს ეჭვით უყურებს. ისინი დარწმუნებულები არიან, რომ დოკუმენტი სერიოზულ ნაკლოვანებებს შეიცავს. კოალიცია "დემოკრატიისა და სამოქალაქო საზოგადოების" ხელმძღვანელის ედილ ბაისალოვის თქმით, ეს არის "იმ მთავარი კონსტიტუციური გარანტიების შეცვლის მცდელობა, რომელიც მოქალაქეთა უფლებებსა და თავისუფლებებს იცავს". მისი მტკიცებით, ახალი კონსტიტუცია პრეზიდენტს ძალიან დიდ ძალაუფლებას მიანიჭებს.

არასამთავრობო ორგანიზაციების ლიდერები შიშობენ, რომ ახალი კონსტიტუცია მშვიდობიანი მიტინგებისა და მსვლელობების ჩატარების უფლებას მკვეთრად შეზღუდავს. ახალი დოკუმენტის თანახმად, ამგვარი აქციების მოწყობა მხოლოდ ხელისუფლების თანხმობით არის შესაძლებელი.

15 იანვარს ცენტრისტული პარტია "გლას ნაროდა" პრესაში გამოქვეყნებული საჯარო მოწოდებით შეუერთდა ოპოზიციის კრიტიკულ პათოსს და განაცხადა, რომ ახალი კონსტიტუცია ოპოზიციური პარტიების განვითარებას შეაფერხებს.

უმთავრესი ბრალდება, რომელსაც ახალ დოკუმენტს უყენებენ, არის ის, რომ იგი პარლამენტისა და სხვა სამოქალაქო ინსტიტუტების ხარჯზე მნიშვნელოვნად ზრდის პრეზიდენტის ძალაუფლებას. ადამიანის უფლებათა დამცველის ირისბეკ ომურაზკოვის აზრით, ასამბლეის როლი "საკონსულტაციო ორგანოს" ფუნქციებით შემოიფარგლება. "მას შემდეგ, რაც ახალი კონსტიტუცია შევა ძალაში, დემოკრატია ამ ქვეყანაში ტკბილ მოგონებადღა გადაიქცევა", - აღნიშნა მან.

ოპოზიციის ლიდერის ადახან მადუმაროვის თქმით, ახალი კონსტიტუცია უფლებას მისცემს პრეზიდენტს, მთავრობისა და სასამართლოს წევრები საკუთარი სურვილისამებრ დანიშნოს და გაათავისუფლოს.

ოპოზიციის აღშფოთებას იწვევს ის ფაქტი, რომ წარმოდგენილი დოკუმენტი თანამდებობის დატოვების შემდეგ იმუნიტეტს, პრეზიდენტთან ერთად მისი ოჯახის წევრებისთვისაც ითვალისწინებს.

საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის ჩოლპონ ბაეკაევას თქმით, ახალი კონსტიტუცია სასამართლოს უფლებებს ზღუდავს და საზოგადოებას სარჩელის შეტანის უფლებას ართმევს. ამის უფლება მხოლოდ პრეზიდენტს, მთავრობას, პარლამენტსა და ცენტრალურ საარჩევნო კომიტეტს ექნება.

კონსტიტუციის შესაცვლელად მუშაობა გასული წლის აგვისტოში დაიწყო, როდესაც პრეზიდენტმა კონსტიტუციური კომიტეტი დააარსა, რომელშიც საზოგადოების ყველა ფენის წარმომადგენელი და საკუთარი პოლიტიკური მოწინააღმდეგეებიც კი შეიყვანა. აკაევმა მაშინ განაცხადა, რომ მან ოპოზიციასთან დიალოგის დასაწყებად გადამწყვეტი ნაბიჯი გადადგა, რათა საზოგადოებაში კონსენსუსი იქნეს მიღწეული.

ახალი კონსტიტუციის საბოლოო ვარიანტის მიერ შექმნილმა საფრთხემ კი ახლა მრავალი ერთმანეთთან დაპირისპირებული პოლიტიკური პარტია და არასამთავრობო ორგანიზაცია გააერთიანა. მათ მოუწოდეს პრეზიდენტს, გადადოს რეფერენდუმი მანამდე, სანამ ნამდვილი კონსენსუსი არ იქნება მიღწეული.

შეისმენს თუ არა პრეზიდენტი აკევი ამ მოწოდებებს, ძნელი სათქმელია. მიტინგებზე პრეზიდენტი საზოგადოებას არწმუნებს, რომ დოკუმენტი მოსახლეობის აზრს ასახავს. "ხალხი კონსტიტუციის მიხედვით ცხოვრობს, ასე რომ, ჩვენ ვალდებულები ვართ უმრავლესობის აზრს მოვუსმინოთ", - ამბობს იგი.

პრემიერ-მინისტრმა და საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილემ განაცხადეს, რომ ახალი კონსტიტუცია პროგრესულია და ადამიანის უფლებების დაცვის მექანიზმებს გააძლიერებს. მათი თქმით, ის არც პარლამენტისა და არც მოსამართლეების უფლებებს არ შეზღუდავს.

პრეზიდენტის ოპონენტები დარწმუნებულები არიან, რომ იგი თავისას მაინც გაიტანს, რადგან დიდი სახელმწიფოების მხარდაჭერით სარგებლობს. საკონსტიტუციო კომიტეტის წევრის კუბატბეკ ბაიბალოვის აზრით, "აშშ-მ და სხვა დასავლურმა სახელმწიფოებმა, რომლებიც პროგრესულ დემოკრატიულ ღირებულებებს იცავდნენ, ცენტრალური აზია ბედის ანაბარა მიაგდეს".

ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლის ედილ ბაისალოვის თქმით, ყირგიზეთის მთავრობამ დემოკრატიაზე მას შემდეგ აიღო ხელი, რაც რუსმა მაღალჩინოსნებმა ბიშკეკის მონახულება და პრეზიდენტ აკაევის მხარდაჭერა დაიწყეს.

თუმცა, პრეზიდენტის ოპონენტთა ერთი ნაწილის აზრით, მომხდარში დამნაშავე თავად სუსტი და გახლეჩილი ოპოზიციაა. "სამოქალაქო საზოგადოებამ საკუთარი უფლებების დაცვა უნდა ისწავლოს და ოკეანის გადაღმა მცხოვრებ კეთილ ადამიანებზე არ უნდა დაამყაროს იმედები", - აღნიშნა ადამიანის უფლებათა დამცველმა ირისბეკ ომურზაკოვმა.

# ლიბია გაერო-ს ადამიანის უფლებათა კომისიის თავმჯდომარე ხდება

## თანასწორობა ყოველთვის არ ნიშნავს სამართლიანობას

დღეს, ლიბია, რომელიც დიდი ხანია, ადამიანთა უფლებების სერიულ დამრღვევად ითვლება, გაერო-ს ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე უნდა გახდეს.

გაერო-ს წესების თანახმად, წელს აფრიკის ჯერი იყო, ამ პრესტიჟული კომისიის თავმჯდომარის პოსტზე კანდიდატი დაესახელებინა. აფრიკელებმაც ლიბია შეარჩიეს, რამაც ამერიკის მხრიდან უკმაყოფილება გამოიწვია.

ამერიკელებმა განაცხადეს, რომ ლიბიას ხმას ვერ მისცემდნენ, ამიტომ პირველად კომისიის 56-წლიან ისტორიაში თავმჯდომარეს კონცენსუსის ნაცვლად, კენჭისყრის საშუალებით ირჩევენ.

აღსანიშნავია, რომ ლიბიის წინააღმდეგ გაერო-ს ჯერაც სანქციები აქვს დაწესებელი 1988 წელს შოტლანდიაში თვითმფრინავის ჩამოგდების გამო. სხვა მხრივაც, დიდი ხანია ქვეყანა, რომელსაც 1969 წლის შემდეგ კადაფი მართავს, საერთაშორისო პარიად ითვლებოდა. ლიბიას დიდი ხანი ადანაშაულებდნენ ტერორიზმის მხარდაჭერაში. თუმცა ბოლო წლებში კადაფი, რომელიც ერთ დროს ამერიკის ნომერ პირველ მტრად ითვლებოდა, შედარებით "მორჯულდა" და ტერორისტულ ორგანიზაციებთან კავშირი გაწყვიტა. მაგრამ, ადამიანის უფლებათა მდგომარეობა ისეთივე დარჩა, როგორიც ადრე იყო.

ასეა თუ ისე, რაკი ლიბია გაერო-ს წევრი და სუვერენული სახელმწიფოა, მას ისეთივე უფლება აქვს, ნებისმიერო ორგანოს თავმჯდომარის პოსტი დაიკავოს, როგორც ყველა სხვას.

ლიბიის გარდა, კომისიის წევრები არიან სუდანი, ალჟირი და კუბა. სულ მასში 53 წევრი სახელმწიფოა.

აპრილ-მაისში ლიბიის თავმჯდომარეობით უნდა გაიმართოს კომისიის სესია, რომელზეც უნდა განიხილონ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში ადამიანის უფლებათა მდგომარეობა.

აშშ-მ და კანადამ სთხოვეს, კომისიაში წარმოდგენილ შვიდ ევროპულ ქვეყანას ერთიანი პოზიციის შემუშავება და ლიბიის კანდიდატურის ჩაგდება, მაგრამ ეს შეუძლებელი აღმოჩნდა.

აფრიკულმა და აზიურმა ქვეყნებმა, რომლებიც ყოველგვარი "დისკრიმინაციის" წინააღმდეგი არიან, დაჟინებით მოითხოვეს ლიბიის კანონიერი უფლებების პატივისცემა და მისი კომისიის თავმჯდომარედ არჩევა.

ამასთან დაკავშირებით, ადამიანის უფლებათა არაერთმა ორგანიზაციამ გამოთქვა პროტესტი. მათი აზრით, ლიბიის არჩევის შემდეგ კომისია, რომელიც აქამდეც არ გამოირჩეოდა ადამიანის უფლებებისათვის თავგამოდებული ბრძოლით, კიდევ უფრო დაკარგავს ავტორიტეტს.

# სამხედროების კვალდაკვალ, პაციფისტებიც აქტიურდებიან

შაბათს მსოფლიოს ათეულობით ქვეყანაში გაიმართა ერაყში ომის მოწინააღმდეგეთა დემონსტრაციები. როგორც ცნობილია, ინსპექტორებმა გაერო-ს 27 იანვარს უნდა წარუდგინონ თავიანთი საბოლოო დასკვნა. დემონსტრანტებს სურდათ, სწორედ ამ მოვლენის წინ გამოეხატათ თავისი პოზიცია, რადგან შიშობენ, რომ დასკვნამ შეიძლება ერაყის ბედი გადაწყვიტოს.

ყველაზე მრავალრიცხოვანი დემონსტრაცია ვაშინგტონში, თეთრი სახლის მახლობლად გაიმართა. შედარებით ხანდაზმული მომიტინგეები 200-ათასიანი აქციის კომენტირებისას ვიეტნამის დროინდელ დემონსტრაციებს იხსენებდნენ. ორგანიზატორებს შორის გამოირჩეოდნენ ცნობილი მსახიობი ჯესიკა ლანჟი და გამოჩენილი აქტივისტი ჯესი ჯეკსონი.

დემონსტრანტთა მთავარი ლოზუნგი იყო "ნავთობისათვის სისხლს არ დავღვრით". ვაშინგტონის ქუჩებში გამოსულები ფიქრობენ, რომ მოსალოდნელი ომის მთავარი მიზეზია არა ატომური ბომბი, არამედ ნავთობი. საქმე ეხება მასობრივი განადგურების თამაშებს და არა მასობრივი განადგურების იარაღს, – აცხადებდა ერთ-ერთი გამომსვლელი. "მე არ მიყვარს სენტიმენტალურ სულელებთან მიტინგზე სიარული,- ამბობდა ერთი ახალგაზრდა,- მაგრამ ვფიქრობ, ეს მართლა მნიშვნელოვანია". დემონსტრაციის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა, აშშ-ს ყოფილმა გენერალურმა პროკურორმა კლარკმა კი ბუშის იმპიჩმენტის პროცესის დაწყება მოითხოვა.



მსოფლიო ერაყში ომის წინააღმდეგია.

50-ათასიანი დემონსტრაცია გაიმართა სან-ფრანცისკოშიც.

ომის მოწინააღმდეგეთა ლოზუნგები გაცილებით უფრო მწვავე იყო უცხოეთის ქვეყნებში, სადაც ანტისაომარ რიტორიკას ანტიამერიკული გამოსვლებიც დაემატა. "ჩამოაგდეთ ბუში და არა ბომბები",- სკანდირებდა 5 ათასი კაცი შვედეთში.

დემონსტრაციები საფრანგეთის 48 ქალაქში გაიმართა. გამომსვლელები აქაც გმობდნენ "სანავთობო ომს" და ამერიკის პრეზიდენტს, რომელიც ავღანეთის ომის შემდეგ "ვეღარ ჩერდება".

საპროტესტო გამოსვლები გაიმართა რუსეთშიც, სადაც ამერიკის საელჩოსთან შეკრებილ ხალხს ეკავა ტრანსპარანტები "ხელები შორის ერაყისაგან".

თუმცა, ამგვარი მოწოდებები ტკბილსიტყვაობაა იმასთან შედარებით, რასაც არაბულ ქვეყნებში შეკრებილი დემონსტრანტები მოითხოვდნენ.

ბეირუთში დემონსტრანტებმა იქვე დაიწყეს კამიკაძე-ტერორისტების რაზმებში ჩაწერა, რომლებიც იმ შემთხვევაში ამოქმედდებიან, თუ ურჯულოები ერაყს დაარტყამენ.

დამასკოში კი, როგორც ჩანს, დაავიწყდათ, რომ ანტისაომარ დემონსტრაციაზე იყვნენ და ერაყს აქეთ სთხოვეს ომის დაწყება. "ძვირფასო სადამ, დაარტყი თელ-ავივს",- ეწერა ტრანსპარანტებზე.

პაციფისტები აცხადებენ, რომ მათი პროტესტი, ალბათ, ომს ვერ შეაჩერებს, მაგრამ იმედი აქვთ, რომ თანდათან მათ მომხრეთა რიცხვი გაიზრდება." 65-ში ვიეტნამის ომის საწინააღმდეგო მიტინგებზეც თავიდან ძალზე ცოტა ხალხი მოდიოდა," – განაცხადა ერთ-ერთმა სტაჟიანმა დემონსტრანტმა.

# იყავით საზზე!

## და მოიგეთ მრავალი პრიზი ჯეოსელთან ერთად!

მიიღეთ მონაწილეობა ჯეოსელის ვიქტორინაში და მოიგეთ ყოველ კვირას: ავტომობილი ნივა, **VESTEL**-ის ფირმის ტელევიზორი, აუდიო, ვიდეო და **DVD** სისტემის მაგნიტოფონები "ელიტელექტრონიქსისაგან"* **SAMSUNG**-ისა და **NOKIA**-ს ტელეფონები, ელ-გენერატორი, უფასო სასაუბრო დრო, ფრანგული პარფუმერია.

ვიქტორინაში მონაწილეობის მისაღებად საკმარისია:

- იყოთ ჯეოსელის აქტიური აბონენტი
- უპასუხოთ ყოველკვირეულ შეკითხვას:

## ჯეოსელი გთავაზობთ 24 საათიან საბონენტო მომსახურებას?

კვირის კითხვას ჯეოსელი დაგისვამთ ტელევიზიის ("რუსთავი 2" და "პირველი არხი"), რადიოს ("ფორტუნა", "ფორტუნა +") და გაზეთის ("24 საათის" და "ალია") საშუალებით.
გამოიცნოთ სწორი პასუხი და დაადასტუროთ თქვენი ზარით:

- კი –დარეკეთ ნომერზე 111**
- არა–დარეკეთ ნომერზე 222**




# ჯეოსელი

დამატებითი ინფორმაციისათვის დარეკეთ 928 ან 822 770 177

*ელიტელექტრონიქსის მაღაზიები: თბილისი, მარჯანიშვილის 19 და ალმაშენებლის 146
ბათუმი: გამსახურდიას 47, ერას 91; ქუთაისი: გრიშაშვილის 31.
**ერთი ზარის ღირებულებაა 0,288 ლარი

## საახალწლო ფასდაკლება ჯეოსელში!

აბონენტთა საყურადღებოდ!
თქვენ შეგიძლიათ უფასოდ გადაიფორმოთ ნომერი.
იჩქარეთ!!! აქცია ძალაშია 2003 წლის 26 იანვრამდე.

# ვიდაცამ ბაქო-სუფსის მილსადენი გახვრიტა

*გუშინ, დაახლოებით 15 საათსა და 30 წუთზე გორის რაიონში, სოფელ სვენეთთან დაზიანდა ბაქო-სუფსის მილსადენი. ავარიის გამომწვევი მიზეზები დგინდება, თუმცა ექსპერტები არც დივერსიას გამორიცხავენ. საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციაში მიიჩნევენ, რომ მილი ხელოვნურად არის დაზიანებული. ამისათვის გათხრილია 70 სმ სიღრმისა და ორი კვადრატული მეტრის ფართობის თხრილი. დაღვრილი რამდენიმე კილოგრამი ნავთობი, რის გამოც მილსადენის მიმდებარე ტერიტორიაზე 60 კვადრატული მეტრი ფართობი დაბინძურდა.*

მაია ურუშაძე

საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის მენეჯერის - მურაზ ჭიღლაშვილის განცხადებით, **"მილსადენი გახვრეტილი არის დაზიანებული. სიგნალი ავარიის შესახებ პირველად მილსადენის მაკონტროლებელმა საგანგებო სენსორულმა მოწყობილობამ, დაზიანების მომენტიდან 15 წუთში მიიღო. სიგნალის მიღებისთანავე ავტომატურ რეჟიმში ამოქმედდა დამცავი სისტემა და ჩაიკეტა სარქველები, რითაც თავიდან იქნა აცილებული ნავთობის დაღვრა."**

ავარიის შესახებ ინფორმაციის მიღებისთანავე, დაზიანების ადგილზე გაემგზავრნენ საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის, კომპანია „ბი-პი“-ს, მილსადენის კომპანია „ჯი-პი-სი“-სა და გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ტერიტორიული სამმართველოს ექსპერტები.

იმის გამო, რომ საგანგებო სენსორულ მოწყობილობას "მიღებული ინფორმაციის გასაანალიზებლად" და მომენტიდან 15 წუთი დასჭირდა, ნავთობი მაინც დაიღვარა. თუმცა, როგორც მურაზ ჭიღლაშვილი აცხადებს, "მხოლოდ უმნიშვნელო რაოდენობით".

როგორც საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრი ნინო ჩხობაძე მიიჩნევს, **"დაღვრილი რაოდენობა გარემოსათვის საშიში არ არის, რადგან ავარიის ადგილი ლოკალიზებულია."** გარემოს დაცვის სამინისტროს ინფორმაციით, დაბინძურებული ზედაპირის ფართობი 60 კვადრატულ მეტრს აღწევს. **"ჯერჯერობით, გვაქვს ინფორმაცია ნიადაგის ზედაპირის დაბინძურების შესახებ, ხოლო სიღრმეში რა ხდება, არ ვიცით."** ნინო ჩხობაძე გვაცნობა, რომ დაბინძურების ადგილის თიხნარი ნიადაგია და, ამდენად, ნავთობი წყალში არ მოხვედრილა. **"ჯერჯერობით, დგინდება დაზიანების ტიპი და ნავთობის ამოტუმბვა ხდება. ადგილზე იმყოფებიან სამინისტროს წარმომადგენლები და აკვირდებიან, თუ როგორ მოახერხებს კომპანია გაწმენდას,"** – განუცხადა "24 საათს" ნინო ჩხობაძემ.

# ჩვეული განგაში საქართველოს ენერგოსექტორში

პირველი გვერდიდან

"კავკასიონიც" არ დაზიანდა, 12 საათიდან 15 საათამდე დენს თბილისის ერთი ნაწილი მიიღებს, 15 საათიდან 18 საათამდე კი – მეორე ნაწილი.

მაგისტრალურ გაზსადენზე მომხდარი ავარიის მიზეზებს რუსეთის სპეცსამსახურები სწავლობენ. მათ ოფიციალური ვერსია უკვე აქვთ - ავარია მეწყერმა გამოიწვია, მაგრამ გამოძიება, ჯერჯერობით, არც დივერსიას გამორიცხავს. ნებისმიერ შემთხვევაში, ეს ავარია ფორს-მაჟორულ ვითარებად შეფასდება. **"ამდენად, მილსადენის მფლობელ "გაზპრომს" - გაზის მომწოდებელი "იტერასთვის", "იტერას" კი "ეი-ი-ეს მტკვრისთვის", "თბილგაზისა" თუ "არმენერგოსთვის", საჯარიმო საურავების გადახდა არ მოუწევთ,"** - მიიჩნევს "იტერას" წარმომადგენელი საქართველოში თამაზ პატარიძე.

**"გაზსადენი გვირაბში გადის, ამ გვირაბის ნაწილია ჩამონგრეული. რუსეთის მხრიდან მობილიზებულია სტავროპოლისა და კრასნოდარის სახაზო სამსახურები. აღდგენით სამუშაოებში ქართული მხრიდან საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაციაც მონაწილეობს,"** – თქვა სათბობ-ენერგეტიკის მინისტრმა დავით მირცხულავამ გუშინ მოწვეულ პრესკონფერენციაზე და ენერგოსექტორში საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა, თუმცა ძნელია, ეს "საგანგებო მდგომარეობა" მოულოდნელად მიიჩნიო, როცა ქვეყნის ენერგოსექტორი მთლიანად რუსეთის ენერგომატარებლებზეა "ჩამოკიდებული"...

**"ჩვენ უკვე გავეცით ბრძანება გაზის მსხვილი მომხმარებლების შეზღუდვის შესახებ,** - გვაცნობა მირცხულავამ, - **მილებში დარჩენილი გაზის მთელი რეზერვი მოსახლეობისკენ იქნება მიმართული."** რამდენ ხანს ეყოფა მილებში დარჩენილი გაზი მოსახლეობას, მინისტრმა ვერ დააზუსტა. სამაგიეროდ, უკვე დანამდვილებით არის ცნობილი, რომ ელექტროენერგიის დეფიციტი ენგურჰესის დამატებითი დატვირთვის გზით უნდა მოიხსნას. შესაბამისად, გაიზრდება ელექტროგადამცემი ხაზის - "იმერეთის" დატვირთვაც, ეს კი მისი დაზიანების ალბათობასაც ზრდის.



დავით მირცხულავამ და მამუკა ნიკოლეიშვილმა საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადეს.

ასეა თუ ისე, სათბობ-ენერგეტიკის მინისტრი ირწმუნება, რომ რუსეთიდან იმპორტისა და ენგურჰესის მიერ გამომუშავებული დენის ხარჯზე, დილისა და საღამოს პიკური დატვირთვის დროს, საქართველოს ენერგოსისტემას საკმარისი – 1300 მეგავატის ოდენობის სიმძლავრე ექნება.

რაც შეეხება სომხეთიდან იმპორტს, ამაზე, ჯერჯერობით, ფიქრი ნაადრევია. დღემდე ატომური ელექტროსადგურის ამოქმედებას სომხეთი ვერ ახერხებდა, რადგან მას რუსეთი ატომურ საწვავს არ აწვდიდა. ამის გამო, გაზსადენზე მომხდარმა ავარიებმა სომხეთის ენერგოსექტორი გაცილებით უარეს მდგომარეობაში ჩააგდო, ვიდრე საქართველო. მოვლენების ასეთ განვითარებაში სომხურმა პრესამ რუსეთის ზეწოლა დაინახა. სომხეთში მიიჩნიეს, რომ რუსეთი სომხეთის პრეზიდენტ კოჩარიანზე წინასაარჩევნოდ ზემოქმედებას ცდილობდა, რადგან რუსეთი მისგან მთელი რიგი სტრატეგიული ობიექტების ვალებში გადაცემას ითხოვდა. სხვათა შორის, ბოლო "ახირება" სომხეთმა რუსეთს გაზსადენზე მომხდარი ავარიის შემდეგ - გუშინ დააკმაყოფილა, როცა მას მეწამორის ატომური ელექტროსადგური მართვის უფლებით "გადაულოცა". თუ სომხეთის პრესის ვარაუდი სწორია, მაშინ გაზსადენის აღდგენა "ფორსირებული რეჟიმით", უახლოეს დღეებში მოსალოდნელია.

მაგრამ, რომ არა მომხდარი ავარია, საქართველოს გაზის გარეშე დარჩენა მაინც ემუქრებოდა. საქმე ისაა, რომ "იტერასთვის" დეკემბერში მოხმარებული გაზის საფასური ჯერაც არ არის გადახდილი. **"მოსკოვში ვიზიტის დროს მიღწეულ იქნა შეთანხმება გაზის საფასურის გადახდის 23 იანვრამდე გადავადების შესახებ. როგორც ჩემთვის ცნობილია, "თბილგაზმა" მილიონ ლარამდე უკვე გადარიცხა "იტერას" ანგარიშზე. 23 იანვრამდე, ალბათ, ქალაქის მერიის დახმარებაც იქნება და მთლიანი თანხის მობილიზება მოხერხდება,"** – განაცხადა სახელმწიფო მინისტრის მოადგილემ მამუკა ნიკოლეიშვილმა. **"ჩვენ "თბილგაზსა" და "იტერას" შორის ხელშეკრულებას 27 ნოემბრის თარიღით გავაფორმებთ, ასე რომ, დეკემბრის თანხები "საქგაზის" წილის გარეშე დაითვლება,"** – დასძინა დავით მირცხულავამ.

ამასობაში კი ქალაქის მერია და სახელმწიფო კანცელარია კვლავ დავობენ, თუ ვინ უნდა დაფაროს გაზის დავალიანება. შესაბამისად, არცერთ ამ უწყებას გადასარიცხი თანხები მომზადებული არა აქვს. ყოველ შემთხვევაში, სანამ გაზსადენი ავარიულად არის დაზიანებული, მათ ფულის შესაგროვებლად დრო ჯერ კიდევ რჩებათ.

## მოკლედ

**თბილისი.** მომავალი კვირიდან თბილისის საკრებულოში ნაგავგადამამუშავებელი ქარხნის მშენებლობასთან დაკავშირებული განხილვა დაიწყება.

სავარაუდოდ, ნაგავგადამამუშავებელი ქარხნის მშენებელი ორგანიზაცია საერთაშორისო ტენდერის საფუძველზე შეირჩევა, რომლის გამჭვირვალეობის გარანტია დეპუტატებს საკრებულოს თავმჯდომარემ მიხეილ სააკაშვილმა მისცა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** „ჩვენ საქართველოში არ ჩამოგვაქვს ფული, „ი-ეს-ბი-აიმ“ თქვენს ქვეყანაში ინტელექტუალური კაპიტალი ჩამოიტანა“, - ამ სიტყვებით მიმართა სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასში“ გამართულ „ი-ეს-ბი ჯორჯიას“ მენეჯმენტ-პროექტის პრეზენტაციაზე დამსწრე საზოგადოებას „ი-ეს-ბი ჯორჯიას“ გენერალურმა დირექტორმა ბრაინ ქრონლიმ.

ირლანდიური კომპანია „ი-ეს-ბი-აი ინტერნეშნელს“, რომელიც, 75 წელია, ენერგეტიკულ პროექტებს მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ახორციელებს, „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ 5-წლიანი მენეჯმენტის უფლებით გადაეცა. 5 წლის შემდეგ კომპანია მთლიანად ქართული მხარის მმართველობაში გადავა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ძირითადი საექსპორტო ნავთობსადენის მშენებლობისათვის განკუთვნილი მილებით დატვირთული მეორე გემი ოთხშაბათს, 22 იანვარს ბათუმის პორტში შევა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**ქუთაისი.** ქუთაისში არსებული ტროლეიბუსების პარკიდან რამდენიმე ძველთაძველი ეგზემპლარიღაა შემორჩენილი და შესაძლოა, მათაც დღე-დღეზე შეწყვიტონ მოძრაობა. ქალაქში ამჟამად არსებული 22 ტროლეიბუსის მომსახურებას, მინიმუმ, 180 ათასი ლარი სჭირდება. მერია კი მომავალი წლიდან ამ სახის ტრანსპორტის დაფინანსებას საერთოდ არ აპირებს. მაგალითად, გასულ წელს ბიუჯეტიდან ტროლეიბუსების დეპოს 33 ათასი ლარი ეკუთვნოდა, თუმცა მხოლოდ რვა ათასი მიიღო. 1990 წლიდან დღემდე ბიუჯეტმა დეპოს 40 ათასი ლარი გადაურიცხა ელქტროენერგიის საფასურის გადასახდელად და არავის უკითხავს, რომ ეს თანხა მხოლოდ 4 თვის ელექტროენერგიის დავალიანების გასტუმრებას ეყოფოდა. ამჟამად ტროლეიბუსების დეპოს მარტო ელქტროენერგიის ვალი ნახევარ მილიონ ლარს შეადგენს. ხოლო საბიუჯეტო დავალიანება საურავის გარეშე 100 ათასი ლარია. საწარმოში 100-მდე ადამიანია დასაქმებული, რომელთა საშუალო ხელფასი 15-20 ლარია. ქალაქის მერია კი ტრანსპორტის აღნიშნულ სახეობას არარენტაბელურად მიიჩნევს და მის გაუქმებას აპირებს. **ბექა სისაური**

■ ■ ■

**თბილისი.** ფრაქცია „მოქალაქეთა კავშირის“ ლიდერის ვიტალი ხაზარაძის ვარაუდით, 2003 წლის ბიუჯეტის მეორე მოსმენით მიღებისას მხარდამჭერ დეპუტატთა რაოდენობა საგრძნობლად მოიმატებს. „მოქალაქეთა კავშირის“ ლიდერი ამ დეპუტატთა ვინაობას არ აკონკრეტებს, თუმცა აცხადებს, რომ ისინი ფრაქციების - „აღორძინების“, „გაერთიანებული დემოკრატების“, „მოძრაობა დემოკრატული რეფორმებისთვის“ წევრებიც არიან. 2003 წლის ბიუჯეტი პარლამენტმა მეორე მოსმენით 28 იანვრის რიგგარეშე სხდომაზე უნდა მიიღოს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ბრიტანული კომპანია "კანარგო" ამ დღეებში დაიწყებს "ნინოწმინდის" ნავთობის საბადოზე ჰორიზონტალურ ბურღვას. ამას მიეძღვნა თბილისში "კანარგოს" პრეზიდენტის დევიდ რობსონის ვიზიტი, რომელიც ლონდონიდან ჩამოვიდა. ნავთობისა და გაზის მარეგულირებელი ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელის გიორგი ითონიშვილის განცხადებით, უახლოეს დღეებში "კანარგო" დაიწყებს ბურღვით სამუშაოებს სამგორის ორ ახალ ლიცენზირებულ ბლოკზე, რომელიც ბრიტანულმა კომპანიამ 25-წლიანი იჯარით აიღო. როგორც ითონიშვილმა აღნიშნა, სამდღიანი ვიზიტის მსვლელობისას თბილისში დაგეგმილია რობსონის შეხვედრა საქართველოს პრეზიდენტთან ედუარდ შევარდნაძესთან. ის ასევე მონაწილეობას მიიღებს GAOR-ის დირექტორთა საბჭოს მუშაობაში, რომლის საკონტროლო პაკეტის მფლობელია "კანარგო". **კავკას-პრესი**

■ ■ ■

**ქუთაისი.** ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის ხელმძღვანელობას გარემოზე მავნე ზემოქმედების პრობლემის გადასაჭრელად ვადა 2003 წლის მაისამდე მიეცა. ეს გადაწყვეტილება საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრომ ქარხანაში ადგილობრივი ეკოლოგების მოთხოვნით ჩატარებული რევიზიის შემდეგ მიიღო. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** შპს "საქართველოს რკინიგზას" გორთან ნედლი ნავთობის დაწვის შედეგად გარემოზე მიყენებული ზიანის გამო 22 801 მეტი ლარის ანაზღაურება მოუწევს. გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს პრესცენტრის ცნობით, 170 ტონა ნედლი ნავთობის დაწვის შედეგად ატმოსფერულ ჰაერზე მიყენებული ზიანის ოდენეობამ 22801,08 ლარი შეადგინა. გარემოზე მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე, სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარებაზე და აგრეთვე დაბინძურებული გრუნტის აღდგენაზე პასუხისმგებელია შპს "საქართველოს რკინიგზა", როგორც გადაზიდვაზე პასუხისმგებელი ოპერატორი. "საქართველოს რკინიგზაში" ჯერჯერობით თავს იკავებენ ნავთობის მეპატრონისთვის გადასახდელი თანხის დასახელებაზე. “საქართველოს რკინიგზაში” აცხადებენ, რომ ნავთობი კომპანია "დელტა-ტრანს" ეკუთვნის. აღნიშნული კომპანია ძირითადად "შევრონის" ნავთობის გადაზიდვებითაა დაკავებული, თუმცა რკინიგზაში კატეგორიულად უარყოფენ, რომ ნავთობის მესაკუთრე "შევრონია". უკვე გავრცელდა ხმები, რომ ნავთობი კონტრაბანდული წესით გადაჰქონდათ. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

**თბილისი.** დიდთოვლობისა და გზების მოყინვის გამო: მისაბმელიანი, ნახევრადმისაბმელიანი, "იკარუსის" და მასთან გათანაბრებული ტიპის ტრანსპორტის მოძრაობა აკრძალულია მცხეთა-ყაზბეგი-ლარსის ავტოსატრანსპორტო გზის ფასანაური-კობის მონაკვეთის 66-108 კმ-ზე. ამავე მონაკვეთზე მსუბუქი ავტოტრანსპორტის მოძრაობა მხოლოდ მოცურების საწინააღმდეგო ჯაჭვების გამოყენებითაა დაშვებული.

ასევე მხოლოდ ჯაჭვების მეშვეობით შეძლებს გადაადგილებას ავტოტრანსპორტი ქუთაისი-ტყიბული-ამბროლაურის ავტოსატრანსპორტო გზის ნაქერალას უღელტეხილის მონაკვეთზე, მარნეული-თეთრიწყარო-წალკის 74-81 კმ-ზე და ზუგდიდი-ჯვარი-ხაიში-მესტიის გზის 72 კმ-დან.

დამცავი ჯაჭვების გარეშე მოძრაობა მხოლოდ თბილისი-ბაკურციხე-ლაგოდეხის, თბილისი-კოჯორი-წალკა-ნინოწმინდის, ახალციხე-ნინოწმინდა-სომხეთის მონაკვეთებსა და რიკოთის უღელტეხილზეა დასაშვები. **ინტერ-პრესი**

# „ადამიანური პროექტი“ - უმუშევარი ადამიანებისთვის

*დღეს, “საქართველოს ბანკი” და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო დასაქმების ახალი სახელმწიფო პროგრამის შედეგების პრეზენტაციას აწყობენ. პროექტი, რომლის რეალური განხორციელებაც, ხელისუფლების ნაწილის ფარული, თუმცა, აქტიური წინააღმდეგობის წყალობით, მხოლოდ გასული წლის ზაფხულში დაიწყო, უკვე ხელშესახები მიღწევებით ხასიათდება. ოფიციალური ანგარიშებისა და მშრალი ციფრების გარდა, ამას პროგრამაში მონაწილე ადამიანებიც ადასტურებენ.*

მაკა ჭაიანი

ზურაბ ჯებისაშვილს უმუშევრობის შედარებით მცირე სტაჟი აქვს. სამცხე-ჯავახეთის სამხარეო ენერგოკომპანია, სადაც იგი მუშაობდა, გასული წლის მარტში, პრეზიდენტის ბრძანებულების საფუძველზე გაუქმდა. ასე დარჩა სამი მოზრდილი შვილის მამა სამსახურის გარეშე.

**“ჩემი მეუღლე მუშაობს და, რომ გითხრათ, განსაკუთრებული მატერიალური პრობლემების წინაშე დავდექით-მეთქი, მართალი არ ვიქნები. ეს ცვლილება ჩემთვის იყო ძნელი გადასატანი. 1971 წლიდან მოყოლებული, დღე არ ყოფილა, არ მემუშავოს. შვებულებას რომ ავიღებდი, მაშინაც კი სამსახურში დავდიოდი, უცებ კი უმუშევრად ვიქეცი,** - იხსენებს ზურაბ ჯებისაშვილი. - **აღრიცხვაზე მაშინვე დავდექი, მაგრამ არაფერი გამოჩენილა. შემდეგ, ამ პროგრამის შესახებ შევიტყვე და მონაწილეობა მივიღე. ბუღალტრად მუშაობის 25-წლიანი გამოცდილება მაქვს. მაგრამ, უნდა გითხრათ, წვრთნებზე, რომელიც ტესტირების შემდეგ ჩაგვიტარდა, ბევრი, ჩემთვის საინტერესო რამ გავიგე. სწავლების და ბიზნეს-გეგმების დახვეწის თვალსაზრისით, კონსულტანტებმა ნამდვილად დიდი დახმარება გაგვიწიეს.”**

ერთობლივი ბიზნეს-გეგმა, რომელიც ზურაბ ჯებისაშვილმა და მისმა მეგობარმა, ასევე უმუშევარმა ზაზა მამულაშვილმა დაამუშავეს, “საქართველოს ბანკმა” უკვე მოიწონა. რადგან საქმიანი წინადადება ორმა პიროვნებამ წარადგინა, სესხი 12 ათასი ლარით განისაზღვრა. პროექტი ავტოსამრეცხაოს გახსნას გულისხმობს. ავტორების გარდა, მის ფარგლებში კიდევ სამი რეგისტრირებული უმუშევარი დასაქმდება. მათი ხელფასი 120-დან 150 ლარამდე განისაზღვრა, თუმცა, ეს - მხოლოდ საწყის ეტაპზე.

**“ფული, რომელსაც პროექტის განხორციელებისთვის გვაძლევენ, ფაქტობრივად, უპროცენტოა. ვვარაუდობთ, რომ მის დაფარვას ერთ წელიწადში შევძლებთ. შემდეგ, საქმის გაფართოებას ვფიქრობთ. ასე, წელიწადნახევრის შემდეგ, 10-15 თანამშრომლით მეტი გვეყოლება, ანაზღაურება კი 250-300 ლარამდე გაიზრდება. ეს სესხი კარგი საშუალებაა მცირე, მაგრამ გამართლებული საქმიანობის დასაწყებად”,** - მიიჩნევს ზურაბ ჯებისაშვილი.

საკუთარი საქმის დაწყების საშუალებას დასაქმების ეს ახალი პროგრამა კიდევ 50 უმუშევარს მისცემს. ისინიც, თავის მხრივ, სხვა უმუშევრებს დაასაქმებენ. რეგისტრირებული უმუშევრების დასაქმება ივალდებულა იმ 46-მა მცირე ბიზნესმენმაც, რომელმაც ამ პროგრამის მეორე ნაწილის ფარგლებში, საქმიანობის გასაფართოებლად, 10-15 ათასიდან 30 ათასამდე ლარის სესხი მიიიღო. მათ, სულ ცოტა, 5 ადამიანი უნდა დაასაქმონ, მინიმუმ 100-ლარიანი ხელფასით და შრომითი ხელშეკრულება განუსაზღვრელი ვადით უნდა გაუფორმონ.

**“მცირე ბიზნესის წარმომადგენლებისთვის ეს სესხის მიღების აუცილებელი პირობა იყო,** - ამბობს შრომის, დასაქმებისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომისა და დასაქმების პოლიტიკის დეპარტამენტის თავმჯდომარე, რევაზ საყვარელიძე. - **ისიც ხაზგასმულია, რომ ახალი თანამშრომლების აყვანა ძველების გაშვების ხარჯზე არ უნდა მოხდეს. მთლიანობაში, ეს არის არსებული სამუშაო ადგილების შენარჩუნებისა და ახალი სამუშაო ადგილების შესაქმნელად გამიზნული პროგრამა. ვერ დავმალავ, იგი იმაზე ეფექტური გამოდგა, ვიდრე მოველოდით. მით უმეტეს, რომ სამეწარმეო საქმიანობისთვის საქართველოში ბანკებს აქამდე სესხები არ გაუციათ. უცხოელი ექსპერტები ვარაუდობდნენ, რომ ტესტირებაგავლილი უმუშევრების მაქსიმუმ 10 პროცენტი თუ მიიღებდა დაფინანსებას. სინამდვილეში, ეს ციფრი გაორმაგდა. ეს იმის დამსახურებაც უნდა იყოს, რომ ჩვენი პროექტის ფარგლებში, მაქსიმალურად შევეცადეთ, ბანკისთვის ლიკვიდური რისკები მოგვეხსნა. ყველაზე დიდს - ძალიან ცუდ სამეწარმეო გარემოს, ჩვენ ვერ შევცვლიდით. მოქმედი კანონმდებლობის დახვეწის, კორუფციის დაძლევის, კრიმინალური გარემოს შეცვლისა და მაკონტროლებელი ორგანოების თარეშის აღკვეთის ამბიცია ამ პროგრამას ვერ ექნებოდა. დანარჩენი რისკები, სესხის ამღებთა და მათი ოჯახის წევრების დაზღვევის ჩათვლით, სადაზღვევო კომპანია “ნაბათის” საშუალებით მოიხსნა. ამ თვალსაზრისით, ეს ყველაზე ადამიანური პროექტი გამოდგა.”**

2003 წლის ბიუჯეტში ამ “ადამიანური პროექტისთვის” წლევანდელზე ორჯერ მეტი - 1 მილიონ 200 ათასი ლარია გათვალისწინებული. პარტნიორი ბანკის წილთან ერთად, გასაცემი თანხა 3 მილიონ 667 ათასს შეადგენს. ახალ ბიუჯეტში დადგენილია კვოტები უნარშეზღუდული ადამიანების, მრავალშვილიანი ოჯახების უმუშევარი შვილების, 25 წლამდე ასაკის ახალგაზრდების, სამაჩაბლოდან და აფხაზეთიდან დევნილი მოქალაქეების, ამ რეგიონებში მიმდინარე საომარი კონფლიქტების მონაწილეებისთვის. პრიორიტეტს ისევ რეგიონები წარმოადგენენ. საპილოტო პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული 96 პროექტიდან 70 პროცენტი სწორედ რეგიონების წარმომადგენლებისა იყო. რეგიონებისა, სადაც მოსახლეობა კარგა ხანია ნატურით ურთიერთობაზეა გადასული, ფულის ნიშანი კი მასწავლებლითა ხელფასის, პენსიისა და საოჯახო დახმარების სახით ჩნდება.

# ქვეყნის ბიუჯეტი - გასახეთქად გაბერილი საპნის ბუშტი

პირველი გვერდიდან

პრივატიზებიდან მისაღები შემოსავლების, საბიუჯეტო დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების სპეციალური შემოსავლების, საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებისა და უცხო სახელმწიფოთა მთავრობების მიერ საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლებისათვის გამოსაყოფი, საინვესტიციო ხასიათის გრძელვადიანი შეღავათიანი კრედიტების, არასაგადასახადო შემოსავლებისა და უცხოეთიდან მისაღები გრანტების მუხლებში მოხდება. **"ბიუჯეტის არარეალურობის ერთ-ერთი თვალსაჩინო დადასტურებაა ის, რომ ხელოვნურადაა გაზრდილი სახელმწიფო ქონების პრივატიზებიდან მისაღები შემოსავალი 41,5 მლნ ლარამდე, რაც აბსოლუტურად შეუსრულებადია და გამოიწვევს ხარჯების დაუფინანსებლობას. მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ 2002 წელს ანალოგიური შემოსავლის წყარო განსაზღვრული იყო 15 მილიონი ლარით, რომელშიც წინასწარი მონაცემებით სერიოზული გარღვევა დაფიქსირდა",** - ვკითხულობთ დასკვნაში. ექსპერტების მონაცემებით, ასევე ოპტიმისტურად გამოიყურება არამარტო შემოსავლების, არამედ ხარჯვითი ნაწილიც. ამის მაგალითად კი, დასკვნაში მოყვანილია 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში სოციალური სფეროს ხარჯვის პროგნოზი. მიუხედავად იმისა, სახელმწიფოს სოციალური სფერო პრიორიტეტად აქვს აღიარებული, ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ ასეთი ოპტიმისტური გეგმის შესრულების შესაძლებლობა მაინც საეჭვოა.



გაუმჭვირვალეობის მაგალითად, ექსპერტები ენერგეტიკის სექტორის დაფინანსებას ასახელებენ. მათი აზრით, ბიუჯეტის ტექსტში არ არის განსაზღვრული იმ მუხლით გათვალისწინებული თანხის ოდენობა, რომლის მიხედვითაც ენერგეტიკის სამინისტროს გამოეყოფა თანხები ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრის მხარდასაჭერად, “თბილგაზის” რეაბილიტაციისათვის, თბილისის მოსახლეობისათვის ელექტროენერგიის საფასურის კომპენსაციისა თუ სხვა მიზნებისათვის. სავარაუდოდ, საუბარია 40 მილიონ ლარზე, რომელიც გათვალისწინებულია ენერგეტიკის სამინისტროზე გამოყოფილ ასიგნებებში სუბსიდიებისა და ტრანსფერების სახით. **“აღსანიშნავია, რომ ხსენებული თანხა არ არის გაშიფრული კონკრეტული ადრესატების მიხედვით და მათი ხარჯვა განხორციელდება არა ბიუჯეტის კანონის მიხედვით, არამედ სახელმწიფო მინისტრის თავმჯდომარეობით შექმნილი კომისიის გადაწყვეტილებით”,** - ვკითხულობთ დასკვნაში.

ექსპერტთა აზრით, ასეთი ტიპის დაუკონკრეტებელი თანხების ბიუჯეტის კანონით გათვალისწინება მნიშვნელოვანი კორუფციის წყაროს გააჩენს. გაუგებარია იმ გასაწევი ხარჯების მიზანი და ამოცანები, რომელიც განკუთვნილია სახელმწიფო პროგრამების დასაფინანსებლად. გაუგებრობის მიზეზად, ექსპერტები ასახელებენ პროგრამული ხარჯების გაუშიფრავობასა და მათი ეკონომიკური კლასიფიკაციის შემოფარგვლას მხოლოდ "სხვა საქონელი და მომსახურების" მუხლით. **“ბიუჯეტში მოცემული ერთიანი ციფრი პარლამენტს არ აძლევს იმის საშუალებას, რომ გაიგოს, რა დგას ამ რიცხვების მიღმა, ანუ რამდენად შეესაბამება გამოყოფილი თანხა იმ მიზანს, რომელსაც სახელმწიფოს შესაბამისი პროგრამა ემსახურება”,** - ასეთია ექსპერტების დასკვნა.

ექსპერტთა დაკვირვების შედეგად დაფიქსირდა, რომ 2003 წლის ბიუჯეტის კანონპროექტი რამდენიმე მოქმედ კანონს ეწინააღმდეგება. ამის თვალსაჩინო მაგალითად, პროექტის – “გამჭვირვალე ბიუჯეტი” – მონაწილეები "საბიუჯეტო სისტემისა და საბიუჯეტო უფლებამოსილებათა შესახებ" კანონის დარღვევას ასახელებენ. ეს დოკუმენტი სახელმწიფო ბიუჯეტში მხოლოდ ორი ფონდის – პრეზიდენტის სარეზერვო ფონდისა და სახელმწიფო სარეზერვო ფონდის - ჩადებას ითვალისწინებს. მაშინ როცა 2003 წლის ბიუჯეტის პროექტში რამდენიმე, გაურკვეველი მიზნით შექმნილი, ფონდია წარმოდგენილი. ამასთან ერთად, დასკვნის მიხედვით, ბიუჯეტის პროექტით არ არის განსაზღვრული აღნიშნული ფონდების შექმნის მიზანი და მათი ხარჯვის წესი. აქედან გამომდინარე, ექსპერტები ასკვნიან, რომ **“ეჭვქვეშ დგება ამ მიმართულებით სახელმწიფო სახსრების ხარჯვის ეფექტიანობის საკითხი”.**

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შეუსაბამობა, რაც ექსპერტებმა მონიტორინგის დროს აღმოაჩინეს: **“ბიუჯეტის დეფიციტი წარმოდგენილი კანონპროექტით შეადგენს მშპ-ის 3 პროცენტს, ხოლო "საქართველოს 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების" დოკუმენტში დეფიციტი მშპ-ის 1 პროცენტით განისაზღვრა”.**

მოკლედ, "ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციისა" და მათი ექსპერტების შეფასებით 2003 წლის ბიუჯეტი გასახეთქად გაბერილი ისეთივე "საპნის ბუშტია", როგორიც წინა წლების "მთავარი" ეკონომიკური კანონები.

# კასპიისკის ტერაქტის მომმარაგებელ სამხედროებს ასამართლებენ


ახმედ მაგომედოვი


რაპან ხალილოვი


ზაურ აკავოვი

სოფიკო ჩხაიძე

დაღესტნის დედაქალაქის საგარნიზონო სამხედრო სასამართლოში დაიწყო გახმაურებული საქმის განხილვა, რომელიც უკავშირდება რესპუბლიკის ისტორიაში ყველაზე სასტიკ ტერაქტს – 2002 წლის 9 მაისს კასპიისკში მომხდარ აფეთქებას. მაშინ ტერაქტის შედეგად 45 ადამიანი დაიღუპა, 170 კი დაიჭრა. ოღონდ ამჯერად განსასჯელთა სკამზე აფეთქების მომწყობნი კი არა, არამედ ის ადამიანები სხედან, რომლებმაც ტერორისტები ასაფეთქებელი ნივთიერებებით მოამარაგეს.

სასამართლოს წინაშე წარსდგებიან ბუინაკსკში დისლოცირებული რუსეთის თავდაცვის სამინისტროს 136-ე მოტომსროლელი ბრიგადის შვიდი სამხედრო მოსამსახურე და ერთიც ამავე ქალაქის მაცხოვრებელი. სამხედროთა შორის ორი უფროსი ოფიცერია - ბრიგადის საინჟინრო სამსახურის უფროსი, ვიცე-პოლკოვნიკი ნიკოლაი იამკოვოი და ბუინაკსკის გარნიზონის საბინაო-საექსპლუატაციო ნაწილის უფროსი, ვიცე-პოლკოვნიკი ახმედ რამაზანოვი. ამას გარდა, სასამართლოს მოუწევს კაპიტნის, ლეიტენანტისა და სამი პრაპორშიკის დანაშაულის ხარისხის დადგენა. ყველა მათგანს საბრძოლო მასალის უკანონოდ შენახვა და გასაღება ბრალდება.

კასპიისკში მომხდარი ტერაქტის გამოძიებისას დაღესტნის მილიციამ და რუსეთის ფედერალური უშიშროების სამსახურის თანამშრომლებმა ტერორისტების მიერ გამოყენებული ასაფეთქებელი მოწყობილობის სახეობა დაადგინეს და მისი წარმომავლობაც გამოთვალეს. საბოლოოდ დადგინდა, რომ ტერორისტებმა ასაფეთქებელი – ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმები МОН-90 – 136-ე ბრიგადის სამხედრო მოსამსახურეებისგან შუამავლის საშუალებით შეიძინეს. სწორედ ასეთი ნაღმი, ოღონდ გამანადგურებელი ეფექტის გასაძლიერებლად მეტალის დანამატებით აღჭურვილი, გამოიყენეს ტერორისტებმა კასპიისკში.

ვარაუდობენ, რომ ამჟამად დაწყებულ სასამართლო პროცესზე მთავარი ფიგურა ვიცე-პოლკოვნიკი იამკოვოი იქნება – მისი ბრალეულობა გამოძიებამ რუსეთის სისხლის სამართლის კოდექსის შვიდი მუხლით განსაზღვრა. გამომძიებლებმა დაადგინეს, რომ სწორედ ის ინახავდა ექვს ცალ ნაღმ МОН-90-ს, კიდევ ერთი ასეთი ნაღმი კი, რომელიც იამკოვოიმ ვიცე-პოლკოვნიკ რამაზანოვს გადასცა, საბოლოოდ, 2002 წლის 4 მაისს სამოქალაქო პირის ხელში აღმოჩნდა. თანხა, რომლის საფასურადაც გაასხვისეს სამხედრო პირებმა საბრძოლო მასალა, არ სახელდება. უბრალოდ, გამოძიება დარწმუნებულია, რომ კასპიისკში 9 მაისს სწორედ ის ნაღმი ააფეთქეს, რომელიც ტერორისტებს იამკოვოისა და რამაზანოვის საშუალებით ჩაუვარდათ ხელში.

გარდა ამისა, იამკოვოისა და გამმნაღმველთა შენაერთის ხელმძღვანელს ანდრეი ვედერნიკოვს სხვა დანაშაულიც ბრალდებათ. კერძოდ, მათ არ დაიცვეს უსაფრთხოების ზომები ვადაგასული საბრძოლო მასალის განადგურებისას, რის გამოც რამდენიმე სამხედრო მოსამსახურე დაიღუპა.

კასპიისკის ტერაქტის საქმის გახსნის შესახებ რუსეთის გენერალური პროკურორის მოადგილემ ვლადიმირ კოლესნიკოვმა ჯერ კიდევ შარშან ზაფხულში განაცხადა. გამოძიების ინფორმაციით, ტერაქტის შემკვეთი იყო ხატაბის მოსწავლე, საველე მეთაური წარმოშობით დაღესტნელი რაპანი ხალილოვი. კოლესნიკოვის ინფორმაციით, ტერაქტის მოსაწყობად სწორედ მისი ბრძანებით გადმოისროლეს ჩეჩნეთიდან 18-მდე ბოევიკი. თავად ხალილოვის კვალს გამოძიებამ დღემდე ვერ მიაგნო. მისი ადგილსამყოფელის შესახებ სხვადასხვა ინფორმაცია ვრცელდებოდა. გაიჟღერა პანკისურმა კვალმაც. რამდენჯერმე სპეცსამსახურებმა მიიღეს ინფორმაცია, თითქოს მან რუსეთი დატოვა. რამდენჯერმე გავრცელდა ცნობა ხალილოვის დაღუპვის შესახებაც. თუმცა, არ გამორიცხავენ, რომ საკუთარი თავის შესახებ ჭორებს თავად ხალილოვი ავრცელებს – მას ხომ დაპატიმრების შემთხვევაში სამუდამო პატიმრობა ელის.

სიკვდილით დასჯაზე რუსეთში არსებულმა მორატორიუმმა გამოიწვია ის, რომ სამუდამო პატიმრობა მიესაჯა ხალილოვის მიერ დაღესტანში შეგზავნილ ტერორისტულ-დივერსიული რაზმის ხელმძღვანელს ზაურ აკავოვს. სხვათა შორის. ის კასპიისკის ტერაქტამდე სამი დღით ადრე დააკავეს. ამის გამო ტერორისტების გეგმები შეიცვალა და წინასწარ დაგეგმილის ნაცვლად, ტერაქტი მახაჩკალაში კი არა, კასპიისკში მოაწყვეს. სამუდამო პატიმრობის განაჩენი აკავოვს დაღესტნის სასამართლომ 16 იანვარს მახაჩკალის ციხეში გამოუტანა. მისი და მისი ბანდის შვიდი წევრის სასამართლო პროცესის მიმდინარეობას დაღესტნისთვის უპრეცედენტო უსაფრთხოების ზომების გატარება ახლდა თან. თვით აკავოვის ბანდას 13-მდე ტერაქტის მოწყობა ბრალდება. განსასჯელის სკამზე მსხდომ ამ ბანდის წევრთაგან ერთს – არტურ მამაევს სასამართლომ 22 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, დანარჩენებს კი 7-17 წლამდე პატიმრობა აკმარა.

# დეპუტატის მკვლელს რვა წლის შემდეგ მიეზღო

თამარ კაციტაძე

რამდენიმე დღის წინ უზენაესმა სასამართლომ დეპუტატ იოსებ მახალდიანის ოჯახზე მომხდარი თავდასხმის მეოთხე და მთავარ "გმირს" იოსებ ცაგურიშვილს 15 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

მახალდიანის მკვლელს და თავდასხმის ორგანიზატორს სამართალდამცველბი ექვსი წლის განმავლობაში ეძებდნენ და საბოლოოდ საკუთარ სოფელში – თლუღში (ამბროლაურის რაიონი), საკუთარი მამის სახლში დააკავეს. თუმცა, მანამდე საბრალდებო სკამზე აღმოჩნდნენ თავდასხმის სხვა მონაწილენი – ბესიკ ტყეშელაშვილი, მამუკა კბილაძე და მერაბ ფარჯიანი, რომლებმაც აღიარეს თავდასხმაში მონაწილეობა და დეპუტატის უშუალო მკვლელად ცაგურიშვილი დაასახელეს.

წარსულში ორჯერ ნასამართლევმა, ძებნის პერიოდში კი ავთანდილ და კახა კობახიძეების სხეულის დაზიანებაში ეჭვმიტანილმა ცაგურიშვილმა მახალდიანის მკვლელობაში თავი დამნაშავედ არ ცნო და ძიების პროცესში დუმილის უფლება აირჩია. თუმცა, წინასწარ და სასამართლო გამოძიებას ცაგურიშვილის თანამზრახველების, დაზარალებულების, მოწმეების დაკითხვით თუ სხვა მოპოვებული მტკიცებულებებით მახალდიანის ოჯახზე მომხდარი თავდასხმის ზუსტი სურათი უკვე გააჩნდა.

1995 წლის 21 ივლისს ამბროლაურის რაიონის სოფელ ჩორჯოში ღამის სამ საათზე ნიღბებით და ცეცხლსასროლი იარაღით შეიარაღებული სამი პიროვნება დეპუტატ იოსებ მახალდიანის ოჯახს თავს დაესხა. ამ დროს სახლში იყვნენ: დეპუტატი, მეუღლესთან და ორ მცირეწლოვან შვილთან ერთად, მშობლები - თენგიზ და თამარ მახალდიანები და მისი და ნანული, სამ ბავშვთან ერთად.

**"დაახლოებით, 3 საათზე სახლის პირველ სართულზე, სადაც თენგიზ მახალდიანს მეუღლესთან ერთად ეძინა, შემოვიდა ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღებით, პისტოლეტებითა და ხელყუმბარებით შეიარაღებული სამი ნიღბიანი მამაკაცი... თითოეულ მათგანს ხელყუმბარებისა და ტყვიების ჩასაწყობი სამხედრო ჩანთები ეკიდათ. ერთ-ერთმა ყაჩაღმა ოთახში იარაღმიდებული, საცვლებში მყოფი იოსებ მახალდიანი შემოიყვანა, რომელსაც სახლიდან ცალკე აშენებულ ოთახში ეძინა. თავდამსხმელები ავტომატს და ძვირფასეულობას ითხოვდნენ,"** – იხსენებენ დაზარალებულები.

როგორც გამოძიებით დადგინდა იაგო ცაგურიშვილმა დეპუტატის სახლზე თავდასხმა მეგობრებთან - ძმებ ავთანდილ და მერაბ ფარჯიანებთან, მურმან ბრეგაძესთან და მამუკა კბილაძესთან ერთად შაორის ტბაზე ქეიფის დროს დაგეგმა. თურმე, ნასვამი მეგობრები იმავე ღამეს ჩამსხდარან კბილაძის "ვაზ-21-011" მარკის ავტომობილში, სადაც ცაგურიშვილს ხუთი ავტომატი და თავდასხმისთვის საჭირო სხვა ნივთები ჩაუწყვია, მერე მეზობელ სოფელში ბესიკ ტყეშელაშვილისთვის გაუვლიათ და სოფელ ჩორჯოში ჩასულან.

ბრალდებულთა ჩვენებების მიხედვით, მათ მანქანა მოფარებულ ადგილზე დაუყენებიათ და სადარაჯოდ ტყეშელაშვილი დაუტოვებიათ. გეგმის მიხედვით, მერაბ ფარჯიანი და ბრეგაძე ეზოში დარჩენილან, ავთანდილ ფარჯიანი და მამუკა კბილაძე კი, ცაგურიშვილის ხელმძღვანელობით, მახალდიანების ოჯახში შესულან.

თავდამსხმელებმა ოჯახის ყველა წევრი ერთ ოთახში შეკრიბეს და დეპუტატს ავტომატი და ძვირფასეულობა მოსთხოვეს. მახალდიანს უთქვამს, რასაც ნახავთ ყველაფერი წაიღეთ, მაგრამ ავტომატი არ მაქვსო. ამგვარი პასუხით აღშფოთებულ ცაგურიშვილს რამდენჯერმე უსვრია და დეპუტატი ფეხებში დაუჭრია.

**"მეორე ყაჩაღი მივიდა მამასთან და უთხრა, ფეხები შეეხვია. მერე თავის მეგობრებს დაუძახა, არ მოკლათო. მამამ თავისი პერანგით გადაუხვია შვილს ფეხები. თავდამსხმელებმა დეპუტატის დედა და და, სამ შვილთან ერთად, მეორე ოთახში გაიყვანეს და ბავშვების დახოცვით იმუქრებოდნენ,"** – აღნიშნულია საბრალდებო დასკვნაში.

თავდამსხმელები სახლში ძვირფასეულობის საძებნელად გაფანტულან. საქმის მასალების მიხედვით, **"ნინო მახალდიანისა და ნანული მახალდიანი-გუგეშაშვილის ჩვენებით, მათ ყაჩაღებს გადასცეს 200 დოლარი, ოქროულობა, "მაკაროვი", შაშხანა "კარაბინი" და რამდენიმე სანადირო თოფი, ამავე დროს თავდამსხმელები მათ ავტომატის კონდახს ურტყამდნენ და მოკვლით ემუქრებოდნენ"** (თავდასხმის შემდეგ სხეულის მძიმე დაზიანებები ოჯახის ყველა წევრს აღენიშნებოდა).

ნადავლით უკმაყოფილო ყაჩაღები, თურმე, მახალდიანებს კვლავ ავტომატს სთხოვდნენ. **"განმეორებითი უარის მიღებისთანავე იმ ყაჩაღმა, რომელმაც თავდაპირველად იოსები დაჭრა, ავტომატიდან კვლავ ჯერით ესროლა. მერე ფეხებით დაუწყო შემოწმება - იყო თუ არა ცოცხალი. შემდეგ მეორე თავდამსხმელს წყალი მოატანინა და დაასხა, რათა საბოლოოდ დარწმუნებულიყო, რომ იგი მოკლა,"** – აღნიშნავდნენ ოჯახის წევრები. დაზარალებულთა თქმით, ყაჩაღებმა სახლის ჩხრეკა მკვლელობის შემდეგაც გააგრძელეს. მერე ოჯახის ყველა წევრს, მათ შორის - ბავშვებსაც, ხელ-ფეხი თოკით შეუკრეს და გააფრთხილეს - კარს არ მიეკაროთ, თორემ აფეთქდებითო.

მახალდიანებმა თოკებიდან გათავისუფლება გამთენიისას შეძლეს და საშველად მეზობლებს დაუძახეს.

თავის დროზე დეპუტატის მკვლელობას დიდი გამოხმაურება მოჰყვა, მაგრამ სამართალდამცველებმა პირველი დამნაშავის დაპატიმრება მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ შეძლეს. საზოგადოებაში კი აღნიშნულ მკვლელობასთან დაკავშირებით, სხვადასხვა ვერსიები ვრცელდებოდა. სხვათაშორის, თავად ოჯახის წევრებიც ამტკიცებდნენ, რომ დეპუტატის ოჯახს დაყაჩაღებისთვის კი არა, შეკვეთილი მკვლელობის განხორციელების მიზნით დაესხნენ თავს.

დღეს, მახალდიანის ოჯახზე თავდასხმის და მკვლელობის გამო სასჯელს ოთხი მსჯავრდებული იხდის, მაგრამ შეკვეთილი მკვლელობის კუთხით არც გამოძიებას და არც სასამართლოს არაფერი გამოუკვეთია.

**"იაგო ცაგურიშვილი გამოძიების დროსაც და სასამართლო პროცესზეც დუმილის უფლებას იყენებდა, ამიტომ შეკვეთილი მკვლელობის ვერსიის გასამყარებლად, ვერანაირი ჩვენების თუ მტკიცებულების მოპოვება ვერ შევძელით. სხვათაშორის, რამე საფუძვლიანი არგუმენტის დასახელება ვერც თავად ოჯახის წევრებმა შეძლეს. ამიტომ ეს საკითხი ღიად დარჩა,"** – აღნიშნა ჩვენთან საუბარში გენპროკურატურის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებელმა გია გოგლიძემ.

# შეკვეთილი მკვლელობის მცდელობა თბილისში

პირველი გვერდიდან

დავით შენგელიას სახლის წინ მოხდა, რის გამოც გაჩნდა ვარაუდი, რომ დაკავებულები დავით შენგელიაზე თავდასხმას გეგმავდნენ.

"ტყის ძმების" ლიდერს დავით შენგელიას მისი ფიზიკური განადგურების მცდელობა არ უკვირს. **"ჩემი განადგურების ეს უკვე მე-8 მცდელობაა, თავს დამესხნენ ენგურის ხიდზე, ზუგდიდში, თავს დაესხნენ ჩემს სიდედრსა და სიმამრს, რა ვიცი, რამდენჯერ მიპირებდნენ მოკვლას. სეპარატისტული ხელისუფლება ბევრს გაიღებდა ჩემი განადგურებისათვის, რადგანაც პარტიზანები მათ ყელში ეჩხირებიან, სოხუმი შეშფოთებულია სოხუმი-სოჭის მატარებლის აფეთქების შესახებ პარტიზანთა მიერ გაკეთებული განცხადებებით და პარტიზანების წინააღმდეგ ყველანაირ საშუალებას გამოიყენებს,"** – განაცხადა ჩვენთან საუბრისას დავით შენგელიამ. მან დაადასტურა ინფორმაცია, რომ წუხელ დიღმის მასივში მის სახლთან დააკავეს რუსეთის მოქალაქე, რომლის ვინაობაც მისთვის ჯერჯერობით უცნობია, და გალელი აფხაზი ყოლბაია. **"ჩემი მოკვლისთვის მათ გადაუხადეს ფული, სულ ეს ვიცი. უფრო კონკრეტულ ინფორმაციას ხვალ, პოლიციაში მისვლის შემდეგ შევიტყობ,"** – ამბობს "ტყის ძმების" მეთაური.

ჩვენი ინფორმაციით, რუსი ეროვნების ახალგაზრდა კაცი თბილისში, დიღმის მასივში, უკვე ერთი კვირაა, ცხოვრობს და შენგელიას წინააღმდეგ ტერაქტს გალის რაიონის მკვიდრის, ყოლბაიას დახმარებით ამზადებდა. იგივე ინფორმაციით, მათ შენგელიას სახლი კონტროლზე ჰყავდათ აყვანილი. ყოლბაიამ თბილისში დროებით საცხოვრებელი ბინა შენგელიას სახლის სიახლოვეს დაიქირავა. არსებული მონაცემებით, ავანსის სახით მათ უკვე მიიღეს 5 ათასი დოლარი.

სამართალდამცველები მომხდართან დაკავშირებით კომენტარს არ აკეთებენ, რადგან საქმის დეტალები, ჯერჯერობით, მათთვისაც ბუნდოვანია. გუშინ დილით, სამართალდამცველ ჩინოსანთა დისკუსია, საქმეს სახელმწიფო თანამდებობის პირზე თავდასხმის მცდელობის კვალიფიკაცია მისცემოდა და, შესაბამისად, გამოსაძიებლად გენერალურ პროკურატურას გადასცემოდა, უშედეგოდ დასრულდა. განზრახ მკვლელობის მცდელობით აღძრულ საქმეს კვლავ დიდუბე-ჩუღურეთის პროკურატურა იძიებს. ჩვენი ინფორმაციით, დაკავებულ რუსი ეროვნების მამაკაცს ვინაობის დამადასტურებელი საბუთი არ გააჩნია. მისი განცხადებით, იგი გვარად ნიკოლაევია. მკვლელობაში ეჭვმიტანილმა აღიარა, რომ მას მისთვის უცნობი მამაკაცის მკვლელობის შეკვეთა მისცეს. ობიექტი ჯერ ფოტოზე, ხოლო შემდეგ დიღმის მასივში მდებარე სახლთან დაანახეს, იმ ტერიტორიაზე, სადაც იგი დააკავეს. იგივე ჩვენებას იძლევა გალელი აფხაზი ყოლბაიაც. მათ მიერ აღწერილი გარეგნული ნიშნების მიხედვით, თავდასხმის ობიექტი, სავარაუდოდ, დავით შენგელია უნდა ყოფილიყო. დაკავებულებს ჯერჯერობით არ დაუსახელებიათ შემკვეთთა ვინაობა.

სამართალდამცველები დაკავებულთა ვინაობის იდენტიფიკაციაზე მუშაობენ და პირობას იძლევიან, რომ დღეს, საღამოს, საქმის დეტალები მათთვისაც და საზოგადოებისთვისაც ცნობილი გახდება.

# ადვოკატი ქუთაისელ პოლიციელებს ძალადობაში ადანაშაულებს

ბექა სისაური
ქუთაისიდან

ქუთაისში ჩატარებული სპეცოპერაციის შედეგად, სამართალდამცველებმა ძმები ვეფხვია და გრიგოლ ჯიქიები დააკავეს. ძმები ჯიქიები ბაღდათის რაიონის სოფელ წითელხევში ჩადენილ ყაჩაღობასა და ქუთაისის პირველი საშუალო სკოლის გაქურდვაში არიან ეჭვმიტანილები. პოლიციაში აცხადებენ, რომ ჯიქიების ჩვენების საფუძველზე, ნაყაჩაღარი ნივთები სხვადასხვა ოჯახებიდან ამოიღეს. ნაპოვნია სკოლიდან გატაცებული ორი ელექტროორღანი. პოლიციის განცხადებით, ისინი ახლა ჯიქიების პარტნიორთა გამოვლენა-დაკავებაზე მუშაობენ.

თუმცა, ძმები ჯიქიების ადვოკატი დალი სულაქველიძე ირწმუნება, რომ პოლიციამ დაჭერილი ძმებისგან ჩვენებები ძალადობის გამოყენების შედეგად მიიღო. ადვოკატი სამართალდამცველების მიერ ჩადენილ კანონდარღვევებზე საუბრობს:

**"ჯიქიების ოჯახში 12 შეიარაღებული პოლიციელი შეიჭრა. სახლში ძმები ვეფხვია და გრიგოლ ჯიქიები დედ-მამასთან ერთად იმყოფებდნენ. პოლიციელებს ფორმა არ ეცვათ, ამიტომაც ჯიქიების მშობლებმა მეზობლების დასაძახებლად ყვირილი ატეხეს. პოლიციელებმა, იმის ნაცვლად, რომ ჯიქიებისთვის განმარტება მიეცათ - ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე სახლში ჩხრეკა უნდა ჩავატაროთო, ოჯახის უფროსი და მისი მეუღლე სცემეს. რაც შეეხება დაკავებულებს, ისინიც მძიმე მდგომარეობაში არიან. პოლიციის განყოფილებაში მიყვანის შემდეგ, მათ ხელკეტებითა და სხვადასხვა საშუალებებით სცემეს. ვეფხვია ჯიქია აცხადებს, რომ ცემისაგან ფეხის თითები მოტეხილი, ხოლო ზურგი აჭრელებული აქვს. რაც შეეხება გრიგოლს, მიღებული ნერვული სტრესის ნიადაგზე მას მეტყველება დაუქვეითდა,"** – აცხადებს ჯიქიების ადვოკატი და დაკავებული ეჭვმიტანილების ცემასთან დაკავშირებით საოლქო პროკურატურაში აპირებს ჩივილს.

ქუთაისის პოლიციის უფროსი თემურ ნოზაძე ჯიქიების ფიზიკურ დაზიანებას, მართალია არ უარყოფს, მაგრამ აცხადებს, რომ ძმებმა პოლიციას დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს და დაზიანებებიც სწორედ დაკავების დროს მიიღეს. **"პოლიციამ იცოდა, რომ ოჯახში ავტომატი ინახებოდა და გარკვეულ წინააღმდეგობასაც ექნებოდა ადგილი. ამიტომაც დაკავების დროს საკუთარ მოქმედებას ვერ მოზომავდნენ. ჯიქიებმა იმისთვის, რომ გადარჩნენ, მადლობა გადაიხადონ. თუმცა, პოლიციის განყოფილებაში მიყვანის შემდეგ ისინი არავის უცემია,"**- აცხადებს თემურ ნოზაძე და წარმატებულად ჩატარებული ოპერაციისთვის ქუთაისის პოლიციის მეორე განყოფილებას მადლობა გადაუხადა.

ქუთაისის სასამართლომ ვეფხვია და გრიგოლ ჯიქიებს წინასწარი სამთვიანი პატიმრობა შაბათს მიუსაჯა. ჯიქიების ადვოკატი სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრებასაც აპირებს.

## ინფორმაცია

# „ნორდ-ოსტის" მძევალთა ადვოკატი პროკურატურაშია გამოძახებული

მოსკოვის კულტურის ცენტრის აღებისას დაზარალებულთა ადვოკატი იგორ რტუნოვი დღეს მოსკოვის პროკურატურაში უნდა გამოცხადდეს. იგი დაკითხვაზე სამართალდამცველებმა დაიბარეს.

"მრჩება შთაბეჭდილება, რომ ხელისუფლებას სურს ამ საქმეს ჩამომაშოროს, რადგან მე დამოუკიდებელი ადვოკატი ვარ, რომელსაც შესწევს უნარი, დამოუკიდებლად წარმართოს პროცესი. ამიტომაც ახლა მიბარებენ პროკურატურაში, რათა დამკითხონ, როგორც მოწმე, ასეთ შემთხვევაში მე არ მექნება უფლება "ნორდ-ოსტის" სასამართლო პროცესზე დავიცვა დაზარალებულთა ინტერესები," – განაცხადა ტრუნევმა.

ტრუნევის პროკურატურაში გამოძახების ფაქტი დაადასტურა მოსკოვის პროკურორმა მიხაილ ადიუკოვმა. პროკურორის განცხადებით, ადვოკატი უნდა დაიკითხოს დუბროვკის ტერაქტის შესახებ მის ხელთ არსებული იმ მასალების თაობაზე, რომელიც გამოძიებისთვის უცნობია. საუბარია, ტრუნევის მიერ მოპოვებულ ვიდეოჩანაწერზე, რომელიც კულტურის ცენტრის შენობაში ტერორისტებმა გადაიღეს და რომელზეც აღბეჭდილია ტერორისტების მიერ მძევალთა გაუპატიურების სცენები.

თუმცა, ადვოკატურის შესახებ ახალი კანონის თანახმად, ადვოკატი არ შეიძლება მოწმის სახით დაიკითხოს საქმეზე, რომელზეც იგი მუშაობს. ადვოკატურის შესახებ კანონი იგორ ტრუნევს საშუალებას აძლევს, გამოცხადდეს პროკურატურაში, მაგრამ უარი თქვას ჩვენების მიცემაზე. სწორედ ასე მოქცევას აპირებს "ნორდ-ოსტის" ტერაქტისას დაზარალებულთა ადვოკატი.

# ამერიკა რიცინის დამზადებაში „ალ ქაიდას" ექსპერტს ადანაშაულებს

აშშ-ს სპეცსამსახურები ლონდონში რიცინის აღმოჩენასა და, საერთოდ, საწამლავის დამზადებაში "ალ ქაიდას" ადანაშაულებს. ბრიტანული გაზეთი "სანდი თაიმსი"-სთვის აშშ-ს სპეცსამსახურების მიერ მიცემულ ინფორმაციაში ნათქვამია, რომ ინგლისში რიცინის დამზადება-გამოყენებას "ალ ქაიდას" მთავარი ექსპერტი მომწამვლელი ნივთიერებების დამზადების საკითხში აბუ მუსაბ ალი-ზარკავი ხელმძღვანელობდა. აბუ მუსაბ ალი-ზარკავს, რომელიც "ალ ქაიდას" მეთაურთა ათეულში შედის, ამერიკის სპეცსამსახურები იორდანიაში ამერიკელი დიპლომატის მკვლელობაში ადანაშაულებენ და, წელიწადზე მეტია, ეძებენ. აშშ-ს სპეცსამსახურების მონაცემებით, "ალ ქაიდას" მთავარი ექსპერტი სულ ცოტა ხნის წინ ერაყში იმყოფებოდა და ქიმიური იარაღის წარმოების თაობაზე ინსტრუქციებს ერაყიდან ავრცელებდა.

# „თავისუფლების" ჟურნალისტის ცხედარი უკრაინის სასტუმროში იპოვეს

შაბათს დილით უკრაინის ქალაქ ვინნიცას სასტუმროში ცნობილი უკრაინელი ჟურნალისტის, რადიო "თავისუფლების" მიმომხილველის სერგეი ნაბოკას ცხედარი იპოვეს. ექსპერტთა წინასწარი დასკვნით, ჟურნალისტის სიკვდილი გულის მწვავე შეტევამ გამოიწვია, შეტევის მიზეზი, სავარაუდოდ, ტრომბოფლებიტი გახდა.

ვინნიცაში სერგეი ნაბოკა რადიო "თავისუფლების" ჟურნალისტთა ჯგუფთან ერთად ჩავიდა, უკრაინის ციხეებში არსებული მდგომარეობის შესახებ რეპორტაჟის ციკლის მოსამზადებლად.

## მოკლედ

**თბილისი.** გენერალური პროკურატურის წინააღმდეგ ჟურნალისტ გიორგი სანაიას მეუღლის ხათუნა ჩხაიძის მიერ სასამართლოში შეტანილ საჩივარზე თბილისის საოლქო სასამართლო გადაწყვეტილებას ხვალ მიიღებს. ჩხაიძის ადვოკატის თქმით, მისი დაცვის ქვეშ მყოფი უკმაყოფილოა გენერალური პროკურატურის მიერ გიორგი სანაიას მკვლელობის გამოძიებით. იგი აცხადებს, რომ საქმე არაკომპეტენტურად, მნიშვნელოვანი მტკიცებულების გამოკვლევის გარეშე გამოიძიეს და მორალური ზიანის ასანაზღაურებლად 100.000 ლარს მოითხოვს. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

**თბილისი.** აშშ, რუსეთი და დიდი ბრიტანეთი მზად არიან, საქართველოს უშიშროების სამინისტროს კადრების მომზადებაში დაეხმარონ. ვალერი ხაბურძანიას თქმით, საქართველოსთვის, ასევე, დაინტერესების საგანს წარმოადგენს ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლასთან დაკავშირებით ისრაელის სპეცსამსახურების გამოცდილების გაზიარება. **პრაიმ-ნიუსი.**

■ ■ ■

**თბილისი.** შვედეთის ადამიანის უფლებათა დაცვის რაულ ვალენბერგის ინსტიტუტის წარმომადგენლები გორში სახალხო დამცველის რწმუნებულს შეხვდნენ. შიდა ქართლში ომბუდსმენის რწმუნებულის გიორგი არაყიშვილის ინფორმაციით, ვალენბერგის ინსტიტუტი, უკვე რამდენიმე წელია, აქტიურად თანამშრომლობს სახალხო დამცველის აპარატთან. ახლანდელი ვიზიტის მიზანია ადამიანის უფლებებთან დაკავშირებით სემინარების გამართვა. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

**თბილისი.** დღეს მთაწმინდა-კრწანისის რაიონულ სასამართლოში სამი ჩეჩენი პატიმრის რუსეთში ექსტრადიციის საქმის ხელმეორე განხილვა დაიწყება. რუსლან გელოგაევის, რუსტამ ელიხაჯიევისა და ხუსეინ ალხანოვის პროცესი 12.00 საათისთვისაა დანიშნული. **ინტერ-პრესი.**

# ეკლესიის რესტავრაციასთან დაკავშირებით მართლმადიდებლებს და კათოლიკეებს განსხვავებული მოსაზრება აქვთ

*გორის ღვთისმშობლის შობის ეკლესიაში, რომელიც უწინ კათოლიკური ეკლესიის სახელით მოიხსენიებოდა, მიმდინარე სარემონტო სამუშაოებმა, გორელ კათოლიკეთა უკმაყოფილება გამოიწვია. "24 საათის" რედაქციის სახელზე გამოგზავნილ წერილში გორის რომაულ-კათოლიკური საკრებულოს წინამძღვარი იეჟი პილუსი შეშფოთებას გამოხატავს იმის გამო, რომ რემონტი შენობის არქიტექტურას სრულიად შეცვლის. საქართველოს ძეგლთა დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარე კახა ტრაპაიძე შიდა ქართლში პრეზიდენტის რწმუნებულის დავით ქობლიანიძის სახელზე გამოგზავნილ წერილში ამ ფაქტს ადასტურებს და ითხოვს, ძეგლს დაუბრუნდეს პირვანდელი სახე. გორის მთავარი არქიტექტორი გია სოსანიძე კი აცხადებს, რომ სარემონტო-სარესტავრაციო სამუშაოების შედეგად ეკლესიას სწორედ პირვანდელი სახე დაუბრუნდა და სათანადო არგუმენტებიც მოჰყავს.*

ვასილ გულეური

*გორიდან*

ისტორიული წყაროებით ეკლესია აგებულია 1806-1810 წლებში. 1920 წლის მიწისძვრამ ნაგებობა ძლიერ დააზიანა. 30-იანი წლებიდან კი იგი სხვადასხვა დანიშნულებით გამოიყენებოდა, სანამ გასული საუკუნის ბოლო ათწლეულში სამთავისისა და გორის ეპარქიას არ გადაეცა. ეკლესიაში აღდგა წირვა-ლოცვა. განსაკუთრებით იმატა მრევლმა, რაც ეპარქიის წინამძღვრად მეუფე ანდრია (გვაზავა) დაინიშნა. ადგილობრივ ხელისუფლებასთან შეთანხმებით, ეკლესიის გვერდით მდებარე შენობა, სადაც განთავსებული იყო გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, ეპარქიას გადაეცა რეზიდენციისათვის, მუზეუმისთვის კი სხვა შენობა გამოინახა. ეპარქიის რეზიდენციის მშენებლობის პარალელურად დაიწყო სარემონტო სამუშაო ეკლესიის შენობის გადასარჩენად.

**"მას შემდეგ, რაც 1991 წელს მომხდარი მიწისძვრების შედეგად შენობა კვლავ დაზიანდა, აუცილებელი გახდა გარეთა ნალესის ჩამოხსნა,** – განაცხადა ჩვენთან საუბარში გორის მთავარმა არქიტექტორმა გია სოსანიძემ, – **პარალელურად არქივში მოვიძიეთ ძველი ფოტოები, საიდანაც გამოჩნდა, რომ ტაძრის კედლები არ ილესებოდა საუკუნეების მანძილზე. შელესილი იყო მხოლოდ გუმბათის ყელი, რომელსაც ხელს არც ამჟამად ვახლებთ."** ამასთან, გია სოსანიძემ განმარტა, რომ ეკლესიას განკარგავს საქართველოს საპატრიარქო და ყველანაირი სარემონტო სამუშაოს შეთანხმება მოხდა საპატრიარქოსთან არსებულ საეკლესიო ხუროთმოძღვრებისა და ხელოვნების საბჭოსთან.

ამ აზრს ეთანხმება შიდა ქართლში პრეზიდენტის რწმუნებული დავით ქობლიანიძეც, რომელსაც პრეზიდენტმა დაავალა საკითხის შესწავლა და მოითხოვა, რომ არ მოხდეს ისტორიული ძეგლის ხელყოფა.

**"ძეგლის დაზიანება კი არ ხდება, არამედ აღდგენა,** – ამბობს დავით ქობლიანიძე, – **მე ვთხოვე შესაბამის სამსახურებს, გაარკვიონ საკითხი და რაც შეიძლება მალე მომაწოდონ დასკვნა, რასაც პრეზიდენტს წერილობით ვაცნობებთ. მაგრამ, ვფიქრობ, ამ საკითხზე საპატრიარქო და ძეგლთა დაცვის დეპარტამენტი უნდა შეთანხმდნენ."**

გორის რომაულ-კათოლიკური საკრებულოს წინამძღვარმა იეჟი პილუსმა ჩვენთან საუბარში აღნიშნა, რომ დღეს კათოლიკეთათვის ეკლესიის დაბრუნების აუცილებლობა არ არის, მაგრამ არ უნდა შეიცვალოს შენობის შიდა სივრცე, არ უნდა განადგურდეს ისტორიული მემკვიდრეობა. **"ჩვენი მრევლი ძალზე უკმაყოფილოა სიტუაციით. ძეგლთა დაცვის დეპარტამენტის წინააღმდეგობის მიუხედავად, არაფერი კეთდება. იცვლება შენობის არქიტექტურა, რომ წაიშალოს კათოლიკური წარმომავლობის ყველანაირი კვალი,"** – თქვა მან. არსებული მდგომარეობის მიუხედავად, იეჟი პილუსი აღნიშნავს, რომ კათოლიკეებს და მართლმადიდებლებს არასოდეს ჰქონიათ უთანხმოება: **"მე ყოველთვის იმას ვქადაგებ, რომ არ უნდა იყოს დაპირისპირება. მადლობელი ვართ გორის ეთნოგრაფიული მუზეუმის დირექტორის, ქალბატონ თინა სოსანიძის, და მუზეუმის თანამშრომლების, რომლებმაც შეინარჩუნეს და გადმოგვცეს ქრისტეს ჯვარცმის და ღვთისმშობლის სკულპტურები, ხატები, რომლებიც საფრანგეთსა და იტალიაშია დამზადებული. მაგრამ სამწუხაროა, რომ განადგურდა საუკუნენახევრის წინ იტალიელების მიერ შესრულებული ფრესკები, რომელსაც ქართული წარწერები ჰქონდა."**



XIX საუკუნის ფოტო



ვასილ გულეურის ფოტო

ეკლესიის შენობა ამჟამად

საქართველოს ძეგლთა დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარის მიერ ხელახლა გამოგზავნილ წერილში, რომლის ადრესატიც ამჟამად გორის რაიონის გამგებელი შიო კოშაძეა, კვლავ აღნიშნულია, რომ სარემონტო-სამშენებლო სამუშაოების დროს **"მონგრეულია დასავლეთის კედელზე მიშენებული პატრონიკენის აივანი, სამხრეთის კედელში გაჭრილია ნიში, მოხსნილია შელესილობის ნაწილი, აღმოსავლეთის ფასადზე ცენტრალურ ნაწილში მონგრეულია ცოკოლზე მდგარი პორტიკი, რომლის მრგვალ სვეტებს ეყრდნობოდა რთული ლავგარდანით შემკული არქიტრავი. ყოველივე ეს კი "კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ კანონის" 25 და 37 მუხლების უხეში დარღვევაა."**

**"პატრონიკენის მოხსნისას აღმოჩნდა, რომ იგი რკინა-ბეტონის იყო. რკინა-ბეტონი კი გორში პირველად 1908 წელს გამოიყენეს როტინოვის მიერ აგებულ სამმალიან ხიდში. ამდენად, პატრონიკენი არის არაუადრეს XX საუკუნის ათიანი წლებისა,** – საპასუხო არგუმენტები მოჰყავს გია სოსანიძეს, – **ნალესის მოხსნის შემდეგ გამოჩნდა, რომ ეკლესიას ჰქონდა ღიობები. ამდენად, სამხრეთის კედელში ნიშის გაჭრით არ მომხდარა ორგანული ჩარევა, ტაძარი არ იცვლის სახეს. უფრო მეტიც, არსებობს მოსაზრება, რომ ტაძარი თავდაპირველად სამნავიანი ბაზილიკა იყო, ხოლო გარკვეული პერიოდის მერე მოხდა შენობის მომატება. ამას ადასტურებს ნაკერები, სადაც კედლის ნაწილები არ გადადის ერთმანეთში. ასეთივე რამ შეიმჩნევა აღმოსავლეთ აფსიდის გვერდითა სათავსებშიც. არქიტრავი თავიდან არ ჰქონდა და ამიტომ მოიხსნა."**

როგორც მან გაზეთ "24 საათს" განუცხადა, გორის რაიონში მდებარე უფრო მნიშვნელოვანი ძეგლი, ატენის სიონი, ბევრად სავალალო მდგომარეობაშია – სამხრეთ-აღმოსავლეთით ჩამოიშალა კედელი, ჩამოვარდა ქვა თავისი ფერწერული ფრაგმენტით. ამის შესახებ შეატყობინეს ძეგლთა დაცვის დეპარტამენტს, მაგრამ რეაგირება არ მოჰყოლია. გორის ეკლესიას კი მხოლოდ სარემონტო სამუშაოები უტარდება და ამის გარშემო ატეხილი აჟიოტაჟი ხელოვნურადაა გამოწვეული.

გორის რაიონის გამგებელი შიო კოშაძე ამბობს, რომ ეკლესიას განაგებს საპატრიარქო და მას არავითარი უფლება არა აქვს, შეაჩეროს სარემონტო სამუშაოები, რასაც ძეგლთა დაცვის დეპარტამენტი ითხოვს: **"მეუფე ანდრიას ჩამობრძანების შემდეგ ბევრი რამ გაკეთდა ჩვენს ქალაქში, რაიონში. ახლახან ეპარქიას გადავეცით ყოფილი სასულიერო სასწავლებლის შენობაც, რომელიც 1817 წელს გაიხსნა. ამჟამად შენობაში კვლავ სასულიერო გიმნაზიის გახსნაა დაგეგმილი."**

სარემონტო სამუშაო რომ ძეგლის გადასარჩენად ტარდება, ეს დაგვიდასტურა სამთავისისა და გორის ეპისკოპოსმა მეუფე ანდრიამ: **"კონსულტაციები გვქონდა საპატრიარქოს საეკლესიო ხუროთმოძღვრების და ხელოვნების საბჭოსთან, ადგილზე ნახეს ძეგლი. რაც კეთდება, მიმართულია ძეგლის სახის აღდგენისათვის. სამწუხარო ფაქტი მოხდა ფრესკებთან დაკავშირებით – როდესაც დაიწყეს გაწმენდა, ზოგი მათგანი ჩამოიშალა. თუმცა, ფრესკების ნაწილი მოიხსნა და შენახულია."** რაც შეეხება ინტერიერის შეცვლას, მეუფე ანდრია ამბობს, რომ საბჭოთა პერიოდში შენობაში სხვადასხვა ორგანიზაცია იყო და ყველა ცდილობდა, თავისებურად მოეწყო იგი. თუმცა ის ფაქტი, რომ გორში არსებული 17 ეკლესიიდან კომუნისტებმა ყველა გაანადგურეს და მხოლოდ ერთი, კათოლიკური დატოვეს, ცოტა გასაკვირია. მიუხედავად ამისა, როგორც მეუფე ანდრია ბრძანებს, კათოლიკური თემი გორში დიდი ხანია არსებობს და მან XIX საუკუნეში დიდი როლი შეასრულა ქალაქის ცხოვრებაში: **"შემიძლია ვთქვა, რომ მართლმადიდებლურ და კათოლიკურ მრევლს შორის არასოდეს ყოფილა დაპირისპირება, უთანხმოება. ვფიქრობ, ყველაფერი ურთიერთშეთანხმებით გადაწყდება. ამასთან, არის საკონსტიტუციო ხელშეკრულება, რომ ძეგლების დაცვა ხდება ერთობლივად, სახელმწიფოსა და ეკლესიის მიერ. ამიტომ ყველა საკითხი ასეც მოგვარდება."**

*თვალსაზრისი*

# თავიდან ავიცილოთ უცხო ქვეყნების დივერსია ბორჯომის ხეობაში

*რამდენიმე ხნის წინ საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციაში ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის ამჟამინდელი პროექტის პრეზენტაცია შედგა და მეც იქ გახლდით. ამ შეხვედრას საზოგადოების თვალსაჩინო წარმომადგენლები ესწრებოდნენ, რომლებიც ძირითადად ხელოვნებისა და მეცნიერების სფეროში მუშაობენ. სიმართლე გითხრათ, ჩემთვის სასიამოვნო სიურპრიზი იყო, რომ მეც მიმათვალეს შემოქმედებითი ინტელიგენციის რიგებს და ქართული ნავთობკორპორაციის პრეზიდენტის, ბატონი გია ჭანტურიასგან პირადი მიპატიჟება მივიღე. სწორედ ბატონმა გიამ, კომპიუტერული ტექნიკის დახმარებით, ჩაატარა პრეზენტაცია, რომელმაც დაახლოებით ორ საათს გასტანა. ობიექტურობა მოითხოვს, აღვნიშნო, რომ მომხსენებელი შეხვედრისათვის კარგად მომზადებული იყო და საკმაოდ ვრცლად ისაუბრა ნავთობსადენის დადებით მხარეებზე. მაგრამ პრობლემა ის გახლავთ, რომ ნავთობსადენის ამჟამინდელი პროექტის მხოლოდ დადებით მხარეებზე საუბარი საკმარისი არ არის ამომწურავი ინფორმაციის მისაღებად. აქედან გამომდინარე, საკუთარ თავში შეიცავს უდიდეს რისკს, რომ საბედისწერო შეცდომა დავუშვათ ამ მეტად გადამწყვეტ და მნიშვნელოვან მომენტში. მინდა ჩემი პროფესიული ექსპერტიზის ფარგლებში მოგახსენოთ იმ გამოტოვებული მომენტების შესახებ, რომელთაც, ვფიქრობ, უდიდესი მნიშვნელობა აქვთ ქართული სახელმწიფოებრიობის განვითარებისა და გამყარების თვალსაზრისით.*
*ჩვენს საზოგადოებას ამომწურავი ინფორმაციის მიღება ნამდვილად სჭირდება და მეც ამ პოსტულატიდან გამომდინარე ავაგებ ჩემს თეზისებს.*

ირაკლი კაკაბაძე,

**კონფლიქტოლოგიის მეცნიერებათა მაგისტრი, ამერიკის სახალხო დიპლომატიის ინსტიტუტის წარმომადგენელი სამხრეთ კავკასიაში**

მთავრობის არგუმენტი, რომ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი საქართველოსათვის უდიდეს პოლიტიკურ მნიშვნელობას ატარებს, უთუოდ მისაღებია. ნამდვილად, გეოპოლიტიკური ჭრილების ახალ გადანაწილებაში ეს ენერგეტიკული დერეფანი საქართველოს უთუოდ დაეხმარება საკუთარი დამოუკიდებლობის განმტკიცებაში. თუკი პროექტი სწორად განხორციელდება, ის ნამდვილად მხოლოდ სასიკეთო იქნება ჩვენი საზოგადოებისა და ქვეყნისათვის. მაგრამ, ამ თუზე პასუხის გასაცემად, ჩემდა სამწუხაროდ, მხოლოდ ის არგუმენტები არ კმარა, რომლებიც ბატონ გია ჭანტურიას მოჰყავს საკუთარ მოხსენებებში.

უპირველესად, როგორც ადამიანმა, ვინც პოლიტოლოგია დასავლეთში ისწავლა როგორც საგანი, მინდა ვთქვა - ყველაფერი, რაც მისაღები შეიძლება იყოს სხვადასხვა კერძო კომპანიისა თუ ინტერესთა ჯგუფისათვის, ნამდვილად არ არის მისაღები საჯარო მოსამსახურეებისათვის, რომლებიც მთელ ქვეყანას ემსახურებიან და არა მხოლოდ ერთ ინტერესთა ჯგუფს. ბორჯომის რაიონში ფანჯრებზე ლოზუნგის გამოკვრა (იმედი მაქვს, ეს ბატონ გიას არ შეუკვეთია): "ნავთობსადენი დემოკრატიის გარანტია" არის მოსახლეობის შეცდომაში შეყვანა და მოტყუება. უპირველეს ყოვლისა, ნავთობსადენი თავისთავად არაფრის გარანტი არ შეიძლება იყოს, რადგანაც ნებისმიერ ეკონომიკურ წამოწყებას და, მათ შორის, ნავთობსადენსაც ყოველთვის ახლავს გარკვეული რისკი. ეს ბევრ ფაქტორთან არის დაკავშირებული, მათ შორის: სტიქიური უბედურება, პოლიტიკური, სამხედრო ქარტეხილები და ა.შ. მეორეც, და არანაკლებ მნიშვნელოვანი, ნავთობსადენები არსებობს როგორც დემოკრატიულ, ასევე არადემოკრატიულ ქვეყნებში. ამ უკანასკნელთა მაგალითებად შეგვიძლია მოვიყვანოთ სუდანი, ნიგერია, კუვეიტი, საუდის არაბეთი, ბახრეინი, ერაყი და ასე შემდეგ. არც ერთი ეს ქვეყანა დემოკრატიული არ არის. სიმდიდრე, რომელიც ნავთობსადენს შემოაქვს, მმართველი ელიტების მიერ არის დატაცებული და გაფლანგული. გამონაკლისს ალბათ კუვეიტი წარმოადგენს. მაგრამ, იქაური მთავრობისა და ხალხის მიმართ მთელი პატივისცემით მინდა ვთქვა, რომ დემოკრატიული წყობისგან კუვეიტი ისევე შორსაა, როგორც ჩვენ - სამართლიანისგან. ასე რომ, ასეთი ლოზუნგების გამოკვრა საჯარო მოხელეებს ნამდვილად არ ეკადრებათ, რაც უნდა კეთილშობილური იყოს მათი საბოლოო მიზანი.

ხსენებულ შეხვედრაზე ბატონმა გია ჭანტურიამ აღნიშნა, რომ მსხვილი დასავლური კომპანიები არაპატიოსან და მოსახლეობის ცუდ მდგომარეობაში ჩამგდებ გადაწყვეტილებებს არ იღებენ. ესეც, გარკვეულწილად, არაკორექტული და ზედმეტად მიამიტური განცხადებაა. სულ ახლახან, სწორედ ენერგეტიკულმა კომპანიამ "ენრონმა" მოატყუა და გაძარცვა როგორც საკუთარი აქციონერები, ასევე მრავალრიცხოვანი კლიენტები. ამ კომპანიის ერთ დროს საამაყო მენეჯმენტის წევრებმა კენ ლეიმ, სკილინგმა და ფასტოუმ 63 მილიარდი (?!) დოლარი გააქრეს და უკაპიკოდ დატოვეს აქციონერები. ახლა ამერიკაში მათ წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმეა აღძრული და, ადრე თუ გვიან, ისინი პასუხს აგებენ ხალხის წინაშე. მათთან კავშირში აღმოჩნდა აგრეთვე ცნობილი ფინანსური კომპანია "ართურ ანდერსენი" (საერთაშორისო აუდიტთა "დიდი ხუთეულის" უკვე ყოფილი წევრი).

მარტო 2001 წელს, შეერთებულ შტატებში გამოვლენილი კორუმპირებული კომპანიების რიცხვი სარეკორდოა. საკომუნიკაციო კომპანია "უორლდკომმა" მოახერხა 103 მილიარდი (?!) დოლარის მითვისება და გაქრობა. ამ კომპანიის პრეზიდენტის ბერნი ებერსის მიმართაც სისხლის სამართლის საქმეა აღძრული. საბედნიეროდ, ამერიკაში არსებობს ასეთი პროცესების რეგულირებისა და აღკვეთის მექანიზმები, რაც ადგილობრივ თუ უცხოელ საბაზრო ყაჩაღებს საშუალებას არ აძლევს, მიითვისონ ყველაფერი და დიდი ხნის განმავლობაში ატყუონ ხალხი. აი, ეს არის დემოკრატიული წყობა, როცა ყველაფერი ხალხის კონტროლის ქვეშაა და მსაჯულიც, სწორედ, ხალხია. თუკი ჩვენთან ასეთი სისტემა არ დავამკვიდრეთ, მაშინ ძალიან ადვილია, მთელი ერი მხოლოდ ერთი კომპანიის ლუკმა გახდეს. მარტო ბერნი ებერსის მიერ შესანსლული თანხა ხომ საქართველოს მთლიან ბიუჯეტს 200-ჯერ აღემატება.

წმინდა კონფლიქტოლოგიური თვალსაზრისით, ბორჯომის ხეობაზე ნავთობსადენის გაყვანა საკმაოდ რთულ ეთნო-პოლიტიკურ სიტუაციას შექმნის საქართველოში. ისედაც იზოლირებულ სამცხე-ჯავახეთს ის კიდევ უფრო დიდ იზოლაციაში აღმოაჩენს. ამის საპირისპიროდ, ახალქალაქის მარშრუტი პოლიტიკურად ბევრად უფრო მომგებიანია ქვეყნის ტერიტორიული ერთიანობის განმტკიცებისა და მოსახლეობის ეკონომიკური დონის ამაღლებისათვის. ბორჯომის ხეობაში უკვე იგეგმებოდა ე.წ. სუფთა ინვესტიციები დაახლოებით 20 მილიონი დოლარის ოდენობით, რომელიც მინერალური წყლისა და იქაური ეკოსტრუქტურის განვითარების საქმეში უნდა ჩადებულიყო. ამას გარდა, ბორჯომის ხეობას საკუთარი ეკოლოგიური საგანძურით კიდევ მილიონობით დოლარის მოზიდვა შეუძლია. სამწუხაროდ, ამას ვერ ვიტყვით ახალქალაქის რეგიონზე. ჩვენ, ამ ნავთობსადენის ბორჯომის ხეობაზე გაყვანით, ერთი მხრივ ქართულ ეროვნულ ეკოლოგიურ საგანძურს ვაგდებთ დიდ განსაცდელში და, მეორე მხრივ, იზოლირებას ვუკეთებთ რეგიონს, რომელსაც წყალივით სჭირდება ინვესტიციები.

მსოფლიო საფინანსო ინსტიტუტების ლიდერებს ნავთობსადენის პოლიტიკური და ეკოლოგიური უსაფრთხოების სისტემის უფრო საფუძვლიანი შესწავლის მოთხოვნით მიმართა ექსპერტების ჯგუფმა. მასში, ქართველ ეკოლოგებთან ერთად, შედიოდნენ: ამერიკელები - ქეროლ უელჩი, დაგ ნორლენი, პატრიკ მაქქული, ემილე თენარდი, აარონ გოლდზაიმერი; ინგლისელები - ჯეიმზ მარიოტი, შონ სქენელი, ნიკოლას ჰილდიარდი. აგრეთვე მრავალი სხვა ქვეყნის წარმომადგენლები. ამ ექსპერტთა ჯგუფის აზრით, საკითხი შესწავლილი არ არის და უსაფრთხოებაც შორსაა გარანტიისაგან. საქართველოს მთავრობის მიერ მოწვეულმა "ნიდერლანდების კომისიამ", რომელმაც გარემოსდაცვითი უსაფრთხოების საკითხებზე გააკეთა დასკვნა, აგრეთვე უარყოფითი შეფასება მისცა შემოთავაზებულ მარშრუტს. ამ დასკვნაში ნათლად ჩანს, რომ, კომისიის შეფასებით, საქართველოს მთავრობის მიერ დაწუნებული ახალქალაქის მარშრუტი ბევრად უსაფრთხოა, ვიდრე ბორჯომისა. ამ კომისიის დასკვნის მიხედვით, ოთხი არსებული დერეფნის ნავთობკომპანიის მიერ გაკეთებული შეფასება არ არის გამჭვირვალე (გვ.8), არ არსებობს გარემოსა და სოციალური მენეჯმენტისა და მონიტორინგის გეგმები (გვ.8). აგრეთვე კომისიის დასკვნის მე-13-მე-14 გვერდებზე ვკითხულობთ მეტად საინტერესო ციტატას:

**"მთავრობის ოფიციალურმა პირებმა განაცხადეს, რომ ახალქალაქის რაიონის მოსახლეობა მილსადენის წინააღმდეგი იყო და ამიტომაც დამატებით საფრთხეს უქმნიდა მილსადენის უსაფრთხოებას (საბოტაჟი, კრიმინალი, გატაცება, სამოქალაქო შფოთი). მთავრობის სხვა ოფიციალურმა პირებმა და ექსპერტებმა ამის საწინააღმდეგო განცხადება გააკეთეს - მილსადენის გაყვანას შეეძლო, შეეთავაზებინა მათთვის იზოლაციის შემცირებისა ხელსაყრელი შემთხვევა და მიეცა შესაძლებლობა რაიონის განვითარებისათვის. ამიტომაც, კომისია ჩავიდა ამ რაიონში და ინტერვიუ ჩამოართვა კაცებს, ქალებს და ახალგაზრდებს შემდეგ სოფლებში: გადო, თურცხისი, ქოთელია. ყველა ადამიანი, ვისაც ინტერვიუ ჩამოართვეს, ინფორმირებული იყო მილსადენის შესახებ და აცხადებდნენ, რომ მათ უნდოდათ, რაც შეიძლება მეტი სარგებელი ენახათ მილსადენისგან. მათ გაცნობიერებული ჰქონდათ ფაქტი, რომ სამუშაოს შოვნის შესაძლებლობა მხოლოდ დროებითი იყო. არც ერთი ადამიანი არ ყოფილა მილსადენის გაყვანის წინააღმდეგი საქართველოს, ან კერძოდ ახალქალაქის რაიონის გავლით. ხალხის დამოკიდებულება მილსადენის, ისევე როგორც მათი რაიონის განვითარების შესაძლებლობების მიმართ, მხედველობაში არ იქნა მიღებული გსზშ-ს (გარემოსა და სოციალური ზემოქმედების შეფასების) ანგარიშში"**

ეს მეტად საინტერესოა. ამ დოკუმენტის მიხედვით ჩანს, რომ თვით საქართველოს მთავრობაშიც კი არ ყოფილა ერთსულოვნება ახალქალაქის მარშრუტის უარყოფასთან დაკავშირებით. ჩვენთან პირველი შეხვედრის დროს გია ჭანტურიამ აღნიშნა, რომ თვითონაც მხარს უჭერდა ახალქალაქის მარშრუტს; შემდეგ კი მანვე მიუთითა უშიშროების საბჭოზე, როგორც ამ მარშრუტის ჩამშლელზე. ამ დღეებში, ვაშინგტონიდან მიღებული კონფიდენციალური ინფორმაციით, ეს ამბავი გარკვეულწილად დადასტურდა. როგორც იქიდან გვითხრეს, ბატონი ჭანტურია თავიდანვე ახალქალაქის მარშრუტის მომხრე იყო, მაგრამ უშიშროების საბჭოში მას ამის საშუალება არ მისცეს. იქ, ამ ინფორმაციის თანახმად, არსებობს რუსეთის ლობი, რომელიც ცდილობს, მილსადენი ბორჯომზე გაიყვანოს და მერე მოახდინოს ეთნიკური კონფლიქტის ორგანიზება საქართველოში. ამ ინფორმაციის თანახმად, აღნიშნულ პროცესს პირადად ბატონი ევგენი პრიმაკოვი ხელმძღვანელობს. უკვე მზადდება ექსტრემისტთა ჯგუფი, რომელიც უნდა ავიდეს ბორჯომის ხეობაში დაააფეთქოს ნავთობსადენი, რითაც გამოიწვევს არნახულ ეკოლოგიურ კატასტროფას. ვინ არის საქართველოს დღევანდელ უშიშროების საბჭოში პრიმაკოვის პროტეჟე, ჩვენთვის ამჟამად უცნობია. შევარდნაძესთან მას რომ დაძაბული ურთიერთობა აქვს, ეს ცნობილი ფაქტია. ასე რომ, ეს ვარიანტი თითქმის გამორიცხულია. დანარჩენების საკითხი კი, გაურკვეველია. ეს საკითხი შესწავლას საჭიროებს. თუკი გია ჭანტურიას მიერ ნათქვამი და ვაშინგტონიდან დადასტურებული ინფორმაცია მართალია, მაშინ ჩვენ ყველანი გვერდში უნდა ამოვუდგეთ მას, რომ გადაწყდეს ნავთობსადენის გავლა ახალქალაქის მარშრუტით და არ დავუშვათ ტერორისტული აქტი ბორჯომის ხეობაში. ეს მეტად სერიოზული საფრთხეა და ამაზე მთელი საზოგადოება უნდა დაფიქრდეს.

მაგრამ, მეორე შეხვედრაზე ბატონმა ჭანტურიამ გვაჩვენა გაურკვეველი წარმოშობის ახალქალაქელი ექსტრემისტის წერილი, რომელიც ინტერნეტში წაიკითხა. გამორიცხული არ არის, ეს ექსტრემისტი, სწორედ, პრიმაკოვისა და უშიშროების საბჭოს იმ წევრების მიერ იყოს დაქირავებული, რომლებზეც ბატონი გია და ჩვენი ვაშინგტონელი მეგობრები საუბრობენ. მაგრამ, ასეთი ექსტრემისტები რომ ბევრი არ არის, ჰოლანდიური კომისიის დასკვნიდან კარგად ჩანს - სამ სოფელში ამ რადიკალური პოზიციის გამზიარებელი ერთი ადამიანიც არ აღმოჩნდა. ნებისმიერი ექსტრემისტი კი, თუ მას შესაძლებლობა მიეცა, ბორჯომშიც ავა და იქაც მოაწყობს ტერორისტულ აქტს, თუ ეს ჩვენმა სახელმწიფომ დაუშვა.

მთელი უბედურება ის არის, რომ ეს სახელმწიფო ჯერჯერობით ჩვენ - ხალხს არ გვეკუთვნის და ამიტომაც ხდება მუდმივად გარეშე ძალით აპელირება. მზე ხან მოსკოვიდან ამოდის, ხან ჰიუსტონიდან (რომელიც მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ბინძური ქალაქია ეკოლოგიური თვალსაზრისით), ხან სტამბოლიდან და ხანაც კიდევ სხვა ადგილიდან. ჩვენი მზე აქ, საქართველოში უნდა ამოდიოდეს და აქვე ჩადიოდეს. ეს, რა თქმა უნდა, ნიშნავს, რომ ჩვენს აზერბაიჯანელ, სომეხ, ქურთ თუ სხვა ეროვნების მოქალაქეებს თანაბარი პატივისცემით მოვეპყრათ. თუ მათში გარკვეული კონფლიქტი თუ უთანხმოება არსებობს, მისი მოგვარებისაკენ ვისწრაფვოდეთ და არა გამწვავებისაკენ. საქართველომ რეგიონში მშვიდობისმყოფელის როლი რეალურად უნდა აიღოს და არა მხოლოდ სიტყვებით. სამწუხაროდ, ამ მარშრუტის პოლიტიკური მხარე მეტად უსუსურია და მხოლოდ დაპირისპირებებს თუ აჩენს საზოგადოებაში. მას შემდეგ, რაც ნავთობსადენის გამყვანი კომპანიის ეს დოკუმენტი (დაგვიანებით) გამოქვეყნდა, ჩვენს საზოგადოებაში განხეთქილების კიდევ ერთი ვაშლი გაჩნდა. ამის საპირისპიროდ, ჩვენ უნდა ვეცადოთ, რომ ნავთობსადენი მშვიდობას მოემსახუროს და არა დაპირისპირებას.

მინდა, რომ ბატონმა გიამ, ნავთობსადენის კარგ მხარეებზე ლაპარაკთან ერთად, იმ რთულ შეკითხვებზეც გასცეს პასუხი, რომლებსაც მას უკვე დიდი ხანია უსვამენ კვალიფიცირებული ექსპერტები ჰოლანდიური კომისიიდან, მსოფლიო ბანკის ჯგუფიდან, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიიდან და, რაც მთავარია, მოქალაქეები საკუთარი ქვეყნიდან. მსოფლიო ისტორიას ახსოვს როგორც ნავთობისაგან აყვავებული, ასევე დანგრეული ქვეყნები. ჩვენ - საქართველოს მოქალაქეებს გვინდა, რომ პირველთა რიგებში ვიყოთ, რომ ჩვენს ქვეყანას მართლა დაეტყოს ეკონომიკური და სოციალური აღმავლობა. ამისათვის ბევრი მუშაობაა საჭირო და უშიშროების საბჭოს მიერ მოწყობილი ბორჯომის მარშრუტის საპროპაგანდო კამპანია ნამდვილად არ არის საკმარისი ამ მიზნის მისაღწევად. საჭიროა, რომ დასხდნენ ეკოლოგიის, პოლიტოლოგიის, სოციალურ მეცნიერებათა, კონფლიქტოლოგიის წარმომადგენლები და კარგად აწონ-დაწონონ ამ მარშრუტის ალტერნატივები, მათი ავ-კარგი. აგრეთვე საჭიროა, რომ ეს პროცესი იყოს გამჭვირვალე, როგორც ამას ჰოლანდიის მთავრობის კომისია და მსოფლიო ბანკის ჯგუფი მოითხოვენ. ამ კითხვებზე პასუხი ხალხმაც უნდა იცოდეს. ჩვენ არ გვაქვს უფლება, ხალხს რამე დავუმალოთ, როდესაც ასეთ საპასუხისმგებლო გადაწყვეტილებას ვიღებთ. ამის საზღაური შეიძლება უმძიმესი იყოს: ბორჯომის ხეობის ეკო-საგანძურის სრული გავერანება და სამცხე-ჯავახეთის რეგიონის დაკარგვა. ამიტომაც გვმართებს, შევაჯეროთ ჩვენი პროფესიონალიზმი ჩვენს მოქალაქეობრივ პოზიციასთან, რადგანაც აქ ორივეს ქონა აუცილებელი პირობაა სასურველი შედეგის მისაღებად. ჩვენ ხალხს "პიარ"-ის ტექნოლოგიური ტრიუკებით კი არ უნდა ველაპარაკოთ, არამედ - მხოლოდ მეცნიერულად დასაბუთებული და სიმართლეზე დაფუძნებული არგუმენტაციით.

საქართველო ველარ გადაიტანს კიდევ ერთ აფხაზეთს. ეთნიკური იზოლაცია და დაპირისპირება არც ჩვენს ინტერესებშია, არც აზერბაიჯანისა და არც სომხეთისა. ამის მაგივრად ჩვენ უნდა ვეძიოთ თანამშრომლობის გზები, რითიც სამივე ერი შეძლებს კეთილმეზობლური ურთიერთობების შენარჩუნებას. რაც შეეხება იმას, რომ რუსეთის დაზვერვის ინტერესები ემთხვევა ეკოლოგთა ინტერესებს, ესეც სრული პოლიტოლოგიური ნონსენსია. რუსეთის დაზვერვის (თუ ის საქართველოს წინააღმდეგ მოქმედებს, როგორც ამას ზოგიერთი არაპროფესიონალი პოლიტოლოგი აცხადებს) ინტერესებში შედის საქართველოში ახალი ეთნიკური კონფლიქტის გაღვივება და ამის შემდეგ საქართველოს მარტივ მამრავლებად დაშლა. დღეს, სიმართლე გითხრათ, ამაში ცოტა ეჭვი მეპარება. მაგრამ, გინდაც ეს "ახალი მედასავლეთე პროპაგანდისტები" მართალნი იყვნენ, მაშინ, სწორედ, ახალქალაქის რაიონის იზოლაცია და ქართველთა ფეხის ამოკვეთა იქიდან ბევრად უფრო წაადგება რუსეთისთვის ხელსაყრელი ეთნიკური კონფლიქტის გაღვივებას, ვიდრე ახალი ინვესტიცია და თანამშრომლობის დაწყება. ეს მარტივი ლოგიკაა, რომელიც უბრალო კონფლიქტოლოგიისა და პოლიტოლოგიის საზღვრებს სცდება. ადამიანს, რომელსაც ფულს უყოფ, ბევრად ნაკლები აქვს საშარო და სხვაგან წასასვლელი, ვიდრე იმას, ვისაც საერთოდ არაფერს აძლევ. ასე რომ, ბორჯომის ხეობის მარშრუტი, კონფლიქტების წარმოქმნის თვალსაზრისითაც, მეტად დიდ საშიშროებას შეიცავს, ეკოლოგიას რომ თავი დავანებოთ.

ამ შემთხვევაში გამოსავალიც არ არის რთულად მოსაძებნი. ჩვენ ვეხმარებით ნავთობის კორპორაციას, რომ "ბაქო-თბილისი-ჯეიჰანმა" საქართველოს ტერიტორიაზე გაიაროს. ისინი კი, ჩვენ გვეხმარებიან პოლიტიკური თუ ეკოლოგიური რისკების თავიდან აცილებაში, რასაც ბორჯომის გზა შეიცავს. ეს არის თანამშრომლობის და არა კონფრონტაციის მოდელი. მაგრამ, თანამშრომლობა უნდა ემყარებოდეს ურთიერთპატივისცემას, გამჭვირვალეობას, სიმართლეს და პრობლემების გადაჭრის სურვილს. ისეთი გადაჭრისა, სადაც ყველა დაინტერესებულ მხარეს რაიმე რჩება. მხედველობაში მყავს საქართველოს როგორც აზერბაიჯანელი, ასევე სომეხი მოსახლეობა. ისინი ხომ ჩვენი ქვეყნის მოქალაქეები არიან.

რაც მალე დაიწყება ეს კონსტრუქციული დიალოგი, მით უფრო კარგი იქნება ნავთობის კორპორაციისთვისაც და მთელი მოსახლეობისთვისაც. რაც უფრო მეტ კარგ სპეციალისტს მოვიზიდავთ ჩვენ შესაბამის დარგებში, მით უფრო დიდი შანსი გვაქვს, რომ უმტკივნეულოდ მოვაგვაროთ ეს პრობლემა. რაც უფრო დროს გავწელავთ, მით უფრო გავზრდით კონფლიქტის შესაძლებლობას.

www.24hours.ge 24 B



ომბუდსმენს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შაბათობით.
ტელ.: 20 24 24
ან ნებისმიერ დროს
ელ-ფოსტით:
nladaria@24hours.ge




# მომავალ ორშაბათამდე!



ნოდარ ლადარია

არ ვიცი, იქნებ ეს უბრალოდ ჩემი ემოციური შთაბეჭდილებაა, მაგრამ დაარსებიდან დღემდე მსგავსი სასოწარკვეთილება არ გადმოსულა ჩვენი გაზეთის გვერდებიდან, როგორც წინა კვირას, 2003 წლის 13-დან 18 იანვრამდე. მართალია, საქართველოს პოლიტიკური და საზოგადოებრივი სინამდვილე ადრეც არასოდეს ყოფილა საათივით აწყობილი და მოწესრიგებული, მაგრამ დღემდე მისი გაშუქება "24 საათში" თავისთავად იმედის მომგვრელი იყო: მიუხედავად სტატიებსა და სხვა მასალებში მოთხრობილის შინაარსისა, ყოველთვის ჩნდებოდა აზრი, რომ არსებობენ ადამიანები, რომლებიც ყოველივეს ხედავენ და მათი ნათელი მზერის წინაშე შეიძლება ისეც მოხდეს, რომ სინამდვილე სასიკეთოდ შეიცვალოს. ამისაგან განსხვავებით, ბოლო კვირას გამოქვეყნებულ მასალათა სათაურები უბედურების მაუწყებელ შეტყობინებებად ჩანან.

გულისშემძვრელია ორი ლასურიას ტრაგედია: ერთი მათგანი არის ცაგერის რაიონის დამეწყრილი სოფელი ლასურიაში, მეორე კი აფხაზეთის მკვიდრი, ავთანდილ ლასურია, რომელსაც გაჭირვებამ, უხეშმა გარეგანმა ჩარევამ, საკუთარმა გულუბრყვილობამ თუ ვინ იცის რამ აიძულა რუსეთის მოქალაქეობის მიღება. სოფლის ტრაგედიას 13 იანვრის ნომერი მიეძღვნა, კაცის უბედურებას კი — 16 იანვრისა. ამ უკანასკნელ წერილში (ზაზა წულაძე, *350 დღე "აბსოლუტურ ბედნიერებამდე"*) საკმაოდ დეტალურადაა აღწერილი ყველა ის ორაზროვნება თუ უაზრობა, რაც პასპორტში ახალი შტამპის ჩაკვრას მოჰყვება, მაგრამ ერთი რამ არ იგრძნობა: ის, რომ ყველა ეს ნებაყოფლობით მოტყუებული თუ სხვისი ძალადობის მსხვერპლად ქცეული ადამიანი სინამდვილეში საქართველოს მოქალაქეა. შეიძლება ამ სტატიაში არც იყოს ამის ადგილი ან შესაძლებლობა (აქ მე ჩემი პირადი ბიოგრაფიის დეტალები მაბრმავებს და მიკარგავს ობიექტურობას), მაგრამ ერთი რამ ნათელია: სადღაც მაინც უნდა გამოჩნდეს, რომ აფხაზეთის ყველა მცხოვრები, თუნდაც ყველაზე უფრო შეგნებული სეპარატისტი სინამდვილეში საქართველოს მოქალაქეა და სამშობლო არა მარტო სთავაზობს საკუთარ თავს, არამედ განუწყვეტლად ზრუნავს მასზე.

მაგრამ მხოლოდ ეს ტრაგედიები არ ყოფილა ჩემი სასოწარკვეთილების მიზეზი. არავისთვის არაა საიდუმლოება, რომ მე არაერთხელ გამომიხატავს ირონია როგორც რუსოფილების (პირობითად ვამბობ), ასევე რუსოფობების მიმართ. მაგრამ გასული კვირის პუბლიკაციები მარწმუნებს, რომ მსუბუქი ან თუნდაც მწვავე ირონია უკვე უადგილოა. ჩვენს სინამდვილეში არასოდეს გამოჩენილა რუსეთის გავლენა ასეთი ულმობელი სიცხადით, როგორც ახლა. "24 საათი" რეგულარულად აქვეყნებდა რუსული ფაქტორის განმხილველ მასალებს და მათი ეფექტური სათაურები სრულიად ამართლებდა ტექსტების შინაარსსა და პოლიტიკური თუ საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დონესა და სფეროში შექმნილი ვითარების სიმძიმეს. სათაურების ჩამოთვლამ შორს წაგვიყვანა და ეს არცაა ჩემი მოვალეობა. მხოლოდ ერთი მინდა აღვნიშნო მკითხველის ახლო წარსულში დასაკვალიანებლად: იშოვეთ თუ იპოვეთ 18 იანვრის ნომერი და ყურადღებით გადაიკითხეთ რუსუდან ნიკურაძის ინტერვიუ რუსეთის დუმის დეპუტატთან, დმიტრი როგოზინთან. შეეცადეთ დასძლიოთ გაღიზიანება. რას შენიშნავთ, თუ გამოგივათ და დასძლევთ? — ეს ანტიპატიური (რას იზამ, არ გვეხატება გულზე) ტიპი, დმიტრი როგოზინი გაცილებით უფრო დალაგებულად და საფუძვლიანად, რაც მთავარია, გაცილებით უფრო პროფესიულად მეტყველებს, ვიდრე ნებისმიერი ქართველი პარლამენტარი ან თუნდაც საქართველოს პრეზიდენტი...

ამ ფონზე კიდევ უფრო უაზროდ მოჩანს გაუთავებელი და ბნელი კამათი სახელმწიფო სიმბოლიკის თაობაზე. ამაზე უკვე საკმაოდ ვილაპარაკე წინა პუბლიკაციაში, ამიტომაც ახლა სხვაგან მინდა მივმართო მკითხველის ყურადღება.

ეს-ესაა კიდევ ერთხელ გადავხედე წინა კვირის ნომრებს და ერთი გარემოება მომხვდა თვალში: მიუხედავად უკიდურესად მძიმე მომენტისა, რომელიც ჩვენს ქვეყანას, უფრო ზუსტად კი ჩვენ, ყველა ჩვენგანს დაგვიდგა, "24 საათის" B-ბლოკის იმ ცოტაოდენ ფურცლებს, რომლებიც ჯერ კიდევ კულტურას ეძღვნება, არაფერი დასტყობია. იესო ქრისტეს სიტყვები მომაგონდა, როცა თქვა, რომ ქვეყნიერების დასასრულის დროსაც ადამიანები ისევე შეირთავენ ცოლებს და გააჩენენ ბავშვებს, ისევე არაფერი ედარდებათ, როგორც ყოველთვის. იქნებ მართლაც უფრო მეტი ყურადღება უნდა დავუთმოთ ამ ორი "ბლოკის" უფრო შეწყობილ მუშაობას, შევეცადოთ თანამშრომლობას დავამსგავსოთ იგი. ამის მაგიერ გაზეთის ფურცლებზე წამდაუწუმ ვხვდებით ქართველების ერთ უცნაურ და, როგორც ეტყობა, ახლად გაჩენილ თვისებას: ვიღაცას აუცილებლად ეშინია რაღაცის პოლიტიზება. ნუთუ ასე დავკარგეთ ყველაფრის იმედი, რომ ლამის სიტყვის მასალად გვექცა გამოთქმა: "უნდა მოვერიდოთ ამ საკითხის პოლიტიზებას". ნეტა რას ნიშნავს ეს პოლიტიზება? თუ სწორად გავიგეთ, ახლა ის დრო დადგა, როცა პირიქით — ყველაფრის პოლიტიზება უნდა მოხდეს, რადგანაც საქართველოს პრეზიდენტის ზომაზე მეტად განვითარებულმა თვითშენარჩუნების ინსტინქტმა, მისმა მუდმივმა აპელაციამ გარე ფაქტორებზე, საბოლოოდ, მტერიც გაგვიგულისა და მეგობარიც დაგვაშორა. ასე თუ გაგრძელდა ამერიკის შეერთებული (ჩვენთვის კი ნანატრი) შტატები ჩვენს ცხოვრებაში მხოლოდ ჰიუ გრანტების, მერილ სტრიპების, ნიკოლ კიდმანებისა და "სტილის" რუბრიკის სხვა აბეზარი სტუმრების სახითღა შერჩება.

ახლა კი აღარ მინდა სინამდვილესთან ჭიდილში გამოწრთობილი მკითხველის უიმისოდაც დატანჯული გონება კიდევ უფრო დავამძიმო აპოკალიფსური სურათებით. ისევ ძველი "ომბუდსმენური" პათოსი მსურს გავიხსენო ამჯერად A-ბლოკთან მიმართებით. მით უმეტეს, რომ ამ მსუყე ლუკმებს გულგრილად ჩემზე გაცილებით უბოროტო ადამიანიც ვერ ჩაუვლის გულგრილად.

თუმცა ბოროტება და უხასიათობა აქ რა მოსატანია! როცა წინა ხაზზე მედგრად ვიბრძვით და უნაკლოდ ვმოქმედებთ, ათგზის მეტი სიფხიზლე გვმართებს, რათა ზურგი არ მოვიშიშვლოთ.

მაშ ასე, 14 იანვარი, ნინო ნარჩემაშვილი, *"ქართუ ჯგუფი" ახალი პრეზიდენტის მოლოდინშია*. მასალიდან ირკვევა, რომ უახლოეს დროში სააქციო საზოგადოება "ქართუ ჯგუფის" პრეზიდენტის პოსტზე გურამ ჩაგელიშვილს ალბათ გიორგი ლომაია შეცვლის. მართალია, ჩვენ არ ვიცით, საიდან იღებს ავტორი ამ ცნობებს — თვით "ქართუ ჯგუფის" რაიმე ოფიციალური განცხადებიდან, თუ, როგორც ახლა ამბობენ, ჭორის დონეზე. მით უმეტეს საკვირველია სტატიის შემდეგი ფრაგმენტი: "ქართულ საფინანსო და საბანკო წრეებში გიორგი ლომაიას შესახებ, ფაქტობრივად, არანაირ ინფორმაციას არ ფლობენ. მხოლოდ აღნიშნავენ, რომ სს "ქართუ ჯგუფის" პრეზიდენტის პოსტი თავისი მნიშვნელობით მინისტრის თანამდებობას უტოლდება". ჯერ ერთი, დაუჯერებელია, გიორგი ლომაიას არავინ იცნობდეს (მე თვითონ კერძო საუბრებში არაერთხელ გამიგონია ეს სახელი) და მასზე არავის შეეძლოს რაიმეს თქმა. ალბათ, უფრო მართებული იქნებოდა, დაგვეწერა, რომ მის შესახებ ინფორმაციას არ იძლევიან, თუმცა მაშინ კვლავ გაუგებარია, საიდან იცის ავტორმა ეს ყველაფერი. ბუნებრივია, თუ წყაროს დამალვა გვსურს, რაც ასევე გასაგები და დასაშვებია, მაშინ ეს წინადადება სრულიად ზედმეტია და თავისი არსით სიტყვიერ, უფრო მეტიც, საინფორმაციო ნაგავს მიეკუთვნება. მეორეც, "ქართუ ჯგუფის" პრეზიდენტისა და მინისტრის თანამდებობათა შედარება სრულიად გაუგებარია. რა თქმა უნდა, თუ მოსახლეობისა და ბიუჯეტის სხვაობას გავითვალისწინებთ, შედარების კრიტერიუმად კი დახარჯულ ადამიანურ ენერგიას გამოვიყენებთ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველოს ვაჭრობის მინისტრი გაცილებით ნაკლებია, ვიდრე, მაგალითად, ნიუ-იორკის რომელიმე სუპერმარკეტების ქსელის აღმასრულებელი დირექტორი, მაგრამ, მეორე მხრივ, ამგვარი შედარების აბსურდიც ხომ სრულიად ცხადია! იმწამსვე ჩნდება აზრი, რომ ჩვენი სტატიის ავტორმა სადღაც რომელიმე ოფისის მყუდრო კუნჭულში, რომელიღაც თავისი საქმეში ჩახედული მეგობრისაგან მაგალითად, ასეთი ტექსტი მოისმინა: "აუ, "ქართუს" პრეზიდენტი? ვაბშე მაგარი თანამდებობაა, რა მაგი და რა მინისტრი", რის შემდეგაც მცირედი რედაქტირების შემდეგ პირდაპირ სტატიაში გაუშვა ეს შეფასება.

როგორც ეტყობა, ამგვარ პირობებში მუშაობისას აუცილებელია, მე თვითონაც დავამტკიცო, რომ მესმის, რაზედაც ვლაპარაკობ, ამიტომაც მკითხველმა უნდა მაპატიოს, თუ ვიტყვი, რომ შედარების ეს ორი ობიექტი — კერძო სააქციო საზოგადოების პრეზიდენტი და სახელმწიფო მინისტრთა კაბინეტის წევრი — ერთმანეთის გვერდით მხოლოდ რიტორიკულ კონსტრუქციაში შეიძლება დადგეს, და არა საინფორმაციო ტექსტში, სადაც ამგვარ მხატვრულ ხერხთა რაოდენობა იდეალურ შემთხვევაში ნულის ტოლი უნდა იყოს.

შეიძლება ვინმემ მისაყვედუროს, რომ წვრილმანებს ზედმეტ ყურადღებას ვაქცევ, მაგრამ სხვა თუ არაფერი, "ღვთაებრივ კომედიასა" და "ვეფხისტყაოსანსაც" სწორედ ამგვარი "წვრილმანების" გათვალისწინება ქმნის. მათი გაუთვალისწინებლობა კი გვაძლევს იმას, რაზედაც ამ რამდენიმე დღის წინ ელექტრონული ფოსტის საშუალებით მიმითითა ერთმა "ინტერნიუსელმა" კოლეგამ. მის უწყებას მეტად ნიშანდობლივი სათაური ჰქონდა, რომლის გამოქვეყნება ძალიანაც არ მინდა, მაგრამ მომიწევს, რადგან სწორედ ესაა მკითხველის ინტერესთა დაცვის ერთ-ერთი სიძნელე. უწყების სათაური კი ასეთი იყო: "ужас, а не статья!" — მიუხედავად ენისა, ეს შეძახილი მაინც ქართულად ისმოდა და მე მასში განათლებული, უფრო სწორად კი ნასწავლი ქართველი ქალის ისტერიკა შევამჩნიე. თუმცა კი ისიც უნდა აღვნიშნო, რომ ისტერიკა საფუძვლიანი იყო, რადგან წერილის ავტორი მომიწოდებდა დიაგნოზი დამესვა შემდეგი პუბლიკაციისათვის: 14 იანვარი, თამარ კაციტაძე, *ნარკოტიკების რეალიზაციისთვის სუდანის მოქალაქე დააპატიმრეს*.

სტატია იწყება ცნობით, რომ ნარკოდანაშაულში გასულ წელს მხილებული 3546 პირიდან 24 უცხოეთის მოქალაქეა. როგორც ვხედავთ 1%-ზე ნაკლები ყოფილა. ნეტა რაზე მიგვითითებს ეს შეფარდება? ამ მონაცემების წყაროდ სახელდება "ნარკომანიის და ნარკობიზნესთან ბრძოლის ეროვნული ბიურო". ამ პატივცემული ორგანიზაციის დასახელება სტატიაში ორჯერაა მოცემული ამ ფორმით და მას შემდეგ, რაც კორექტურული შეცდომის ალბათობა გამოვრიცხე, ჩემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა. ნუთუ მართლა ასე ჰქვია ამ დაწესებულებას?! ნუთუ მართლაც ეს ბიურო ერთი მხრივ ნარკომანიისაა (ანუ ნარკომანიას ემსახურება ან მართავს) მეორე მხრივ კი ნარკობიზნესთან ბრძოლისა? ნუთუ სრულიად მოულოდნელად უნებლიე სიმართლემ გამოჟონა მის დასახელებაში?

დავმშვიდდეთ და მოვლენებს მივყვეთ. ბიუროს უფროსის, ალეკო ტაბატაძის პირით გვეუწყა, რომ "ნარკოდანაშაულში მხილებული უცხოელები, ძირითადად, დსთ-ს ქვეყნის (თუ ქვეყნების? — ნ. ლ.) მოქალაქეები არიან და ნარკოტიკული ნივთიერების რეალიზაციისთვის არიან დაკავებულნი". ლაპარაკია ამ საწყალ 24 კაცზე. უნდა გავუგოთ ბიუროს უფროსს: ასე ცოტა და ისიც სულ დსთ-ს ქვეყნების მკვიდრები! — მოდი და ნუ დაიჩივლებ, როცა ამგვარი მოსაწყენი სამსახური გაქვს. სამაგიეროდ, ამ დღეებში! — ოო! ამ დღეებში სრულიად განსაკუთრებული მოვლენა მოხდა: ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე დააკავეს სუდანის მოქალაქე! ვაშა! ერთფეროვნებას ბოლო მოეღო და ოპერატიულ მუშაკთა კლანჭებში ტრივიალური აზერბაიჯანის, ან თუნდაც ბანალური თურქეთის კი არა, ეგზოტიკური სუდანის მოქალაქე ხვდება. მასზე გვეუწყა, რომ იგი ეროვნებით არაბია და მაიკლ მაჰმუდ აბდულრაჰმანი ჰქვია. სუდანის ოფიციალური ენა მართლაც არაბულია, მაგრამ ეთნიკური არაბები ფოტოსურათზე გამოსახული ტანწერწეტა და ებანოზისფერი ბატონისაგან ანთროპოლოგიური თვალსაზრისით საგრძნობლად განსხვავდებიან. იგი, ალბათ ნუბიელი უფროა, მაგრამ ახლა სულ სხვა რამ უნდა ვთქვათ: არაბი *ეროვნება* არ არსებობს. არსებობს ეგვიპტელი, სირიელი, იორდანიელი, ლიბანელი, ალჟირელი ეროვნება. აი, არაბი თუ სარკინოზი ეროვნების წარმომადგენლის მოსაპოვებლად კი უთუოდ წინასწარმეტყველ იეზეკიელის ხილვის მიხედვით უნდა გავაცოცხლოთ მურვან ყრუს ლაშქარი. ამისგან კი ღმერთმა დაგვიცვას მეც და თქვენც. არაბი — ეთნიკური წარმომავლობაა. მაგრამ ეროვნებასა და ეთნიკურ წარმოშობას შორის განსხვავებაზე ჩვენი ჟურნალისტები, იურისტები და პარლამენტარები ერთნაირად ბორძიკობენ და ბრმა კნუტებს ემსგავსებიან.

ახლა ისევ სტატიას მივუბრუნდეთ. ის გვამცნობს: "ზანგი უცხოელი საქართველოში საცხოვრებლად 1994 წელს ჩამოვიდა". აჰა, არაბიც ყოფილა და ზანგიც! მაგრამ უბედურება სხვაგანაა: ასე, ერთი თვის წინ შინაგან საქმეთა მინსტრმა, კობა ნარჩემაშვილმა ჩვენი გაზეთის ფურცლებიდან გვაუწყა, რომ პოლიციური აქციის შედეგად ბევრი ზანგი და პაკისტანელი დააკავეს. ჩვენს ავტორსაც მინისტრის წყალი გადაესხა თურმე. ამ უკანასკნელს ასეთივე წარმატებით შეეძლო ეთქვა, რომ დააკავეს ბევრი ქერათმიანი და სომეხი, მსუქანი და ფრანგი, ლურჯთვალება და ჩინელი. ზანგები და პაკისტანელები ადამიანთა დაყოფის სულ სხვადასხვა კლასებში შედიან და ერთ ჩამოთვლაში არაფერი ესაქმებათ. უფრო მეტიც, დროა ოფიციალური ხმარებიდან ამოვიღოთ ტერმინი "ზანგი" და შევცვალოთ იგი უფრო კორექტულით: "ფერადკანიანი". სხვა თუ არაფერი, სტატიის ავტორს არანაირი საბაბი არ ჰქონია დაკავებული მაკლ მაჰმუდის რასობრივი იდენტიფიკაციის დეტალებში ჩასაღრმავებლად. შესიტყვება "უცხოელი ზანგი" არა მარტო პლეონაზმია (თეთრი თოვლი, სველი წყალი, ცივი ყინული), იგი მეტად საშიში ბუნების პლეონაზმია, რომელიც ალაღებს და ამართლებს იმ ქართველ ბიჭუნებს, რომლებიც ქუჩაში ფერადკანიან ადამიანთან შეხვედრისას (რამდენჯერმე შევსწრებივარ!) ჩუმად, მაგრამ სხვათათვის საკმაოდ გარკვევით შეაგინებენ ხოლმე. ისე, განა ჩვენმა მედიამ არ ატეხა საზეიმო ალიაქოთი იმის გამო, რომ წელს საშობაოდ რამდენიმე აზერბაიჯანელი მოინათლა? ეს აზერბაიჯანელები ნეტა ცოტა ხნის წინათ მოუნათლავი ქართველებისაგან რითი განსხვავდებოდნენ? მე თვითონ 27 წლის ასაკში მოვინათლე. ტერმინი "აზერბაიჯანელი" ისეთივე მიმართებაშია ტერმინ "ქრისტიანთან", როგორც "ქართველი".

მაგრამ საშიში შესიტყვებები ამით არ მთავრდება: აი, მაგალითად, მაიკლ მაჰმუდის თანამზრახველზე ნათქვამია, რომ იგი არის "საქართველოს მოქალაქე, ეროვნებით ლეკი". მე რომ მკითხოთ, პირველი დახასიათება სრულიად საკმარისია. იტალიელი მწერალი და მეცნიერი, უმბერტო ეკო ერთგან წერდა, რომ ჩრდილოიტალიურ პრესას ერთი მეტად სავალალო სენი სჭირს: თუ საქმე ტურინელს ეხება, სტატიის სათაური ასეთია: "ბანკის თანამშრომელი ცოლის მკვლელობაშია ეჭვმიტანილი"; მაგრამ იმავე გაზეთში შეიძლება გამოჩნდეს შემდეგნაირად დასათაურებული სტატია: "სიცილიელმა საკუთარი ოჯახი ამოხოცა". მგონი გასაგები უნდა იყოს, რისი თქმაც მსურს. მხოლოდ იმას დავამატებ, რომ უმბერტო ეკოს ეს სტატია ორმოციოდე წლის წინანდელია. ჩვენი მაიკლ მაჰმუდის თანამზრახველი რომ ეთნიკური ქართველი არაა, ეს მისი გვარიდანაც ჩანს, ასე რომ მის ეთნიკურობას ხაზგასმა არ სჭირდება. მით უმეტეს, რომ ეროვნება ლეკი არ არსებობს, ამ სიტყვით ქართველები იმათ აღნიშნავდნენ, დავით გურამიშვილი რომ მოიტაცეს. არსებობს ეროვნება დაღესტნელი, რომლის მქონეც გასაგები მიზეზების გამო საქართველოს მოქალაქე ვერ იქნება, ხოლო ეთნიკურობის თვალსაზრისით დაღესტნელების საქმე არაბებისაზე გაცილებით უფრო რთულია.

იქნებ ვინმეს ესეც წვრილმანად მოეჩვენოს? იქნებ ვინმემ მისაყვედუროს კიდეც? ასეთ მკითხველს მე ერთ ტესტს შევთავაზებ: წარმოიდგინოს, რომ იგი სუფრასთან მჯდომი, უკვე საკმაოდ შეზარხოშებული ვაჟკაცია და ამაყად აცხადებს: "მე, კაცო, სომეხი ძმადნაფიციც მყავს!"; ან მარშრუტკაში მჯდომი პატივცემული მანდილოსანია და მეგობარს ეჭორავება: "რა უჭირს რომ ოსია? — მე აგერ ოსი მეზობელი მყავდა, ბევრ ქართველს სჯობდა!". თუ ამ ტესტის რამდენჯერმე გამეორებისას მკითხველი ლოყებზე სირცხვილის დამახასიათებელ სიმხურვალეს არ იგრძნობს, მე მის წინაშე "ომბუდსმენურ" ვალდებულებათა უმრავლესობას ვიხსნი.

კვლავ ჩვენს "ნარკოსტატიას" დავუბრუნდეთ. სუდანელი ნარკოდამნაშავე (მეც რა სწრაფად ავითვისე პროფესიული დისკურსი!) თურმე ჭავჭავაძის გამზირზე ცხოვრობს (უყურე შენ!). დაკავებისას მას ორ "პაკეტად" დაფასოებული (პაკეტს ნეტა ბრჭყალები რად უნდა? ნუთუ ეს რამე სპეციალური ტერმინია?) 400-500 ლარის ღირებულების "ჰეროინი" აღმოუჩინეს. როცა წერენ — *მომწამვლელი ნივთიერება "რიცინი"* — ბრჭყალები გამართლებულია, რადგან ამ შხამმა სულ ახლახან მიიქცია საყოველთაო ყურადღება და უნდა გაგვაგებინონ, რომელი სიტყვით აღინიშნება მისი სახელწოდება. ჰეროინს კი, საუბედუროდ, ყველა იცნობს (სახელით მაინც). ასპირინს ხომ ბრჭყალებში არ ჩავსვამთ. ისე კი, ნეტა რამდენი გამოდის გრამებში ეს 400 და 500 ლარის ღირებულების ჰეროინი? თან რა გულისამაჩუყებელი სიზუსტეა: ორ პაკეტში დაფასოებული. წარმოგვიდგენია, რა რუდუნებით ეხებოდნენ ამ პაკეტებს შოკოლადისფერი თლილი თითები. 400 და 500 ლარი ხომ საოცრად შთამბეჭდავი თანხებია ჩვენი მინიმალური ხელფასის პირობებში. აბა, ეროვნული ბიუროს უფროსს ნივთიერების წონა რომ აღენიშნა, შთაბეჭდილებაც, რა თქმა უნდა, სულ სხვა იქნებოდა. ახლა კი გასაგებია სიტყვა "პაკეტის" ფუნქცია: მკითხველის გონება მას პირდაპირ საქართველოში ყველაზე პოპულარულ ნივთს, ცელოფანის პაკეტს დაუკავშირებს.

აქ კი იწყება საინტერესო თამაში: ერთი წამით მივილოთ სტატიის ენა და მის მონაწილეებს დავარქვათ "არაბი" და "ლეკი". პირველი აღიარებს, რომ მან ჰეროინი "ნამდვილად რეალიზაციის მიზნით" შეიძინა. მას იმწამსვე უყენებენ შეძენა-შენახვა-რეალიზაციის ბრალდებას. აქედან შეძენა სავარაუდოა (თვითონ ხომ არ აწარმოებდა ასე მცირე რაოდენობას), შენახვა — დადასტურებული, რეალიზაცია კი მხოლოდ ინტენციის დონეზე არსებობს. როგორც ეტყობა, კრწანისი-მთაწმინდის რაიონულ სასამართლოში ან სიტყვა ინტენცია არ ესმით, ან (რაც ნაკლებ სარწმუნოა) რეალიზაციის რომელიღაც დადასტურებული ფაქტი დაგვიმალეს. ასეა თუ ისე, სამმაგი ბრალდებით "არაბს" სამი თვის წინასწარი პატიმრობა განუსაზღვრეს. ბუნებრივია, შეძენილ ნარკოტიკს მაიკლ მაჰმუდი ვილაცისგან შეიძენდა. ასე ჩნდება "ლეკი". უფრო ზუსტად, უკვე ნასამართლევი "ლეკი" — ასე მეტად განვრისხდებით.

მყიდველ-გამყიდველის ბუნებრივ რგოლს ჩვენი ეროვნული ბიუროს უფროსი იმწამსვე აძლევს "დანაშაულებრივი ჯგუფის" დახასიათებას. ასე უფრო ჩაეთვლება: მთელი ჯგუფი აღმოაჩინეს. აქ კი ჩვენი საინტერესო თამაში თავის საოცარ ფინალს აღწევს: "ტაბატაძის ინფორმაციით, არ არის გამორიცხული, რომ აბდულ-რაჰმანი-მურადოვის ჯგუფი მომავალში კიდევ უფრო გაიზარდოს. ამის რეალური საფუძველი არსებობს და მიმდინარეობს მუშაობა".

— ეს როგორ? — გაუკვირდება გულუბრყვილო ქართველ მკითხველს. — როგორღა გაიზრდება, თუ ორივე უკვე ჩააყუდეს?

აქ კი გულუბრყვილო ქართველ მკითხველს პრეს-ომბუდსმენიც ვერაფერს უშველის, რადგან ჩვენს მშობლიურ ენაში ვერაფრით ვერ მოვძებნე გამოთქმა, რომელიც ეკვივალენტური იქნებოდა რუსულისა: "выбить показания". რაც გინდა, ჰქენი — არ არსებობს ასეთი შთამბეჭდავი და ამავე დროს ამდენად ფორმალური გამოთქმა. სამაგიეროდ მისი სასტიკი მნიშვნელობა ნებისმიერ სამოსში შეიძლება დაიმალოს. მაგალითად ასეთში: "მიმდინარეობს მუშაობა".

მე კი რა გითხრა, ჩემო ალალო მკითხველო. ისღა დამრჩენია, გისურვო, რომ ჩვენი გაზეთის "სამართლის" რუბრიკის კითხვისას პირველი არხის "ვიდეოპატრულის" ფილიალში არ გეგრძნოს თავი.

# საშობაო მოთხრობებს მთელი ერი უნდა წერდეს...




ქეთევან სადღობელაშვილი

აუჰ, რამდენი ხანია, რაც ამ ქალაქში (ქვეყანაშიც) "შობა აკრძალულია მთავრობის მიერ, ამიტომაცაა, რომ ყველა დარაბებს ხურავს და ადიალებს კიდებენ... შუქი რომ არ გამოვიდეს! ამხანაგ გოგუამაც მთელ ქუჩებში გამორთო შუქი". ჰოდა, საშობაო მოთხრობას კი არა, საერთოდ, ვინ ახსენებდა შობას, ჟურნალ "ნიანგის" გარდა?

რეზო გაბრიაძის საშობაო მოთხრობაში კი შობა ღამეს ფთილ-ფთილ თოვს, ყოველგვარ სიმახინჯეს ფარავს და ძველებურ შობის ატკრიტკას ჰგავს ქუთაისი.

ექიმი იაკობი ავადმყოფის გადასარჩენად მიჰყავს ჩიტო "პაბედას" (სჩასტლივი ნომრით დკ 49-54, ფერით კოფესმალაკომ).

... და იწყება საშობაო ამბავი, იქნებ სიზმარი, ზღაპარი, სინამდვილე - თანამდევი სიკეთით, სიცილით, სევდითა და თოვლს რომ ახლავს, იმგვარი სისუფთავით. საშობაო სუფრაც ისეთი სადაა: "ერთი ლამაზად გამომცხვარი ხაჭაპური, ორი ლამაზად გამომცხვარი ჭადი საჭმელად, ერთი ბოთლი ღვინო და, ბოდიშით, ჭლაკვი, ობშჩეპიტის თეფშზე, ყველიც, საჭმელად, გვერდზე".

**- საშობაო მოთხრობები მსოფლიო ლიტერატურის საერთო ნიშანია. ყველა დიდი მწერალი ერთ საშობაო მოთხრობას მაინც წერდა, წერენ არაპროფესიონალებიც... დარწმუნებული ვარ, ყველა ადამიანს შეუძლია მოიგონოს ლამაზი ისტორია, რომელიც შობას ახლავს. ამბავი უნდა იყოს ნაზი, გამჭვირვალე და ისეთი სუფთა, როგორიც შეეფერება წელიწადის ამ მშვენიერ დღე-ღამეს - მაცხოვრის შობას.**

**აუცილებელია, სამყაროს მუდმივად ჰქონდეს უკვდავი იდეა - ქრისტეშობა, რომელიც უსასრულობაში მიდის და არასოდეს კვდება. საშობაო მოთხრობებს უნდა წერდეს მთელი ერი. ნუ გრცხვენიათ გრძნობების, შობის გახსენებისას ისინი ყოველთვის სუფთაა** - ამბობს რეზო გაბრიაძე, რომლის ახალი საშობაო მოთხრობის **"ჩიტო დკ 49--54 ანუ ექიმი და ავადმყოფი"** პრეზენტაცია **დღეს, 20 იანვარს, 5 საათზე, გაბრიაძის თეატრ-სტუდიაში გაიმართება**. წიგნის დიზაინი და ილუსტრაციები, როგორც ყოველთვის, რეზო გაბრიაძეს ეკუთვნის.

ჰო, მართლა. ერმონია აქაც იმ დროს გამოჩნდება, როცა არ ელი.

ვაჰჰი-ჰაი-ჰაი, ალილო...



# დათო მაღრაძე - წლის საერთაშორისო მწერლის ნომინაციაზე



*დათო მაღრაძე*

ინგლისში კემბრიჯის ბიოგრაფიების საერთაშორისო ცენტრმა 2003 წლის საერთაშორისო მწერლის ნომინაციაზე ქართველი პოეტი დათო მაღრაძე დაასახელა. ამ პრესტიჟული პრემიის ლაურეატებს რამდენიმე ნომინანტიდან ყოველწლიურად ირჩევს ცენტრის მკვლევართა და მრჩეველთა საბჭო. ლაურეატის წოდებას იმ ხელოვანებს ანიჭებენ, რომელთა შემოქმედება საერთაშორისო ლიტერატურული საზოგადოების მიერ არის აღიარებული.

კემბრიჯის ბიოგრაფიების საერთაშორისო ცენტრი ყოველწლიურად ამზადებს საერთაშორისო ავტორებისა და მწერლების ბიოგრაფიულ ცნობარს – "ვინ ვინ არის" (International Authors and Writers Who's Who). ამ კრებულში 2003 წელს დათო მაღრაძის მონაცემებიც შევა.

დღეისათვის ცენტრს 132 სხვადასხვა ტიპის საცნობარო გამოცემა აქვს დაბეჭდილი, მათ შორის 20-ზე მეტია ცნობარი "ვინ ვინ არის". ამ ცენტრის გამოცემებს შორისაა ისეთი ცნობილი კრებულები, როგორიცაა: "საერთაშორისო ბიოგრაფიული ლექსიკონი", "21-ე საუკუნის 2000 ცნობილი ინტელექტუალი", "ვინ ვინ არის აზიისა და წყნარი ოკეანის აუზის ქვეყნებში".

2003 წლის საერთაშორისო მწერლის ლაურეატის კანდიდატად დასახელების შესახებ, დათო მაღრაძეს, საბჭოს წელს არჩეულმა გენერალურმა დირექტორმა ნიკოლას ლომ აცნობა და ნომინაციაზე წარდგენა და ცნობარში შესვლა მიულოცა.

## კალენდარი

# 20 იანვარი



იტალიელი რეჟისორის, ფედერიკო ფელინის სამშობლო რიმინი იყო: აქ დაიბადა, გაიზარდა, ამ ქალაქს მიუძღვნა სულშიჩამწვდომი კადრები და სტრიქონები, და აქვე დაკრძალეს 1993 წელს.

1943-ში, უკვე რამდენიმე წლის განმავლობაში რომში მცხოვრებმა ფედერიკომ იმხანად მის მიერ რადიოსათვის დაწერილ სკეტჩებში პალინას როლის შემსრულებელი ჯულიეტა მაზინა ითხოვა ცოლად. ასე შედგა წყვილი, რომლის ხანგრძლივი სიყვარული და შემოქმედებითი თანამშრომლობა გასული საუკუნის იტალიის კინემატოგრაფის ერთგვარი სიმბოლო გახდა.

რასაკვირველია, იმხანად იტალიურ კინოში გაბატონებულმა მიმართულებამ, ნეორეალიზმმა, გულგრილი არც ფედერიკო ფელინი დატოვა. მაგრამ საერთაშორისო აღიარება მას და ჯულიეტა მაზინას 1954 წელს გადაღებულმა ფილმმა, "გზამ" მოუტანა. ეს სურათი ფელინის ნეორეალიზმისაგან ჩამოცილებისა და ახალი ეროვნული კინოს დაბადების ნიშანი იყო. "გზას" მოყვა "კაბირიას ღამეები", "ტკბილი ცხოვრება", რეჟისორის საავტორო შედევრი "რვანახევარი" და მრავალი, მრავალი სხვა კინემატოგრაფიული ნაწარმოები, რომლებსაც კრიტიკოსები "გენიალურად" რაცხავენ და რომლებიც მნიშვნელოვან საზოგადოებრივ მოვლენად იქცა.

ფედერიკო ფელინიმ სრულიად განაახლა "კინოს ენა". თითქმის ყოველი მისი ქმნილება ახალი სიტყვა იყო ეროვნული კინოს განვითარებაში. მსოფლიოს ალბათ სულ ერთი-ორი რეჟისორი ახსოვს, რომელმაც კინემატოგრაფისტების რამდენიმე თაობაზე ამდენად დიდი გავლენის მოხდენა შეძლო.

იტალიელი რეჟისორი, **ფედერიკო ფელინი**, დაიბადა 1920 წლის 20 იანვარს.

# სულ ცარიელი წერტილი...

## დათო ოძელაშვილის ალბომი სიკვდილის შემდეგ გამოდის

მადი სერებრიაკოვა




"ვოცნებობ, მივაღწიო იმ უმაღლეს წერტილს ჩემს მუსიკალურ ცხოვრებაში, რომელი წერტილიც სულ ცარიელია და ვუცდი..." – დათო ოძელაშვილმა ეს სიტყვები თექვსმეტი წლის ასაკში გამოთქვა. მაშინ ჯერ კიდევ ძალიან ახალგაზრდა, თავბრუდამხვევი პერსპექტივებით აღსავსე ფლეიტისტს წინ უამრავი მიღწევა და წარმატება ელოდა. გასული წლის ოქტომბერში, ავსტრიაში ოძელას ტრაგიკულ გარდაცვალებას მაინც არ შეუწყვეტია მისი მეორე, შემოქმედებითი სიცოცხლე – მას შემდეგ, დათო ოძელაშვილის სახელს მრავალი საინტერესო პროექტი დაუკავშირდა. სტუდია "სანო სტუდიამ" ოძელას ალბომი ავტორის სიკვდილის შემდეგ გამოსცა. დისკის მომზადებისა და გამოცემის ხარჯები მთლიანად "სანო სტუდიამ" იკისრა. პროექტის მთელი შემოსავალი კი დათოს ოჯახს მოხმარდება.

დათოს მეგობრების მხრიდან, ეს შესაძლოა იმ "ცარიელი წერტილის" ამოვსების მცდელობაა, რომლისკენაც მთელი ცხოვრების მანძილზე მიილტვოდა ოძელა. ფაქტობრივად ვუნდერკინდ ფლეიტისტს, რომელიც ერთნაირად კარგად ფლობდა ეთნო, კლასიკურ, იმპროვიზაციულ მუსიკას, სულ მცირე ასაკიდან იცნობდნენ საქართველოში. კლასიკური განხრით განათლება მან თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში მიიღო, სტაჟირებას გადიოდა ვენის ფლეიტის სკოლაში, მოცარტის აკადემიაში, კრაკოვში. წლების მანძილზე იყო თბილისის სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის სოლისტი, ჯანსუღ კახიძის ხელმძღვანელობით. მონაწილეობდა ნანტის, საარბრიუკენის, თბილისის საერთაშორისო ჯაზ-ფესტივალებში. მისი ჩანაწერებით კი შეუძლიათ იამაყონ როგორც უცხოურმა, ისე ქართულმა ჯგუფებმა. რადიოში ხშირად მოისმენთ კომპოზიციებს მისი არაჩვეულებრივი კოლაბორაციული ალბომიდან კორსიკულ ტრიოსთან ერთად. ტელევიზიით ჩნდება ფრაგმენტები ოძელას კონცერტიდან კლუბ "ჯოიში", სადაც სანოს (მერაბ სანოძე), ჭაბუკა ამირანაშვილის და კიდევ რამდენიმე გამოცდილი კოლეგის გარდა, ქართული ხალხური მუსიკის შემსრულებელი ანსამბლი "მზეთამზეც" იღებდა მონაწილეობას.

მიუხედავად იმისა, რომ სიცოცხლეში ოძელა უკრავდა ყველგან და ყველასთან ერთად, აღმოჩნდა, რომ არ დარჩა მისი არც ერთი სრულყოფილი საავტორო ალბომი. "სანორეკორდზის" მცდელობა, გარკვეულწილად, ამ მხრივაც არის მნიშვნელოვანი. თუმცა, თავად სტუდიის ხელმძღვანელი და წლების მანძილზე დათოს მუსიკალური პარტნიორი მერაბ სანოძეც აღნიშნავს, რომ ოძელას ბევრად უკეთესი ალბომის გაკეთება შეეძლო და პროექტში შესული მასალა მხოლოდ ფრაგმენტულად ასახავს მის შემოქმედებას. სწორედ გარდაცვალების წინ, ოძელას სერიოზული პროექტი ჰქონდა ჩაფიქრებული მეგობრებთან ერთად. სანოს, გია სალაღიშვილს, პაატა ანდრიაძეს და სხვებს უკვე მომზადებულიც ჰქონდათ ბექგრაუნდი, რომელზედაც ავსტრიიდან დაბრუნების შემდეგ საკუთარი პარტიები ოძელას უნდა ჩაეწერა. სამწუხაროდ, ამ პროექტს განხორციელება არ ეწერა. ახალ ალბომში კი მხოლოდ ის მასალა შევიდა, რომლის მოძიებაც შეძლეს დათოს მეგობრებმა სხვადასხვა დროს ფრაგმენტულად შესრულებული ჩანაწერებიდან. ერთ-ერთ მათგანს, ალბომის უკანასკნელი თრექს, თავად გამომცემლებმა უწოდეს "ლაზარე" – დათო ოძელაშვილის ვაჟის სახელი.

დათო ოძელაშვილის ალბომზე, რომელსაც ასევე Odzela ჰქვია, მისმა მრავალმა მეგობარმა იმუშავა. მერაბ სანოძე, გია სალაღიშვილი, პილუ, ნოდარ ექვთიმიშვილი, ლაშა და ნიკა აბაშმაძეები, პატრიცია გატაჩეგა – ეს ის სახელებია, რაც დისკთან დართულ ბუკლეტშია აღნიშნული. ზოგიერთი ავტორისა და მონაწილის სახელი კი, არც არის დაფიქსირებული.

დისკს გარკვეული ხარვეზებიც აქვს, ხმის დამუშავების, გაფორმების, ინფორმაციის სრულყოფილების თვალსაზრისით. თუმცა იმ მნიშვნელობის ფონზე, რასაც ალბომი ატარებს - ეს ყოველივე უმნიშვნელო დეტალად იქცევა. ახალი ალბომი არ წარმოადგენს ერთიან თემატურ პროექტს და ცალკეული, განსხვავებული ხასიათისა და წარმომავლობის 10 კომპოზიციისგან შედგება. ათივე, ფლეიტისტის ეთნო-მუსიკალური ძიებების ნაყოფია. თავმოყრილია როგორც ქართული, ისე ევროპული (ესპანური, კორსიკული, ბრიტანულ-ირლანდიური) და აღმოსავლური "მუღამ"-ის, ინდური მუსიკის ინტონაციებზე აგებული თემები. ოძელა უკრავს, როგორც კლასიკურ ფლეიტაზე, ისე სხვა ჩასაბერ საკრავებზე (დუდუკი, ზურნა..). ალბათ განწყობიდან გამომდინარე, ალბომში შესული კომპოზიციების უმეტესობა საკმაოდ სევდიანია. გამონაკლისებს შორის შეიძლება უკანასკნელი თემა "ლაზარე" გამოვყოთ, რომელიც თავისი სიხალისითაც გამოირჩევა და დატვირთვითაც - როგორც აღინიშნა, იგი ფლეიტისტის მცირეწლოვან ვაჟს ეძღვნება.

სიცოცხლეში დათო ოძელაშვილი უამრავ მუსიკოსთან თანამშრომლობდა, მისი იმპროვიზაციები ხშირად, ყველაზე მოულოდნელ პროექტში შეიძლება შეგხვდეთ. დღეს პოპულარობის პიკზეა კახა ცისკარიძის კომპოზიცია, სადაც ოძელაც უკრავს; განსაკუთრებული წარმატებით ჩაიარა დათოს ხსოვნისადმი მიძღვნილმა ნიკა მემანიშვილის კონცერტმა, სადაც ასევე ოძელას ჩანაწერებზე და თემებზე აგებული ნაწარმოებები შესრულდა. ყველაფრის ფონზე, ახალი ალბომის გამომცემლებმა გულისტკივილით აღნიშნეს, რომ ოძელას სახელით მრავალმა სპეკულაციაც დაიწყო. მისი სახელით ტრიალებს რადიოთი თუ ტელევიზიით ისეთი ნაწარმოებებიც, რომელშიც ოძელამ, უბრალოდ, რამდენიმე ფრაზა დაუკრა. ვინაიდან საქართველოში ხშირად არალიცენზირებული პროდუქცია ვრცელდება, გამომცემლები გვირჩევენ განსაკუთრებული ყურადღება გავამახვილოთ და მხოლოდ "სანო სტუდიის" ჰოლოგრამიანი დისკები ვიყიდოთ, რათა შემოსავალი, დანიშნულებისამებრ, ოძელას ოჯახის წევრებთან მოხვდეს.

მიუხედავად გარკვეული ხარვეზებისა, დათო ოძელაშვილის დისკი მაინც ძალიან მნიშვნელოვანია, თუნდაც არაჩვეულებრივი მუსიკოსის მოგონების პატივსაცემად. საბოლოო ჯამში, ოძელას და ზოგადად, ეთნომუსიკის თაყვანისმცემლებისთვის ახალი პროექტი ნამდვილად დიდი საჩუქარია. ოძელას ალბომს დიდი ხანია ველოდით.

# ქართველი მხატვარი ბერლინის ქუჩებზე

## გუგუშას მწვანე პერიოდი

ანა კორძაია-სამადაშვილი

*ერთხელ, ერთ ქართველ ხელოვანს ამერიკის შეერთებული შტატებიდან გალერისტმა თხოვნა მოსწერა: ძალიან გრძელი გვარი გაქვს და იქნებ რამე მოუხერხოო. გია გუგუშვილის გვარი გერმანელ გალერისტსაც ეგრძელა, და ასე გაიცნეს ბერლინელებმა ქართველი მხატვარი გია გუგუში.*



*"ბუპა" და გია გუგუშვილი*

გარდა იმისა, რომ გია გუგუშვილი - უმცროსი - ცნობილი მხატვარი, კარგი მოსაუბრე და მშვენიერი მასპინძელია, მასთან ჩვენს სტუმრობას კიდევ ერთი მიზეზი ჰქონდა: გვინდოდა მისი "გერმანული შთაბეჭდილებები" მოგვესმინა. მართალია, გია საქართველოს დეკემბრის ბოლოს დაუბრუნდა, აქამდე მასთან შეხვედრა ვერ მოვახერხეთ - ახალი წელი, "მხატვართა გილდიის" დაარსება და ბ-ნ გუგუშას მარად გამორთული მობილური ტელეფონი შეხვედრას არაფრით უწყობდა ხელს.

გია გუგუშვილს კოსტავას ქუჩაზე აქვს სახელოსნო. აქ მუშაობს, აქ ცხოვრობს მისი ირლანდიული სეტერი ბუპა, აქ ინახება გიას ნამუშევრები. ნახატების გარდა, კედელზე ნეფერტიტის პორტრეტიც აღმოვაჩინეთ. სულელური დამთხვევა მოხდა: მხატვართან მიმავალნი გზად იმას ვყვებოდით, რომ ერთი ბრიყვული ცრურწმენა არსებობს - კედელზე გაკრულ ნეფერტიტის ფოტოსურათს სახლში უბედურება მოაქვსო. გიას იქვე მოვუწოდეთ, ჩამოეხსნა მშვენიერი დედოფალი. "იქნებ უცებ ნახატების გაყიდვა დავიწყო," გიას თვალები გაუბრწყინდა. ისევე, როგორც მამაკაცების უმრავლესობა, ისიც უცნაურად ოცნებობს. იქნებ უცნობი ბებია მოუკვდეს კანადაში და უამრავი ფული დაუტოვოს მემკვიდრეობად? გაირკვა, რომ ბებიის სიკვდილს გიას ცოცხალი, მაგრამ ძალიან მდიდარი ბებიის პოვნა ურჩევნია, რომელიც ისეთ ადგილას იცხოვრებს, სადაც ყველაზე დიდი ადმინისტრაციული შენობა ფოსტა იქნება. იქ დასახლდებოდა და მშვიდად იმუშავებდა. გია თვლის, რომ მხატვარი განდეგილივით უნდა ცხოვრობდეს, მაინცდამაინც ბევრ ადამიანთან ურთიერთობა არ სჭირდება - ბოლოსდაბოლოს, ან ხატავს, ან არა.

ჯერ-ჯერობით კი გუგუშა, ვერც ნახატებს ყიდის და არც ბებია გამოსჩენია. მისი ნამუშევრები კვლავ გერმანიაში, საბაჟოზეა "დაპატიმრებული". ცხადია, საბოლოოდ ავტორი მათ ვერ შეელევა, მაგრამ არც იმის საშუალება აქვს, რომ გამოისყიდოს: "მთელი თანხა კი არა, ხუთი ევროც რომ მომთხოვონ, ახლა იმასაც ვერ მივცემ". ეს იმისდამიუხედავად ხდება, რომ გერმანიაში ყოფნისას გიამ სამ გამოფენაში მიიღო მონაწილეობა.

ბერლინში გია გუგუშვილის პირველი გამოფენა საქართველოს საელჩოში გაიხსნა. მხატვარი დიდი მადლიერებით იხსენებს საელჩოს თანამშრომლების კეთილგანწყობას და თანადგომას, იმას, თუ რა შესანიშნავად ორგანიზებული იყო ვერნისაჟი. ერთადერთი პრობლემა ის გახლდათ, რომ ეს გამოფენა - ისევე, როგორც მრავალი სხვა - არაკომერციული იყო, ნამუშევრები არ გაყიდულა.

სწორედ იმხანად ბერლინში, კურფიურსტერ დამზე, ქალაქის დასავლეთ ნაწილის მთავარ ქუჩაზე, ქართული ხელოვნების გალერეა გაიხსნა, რომელსაც სწორედ ასე ჰქვია: "ქართული ხელოვნების გალერეა". მისი ხელმძღვანელი ქალბატონი ანელი ჰილმერი გახლავთ, რომელიც ქართველ მხატვრებსა და თანამედროვე ქართულ ხელოვნებას კარგად იცნობს და ჩვენი ქვეყნის დიდი გულშემატკივარიცაა. პირველ გამოფენაში ხუთი ქართველი მხატვარი იღებდა მონაწილეობას, მათ შორის გია გუგუშვილიც. ნამუშევრები არც აქ გაყიდულა და ჩვენს გმირს აღმოსავლეთიდან დასავლეთ ნაწილში ფეხით უწევდა სიარული - გალერეას სულ რაღაც ორ საათში მიაღწევდა ხოლმე, მაგრამ მაინც ძალიან კმაყოფილია.

ასევე გაბრწყინებული მოყვა გია მესამე, "ტერცო მონდოში" გახსნილი გამოფენის შესახებ. "ტერცო მონდოსა" და მის მფლობელს, ბ-ნ კოსტასს, მგონი, ყველა ქართველი იცნობს, ვისაც კი ოდესმე ბერლინში ფეხი ჩაუდგამს. ბ-ნ კოსტასი, რომელსაც აკა მორჩილაძეზე უკეთ ნამდვილად ვერ დავახასიათებ, საქართველოს უპატრონო ბავშვებისათვის ჰუმანიტარული დახმარების გამოგზავნის გარდა ქართველ ხელოვანთა მხარდაჭერასაც ცდილობს, და სწორედ მან შესთავაზა გია გუგუშვილს კანტშტრასეზე, თავის გალერეაში გამოფენის მოწყობა.

გიას თქმით, დღეს საქართველოში მხატვრობა ძალიან რთული რამაა. პირადად მას დიდი არჩევანი აღარ ჰქონდა: ან პროფესია უნდა შეეცვალა, ან დასავლეთისკენ უნდა აეღო გეზი. გიამ ეს უკანასკნელი გზა ამჯობინა, და ამ გზაზე იმდენად მოულოდნელი მფარველი გამოუჩნდა, რომ ჩვენი საუბრის დიდი ნაწილი სწორედ მის შესახებ თხრობას დაუთმო:

ავიაკომპანია "გერმანიამ", რომელსაც გია, სიტყვის სრული მნიშვნელობით, ქუჩიდან მიადგა და დახმარება სთხოვა, უანგაროდ მისცა მხატვარს გერმანიაში გასამგზავრებელი ბილეთი. "სანამ თვითმფრინავში არ ჩავჯექი, არ მჯეროდა," მოგვიყვა გია. მან ერთადერთი გზით შეძლო მადლიერების გამოხატვა: გამოფენებზე თავისი ნამუშევრების ფოტოები დაარიგა, რომლებზეც ეწერა, რომ მისი სპონსორი ავიაკომპანია "გერმანია" იყო.

ყველაფერი ეს ძალიან საინტერესო მოსასმენი იყო, ყავასაც ჩინებული გემო ჰქონდა და იმანაც გაგვართო, რომ ძაღლი ბუპა გულმოდგინედ ცდილობდა რობერტ პლანტისთვის ბანის მიცემას. მაგრამ ის მაინც ვერ გავიგე, რატომ იყო გია ასეთი კმაყოფილი – ნამუშევრები ხომ დღესაც საბაჟოზე აქვს დატოვებული.

მიუხედავად ამისა, გია გამარჯვებულად გრძნობს თავს. მან მენეჯერი იპოვნა, გალერისტი, რომელსაც იოახიმ დიკმაიერი ჰქვია. იგი აღმოსავლეთ ბერლინში, უნტერ დენ ლინდენზე მოღვაწეობს და ისევე, როგორც გია, ამ შეხვედრის გამო თავს ბედნიერ ადამიანად თვლის. სწორედ მისი დამსახურებაა, რომ გია გუგუშვილი წელს, მაისში, მე-5 საერთაშორისო ბაზრობაში მიიღებს მონაწილეობას - გამოფენენ იმ ტილოებს, რომლებიც ამჟამად ბერლინში ინახება, და ახალ, 2003-ში შექმნილ ნამუშევრებსაც, რომლებიც გიას სახელოსნოს კედლებს ამშვენებს.

"მწვანე პერიოდი დაგეწყო? " ჰკითხა ჩემმა კოლეგამ.

"არა, უბრალოდ ერთი დიდი ქილა ლურჯი საღებავი მაქვს და რაც არ უნდა ვუყო, მაინც ეს ფერი გამოდის," მიუგო გუგუშამ.

# შეავსეთ ანკეტა და გამოგვიგზავნეთ

გთხოვთ, შეავსოთ გარკვევით. ბლანკი უფასოა.

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2" არ არის ვალდებული, გაცნობოთ მიიღებთ თუ არა მონაწილეობას შოუში "ხალხის პირისპირ". თქვენი შერჩევის შემთხვევაში, დაგიკავშირდებათ გადაცემის კოორდინატორი ამ ანკეტის შევსებით თქვენ ეთანხმებით შოუს "ხალხის პირისპირ" წესებსა და პირობებს.

ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2",
ტელევიქტორინა "ხალხის პირისპირ",
ვაჟა-ფშაველას 45, 300077 თბილისი

კონკურსანტები ტელევიქტორინისთვის "ხალხის პირისპირ" შეირჩევიან ანკეტის საფუძველზე, ამიტომ გთხოვთ, ყურადღებით შეავსოთ ანკეტა.

სახელი და გვარი

ოჯახური მდგომარეობა:
დაქორწინებული, დაუქორწინებელი, გაყრილი, ქვრივი

მისამართი:

შვილები: (თუ გყავთ)

საფოსტო ინდექსი:

განათლება:
საშუალო, უმაღლესი, ტექნიკური

საკონტაქტო ტელეფონის ნომრები:

პროფესია:

ასაკი:

სამუშაო ადგილი

დამხმარე კატეგორია: (მიუთითეთ კატეგორია, რომელშიც კარგად ერკვევით, შეგიძლიათ აირჩიოთ ნებისმიერი. მაგალითად, საფეხბურთო კლუბი "არსენალი" ან ევროპის ქვეყნების დედაქალაქები, ან 60-იანი წლების მუსიკა, და ა.შ.)

შინაური ცხოველები: (თუ გყავთ)

გთხოვთ, დააკრათ ახლანდელი ფოტოსურათის, სასურველია ზომით 3/4, თუ ამ ზომის ფოტოსურათი არ გაქვთ, შეგიძლიათ დააკრათ ნებისმიერი ზომის, რომელზეც მხოლოდ თქვენ ხართ გადაღებული. ფოტოსურათზე სახე გარკვევით უნდა ჩანდეს. გთხოვთ, ფოტოსურათს უკან მიაწეროთ თქვენი სახელი და გვარი.

თქვენი ინტერესები და ჰობი:

შეხვედრიხართ თუ არა, პირადად, ცნობილ ადამიანს? ვის, სად და როდის?

როგორ გაატარებდით თქვენს იდეალურ დასვენების დღეს?

გიყვართ თუ არა მოგზაურობა? (თუ გიმოგზაურიათ საქართველოს გარეთ და სად?)

არჩევანი რომ გქონდეთ, რომელ ცნობილ ადამიანთან ისურვებდით შეხვედრას, სად წახვიდოდით მასთან ერთად და რატომ?

რომელი სატელევიზიო გადაცემები მოგწონთ და რატომ?

არჩევანი რომ გქონდეთ, სად წახვიდოდით სამოგზაუროდ და რატომ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი რამის შეცვლა საკუთარ გარეგნობასა ან ხასიათში, რას შეცვლიდით და რატომ?

რომელია თქვენი საყვარელი მწერალი და საყვარელი ლიტერატურული ნაწარმოები?

გაქვთ თუ არა მიზანი, რომლის მიღწევაზეც ოცნებობთ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი ნატვრის ასრულება, რას ინატრებდით და რატომ?

როგორი მუსიკა გიტაცებთ და თავად გაქვთ თუ არა მუსიკალური ნიჭი?

მიგიღწევიათ ან გაგიკეთებიათ თუ არა ისეთი რამ, რითაც ამაყობთ?

თქვენი აზრით, რომელ ზღაპრულ პერსონაჟს ჰგავხართ ყველაზე მეტად და რატომ?

რა ჟანრის ფილმები მოგწონთ და რომელია თქვენი საყვარელი ფილმები?

გაქვთ ან გქონიათ თუ არა რაიმე მეტსახელი? კონკრეტულად რა?

ფილმი რომ გადაეღოთ თქვენზე, რომელი ცნობილი მსახიობი შეასრულებდა თქვენს როლს?

გამოსულხართ თუ არა ტელევიზიით? (თუ კი, როდის და რა ამპლუაში?)

გაქვთ თუ არა უჩვეულო ნიჭი? (მაგალითად, შეგიძლიათ თუ არა სტვენით ბეთჰოვენის "მთვარის სონატის" შესრულება, ან ასკინკილით მარათონული დისტანციის გავლა?)

ყველაზე უხერხული სიტუაცია თქვენს ცხოვრებაში:

რატომ გინდათ მიიღოთ მონაწილეობა ჩვენს თამაშში?

უჩვეულო ან საინტერესო რამ თუ გადაგხდენიათ თავს? კერძოდ რა?

ყველაზე ცუდი სამუშაო თქვენს ცხოვრებაში:

დღეს რომ მოგცენ 2000 ლარი, რას გააკეთებდით?

# ტეიშეირას ახალი ბრძოლები ელის

### ბრაზილიის მთავრობა ფეხბურთში გამეფებული კორუფციის დამარცხებას ცდილობს

აკა ტონია

ბრაზილიის მთავრობამ კვლავ განაახლა ქვეყნის ფეხბურთში არსებული კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის კამპანია. მოგეხსენებათ, ბრაზილიას ახალი პრეზიდენტი ჰყავს – 1 იანვარს ლუის იგნასიო ლულას ოფიციალური ინაუგურაცია შედგა. ახლმა პრეზიდენტმა კი ახალი მინისტრები დანიშნა, მათ შორის - სპორტისაც. ბრაზილიის სპორტს ახლა ანიელო კუეიროსი უძღვება. რამდენიმე დღის წინათ სწორედ კუეიროსმა განაცხადა, რომ ბრაზილიურ ფეხბურთში გამეფებული სიბინძურის გაწმენდას აპირებს.

"გვინდა, რომ საფეხბურთო კლუბებს ფინანსური პრობლემების მოგვარებაში დავეხმაროთ. მოსაწესრიგებელია ფეხბურთელთა ტრანსფერების სისტემაც. ყველაფერი უნდა დავარეგულიროთ", - განუცხადა საინფორმაციო სააგენტო Reuters-ს ბრაზილიის სპორტის მინისტრმა.

ჯერ კიდევ ორი წლის წინათ, 2001 წლის დეკემბერში ბრაზილიის სენატმა თავისი 1600 გვერდიანი დასკვნა გამოიტანა, რომლის მიხედვითაც ბრაზილიური ფეხბურთის 16 ხელმძღვანელი პირი კორუფციაში იქნა მხილებული. ბრაზილიის ფეხბურთის ფედერაციისა და მისი წევრი 28 რეგიონული ფედერაციის საქმიანობას სენატი 18 თვის მანძილზე იძიებდა. ბრაზილიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს, რიკარდო ტეიშეირას განსაკუთრებული სიმძიმის დანაშაულებები ედებოდა ბრალად. მისი საქმიანობა სენატის ოქმის 300 გვერდს მოიცავს. საუბარია ტეიშეირას მიერ განხორციელებულ 50 სხვადსხვა ბინძურ საქმეზე. ცნობილია ერთი პატარა ისტორიაც - როდესაც ერთ-ერთმა ჟურნალისტმა ფეხბურთის ფედერაციის სხდომაზე ფირზე ჩაიწერა ტეიშეირას განაცხადი, - თუ ეს რეპორტაჟი ფედერაციის კედლებიდან გავიდოდა, მათ ყველას "გაჟიმავდნენ".

მიუხედავად ამისა, ტეიშეირა დღემდე დაკავებულ თანამდებობაზე იმყოფება. მას დიდ ხანს აიძულებდნენ, რომ გადამდგარიყო, მაგრამ ვერაფერი მოუხერხეს. პირიქით, ტეიშეირა თავის მოწინააღმდეგეებს განადგურებით ემუქრებოდა. "მე თქვენ გაგანადგურებთ იქამდე, სანამ თქვენ შეეცდებით ჩემს განადგურებას", - განუცხადა მან გამომძიებლებს. და იგი მართალიც ვერ დაამარცხეს. ყოველივე ეს კი FIFA-ს "დამსახურებაა". ბრაზილიის ფეხბურთის ფედერაციას და რიკარდო ტეიშეირას FIFA-სგან განსაკუთრებული თანადგომა ყოველთვის ჰქონდათ. მსოფლიოს ფეხბურთის ასოციაცია სასტიკად კრძალავს მის საქმეებში სამოქალაქო სასამართლოს ჩარევას. სწორედ ამიტომაც აღმოჩნდა ბრაზილიის სენატი უძლური ტეიშეირას წინააღმდეგ ბრძოლაში - FIFA თავის წევრს არავის დააჩაგვრინებს.

და აი, კამპანია განახლდა. უახლოეს მომავალში რიკარდო ტეიშეირას ახალი ბრძოლების გადატანა მოუწევს - ალბათ, უფრო მასშტაბურისაც. "გვინდა, კლუბები ფინანსურად ჯანსაღები იყნენ. შეგვიძლია, ჩვენი ფეხბურთი მთელს მსოფლიოში სარფიანად გავყიდოთ, თუ ის ორგანიზებული იქნება. ბრაზილიურ ფეხბურთს შეუძლია, ქვეყნის მთავარი ელჩი იყოს მთელს პლანეტაზე", - ამბობს კუეიროსი.

## მოკლედ

**პორტუგალიური** "ბენფიკა" "მილანის" ბრაზილიელი მცველით, როკე ჟუნიორით დაინტერესდა. თუ შეთანხმება შედგება, ბრაზილიელი ფეხბურთელი ლისაბონში იჯარის წესით ითამაშებს,რადგან ამჟამად "ბენფიკა" ფინანსურ პრობლემებს განიცდის და მრავალმილიონიანი კონტრაქტის განხორციელების საშუალება არ აქვს.

■ ■ ■

**ბოლო** დროს გავრცელდა ხმები, რომ თუ "სკუადრა აძურა" ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გავა, პაოლო მალდინი ნაკრებს დაუბრუნდება. ფეხბურთელმა უარყო ეს ხმები. "ბოლო დროს არაფერი შეცვლილა. ძალიან გავღიზიანდი, როცა პრესაში წავიკითხე ინფორმაცია, თითქოს გუნდში გარკვეული პირობებით ვაპირებდი დაბრუნებას. ასეთი საქციელი ჩემს პრინციპებს აბსოლუტურად ეწინააღმდეგება. მე აბსურდულს ვუწოდებ მოსაზრებას, რომ თუ ნაკრები ევროპის ჩემპიონატის ფინალში გავა, გუნდში დავბრუნდები. ეს იმ ხალხის უპატივცემლობა იქნებოდა, ვინც ამ მიზნის მისაღწევად იბრძოლა," - განაცხადა მალდინიმ.

■ ■ ■

**ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკი** "ბარსელონაში" არ ითამაშებს. შაბათს "ვალენსიასთან" განცდილი მარცხის შემდეგ "ბარსას" მთავარმა მწვრთნელმა, ლუის ვან გაალმა განაცხადა, რომ კლუბში ახალი ფეხბურთელები არ ითამაშებენ. "მე ვესაუბრე ფეხბურთელებს, კლუბის პრეზიდენტს, ტექნიკურ შტაბს, გუნდის ექიმებს და შემიძლია განვაცხადო, რომ ყველაფერს ვიღონებთ უკეთესი შედეგების მისაღწევად. გარდა ამისა, მინდა ვთქვა, რომ ჩვენ გვჯერა იმ ფეხბურთელების, რომლებიც ამჟამად იცავენ "ბარსას" ღირსებას და ახლების ყიდვას არ ვაპირებთ," - განაცხადა ჰოლანდიელმა.

■ ■ ■

**მაიამიში,** ფორტ-ლადერდეილში გაიმართა ამხანაგური მატჩი, რომელშიც ერთმანეთს აშშ-ისა და კანადის გუნდები დაუპირისპირდნენ. ორივე გუნდი რეგიონის მთავარი ტურნირის "ოქროს თასისთვის" ემზადება. ამერიკის ახალგაზრდა ნაკრებმა, რომლებმაც ევროპელი ლეგიონერების გარეშე ითამაშეს, დიდი ანგარიშით - 4:0 გაანადგურეს სტუმრები. იქვე მეორე ამხანაგური შეხვედრა, სალვადორისა და გვატემალის ნაკრებებს შორის, ფრედ - 0:0 დამთავრდა.

საინფორმაციო სააგენტო Reuters-ის ცნობით, საფრანგეთის ლიგის თასზე თავისი გუნდის წარუმატებლობით უკმაყოფილო "ლიონის" გულშემატკივრებმა გუნდის საწვრთნელ ცენტრში შეღწევა გადაწყვიტეს. ისინი ბრაზილიელი ედმილსონის გაყიდვას მოითხოვდნენ, რომელმაც "სოშოსთან" შეხვედრაში გადამწყვეტი პენალტი ვერ გამოიყენა.

■ ■ ■

**"ლივერპულის"** ფორვარდი, მაიკლ ოუენი ინგლისის ფეხბურთის ასოციაციამ გაამართლა. საქმე ის არის, რომ ოუენმა ტოტალიზატორში ითამაშა, რაც ერთ-ერთ ბრიტანელ ტაბლოიდს შეუმჩნევლად არ დარჩენია და მან ამის შესახებ ფეხბურთის ასოციაციას აცნობა. გაირკვა, რომ მაიკლ ოუენს ფსონები თავისი გუნდის თამაშზე არ დაუდია, ამიტომ, ინგლისის საფეხბურთო ჩინოვნიკების აზრით, აზარტული თამაშების მოყვარულ ფორვარდს დანაშაული არ მიუძღვის.

■ ■ ■

**სლოვენიის** ნაკრების ნახევარმცველმა, ჯონი ნოვაკმა ექვსთვიანი კონტრაქტი გააფორმა საბერძნეთის "ოლიმპიაკოსთან". საბერძნეთის ჩემპიონს ფეხბურთელი თავისუფალი აგენტის სტატუსით შეუერთდა. ფეხბურთელმა კლუბის ხელმძღვანელობაზე დიდი შთაბეჭდილება მაშინ მოახდინა, როცა გუნდთან ერთად ერთი თვის განმავლობაში ვარჯიშობდა. საინტერესოა, რომ "ოლიმპიაკოსის" მთავარი მწვრთნელია სლოვენიის ნაკრების ყოფილი თავკაცი, სრეჩკო კატანეცი. მან კარგად იცის თანამემამულის პოტენციური შესაძლებლობები. შეგახსენებთ, რომ ნოვაკის უკანასკნელი კლუბი გერმანული "უნტერჰახინგი" იყო, რომელიც ზაფხულში გერმანიის ჩემპიონატის მესამე დივიზიონში დაქვეითდა.

### ისტორიული ფოტო

### ეს იყო 44 წლის წინათ...



1959 წლის 23 აპრილი. მადრიდი, "სანტიაგო ბერნაბეუს" სტადიონი. ევროპის თასის მფლობელთა თასის ნახევარფინალური მატჩი.
მადრიდის "რეალი" - მადრიდის "ატლეტიკო" (1:0).
ბრაზილიელი ვავა და ფრანგი რაიმონ კოპა

## ფეხბურთი

# ქუთათურების წარმატებული სტარტი

*18 იანვარს სტარტი აიღო დსთ-ს და ბალტიის ქვეყნების ჩემპიონთა თანამეგობრობის თასის რიგით მე-11 გათამაშებამ, რომელშიც პოსტსაბჭოური სივრცის სხვა 14 გუნდთან ერთად საქართველოს 2001-2002 წლების სეზონის ჩემპიონი, ქუთაისის "ტორპედო" მონაწილეობს.*

მიხეილ აბაიშვილი

ამ ტურნირის ჩატარება მცირე ხნის წინ კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა, რადგან გენერალურმა სპონსორმა, ბუნებრივი აირის კომპანია "იტერამ" უარი განაცხადა მის დაფინანსებაზე. რუსეთის საფეხბურთო კავშირმა და სპორტის დეპარტამენტმა სასწრაფოდ დაიწყეს ახალი დამფინანსებლის ძებნა, მაგრამ ამ საქმეში დიდ წარმატებას ვერ მიაღწიეს. საბოლოოდ, ტურნირის დაფინანსების მთავარი ხარჯის გაწევა ამ სპორტულ უწყებებს და მოსკოვის მერიას მოუხდათ.

სპორტული თვალსაზრისითაც, წლევანდელი ტურნირი საკმაოდ უფერულია. მასში მონაწილეობას არ იღებენ თანამეგობრობის თასისთვის ისე ნაცნობი და ტრადიციული გუნდები, როგორებიცაა - კიევის "დინამო", მოსკოვის "სპარტაკი" და თბილისის "დინამო". პოსტსაბჭოურ სივრცეში საფეხბურთო რევოლუციების ჟამია, რის შედეგადაც, ტრადიციულმა ჩემპიონებმა გზა და, შესაბამისად, მოსკოვში ყოფილ მოკავშირეებთან თავის მოწონების უფლება ქუთაისის "ტორპედოს", დონეცკის "შახტარს" და ადგილობრივ "ლოკომოტივს" დაუთმეს. თუმცა, ეს უფლება ტურნირის ზემოთ ნახსენები ფავორიტი გუნდების ხელმძღვანელებმა მოვალეობად არ ჩათვალეს და მოსკოვში საბურთაოდ მეორე შემადგენლობებს უხმეს. მოსკოვის "ლოკომოტივის" პოზიცია გასაგებია. რუს რკინიგზელთა გუნდი ჩემპიონთა ლიგის მეორე ჯგუფური ეტაპის თამაშებისთვის ემზადება და ამ მიზნით სერიოზულ საწვრთნელ შეკრებას გადის საფრანგეთის ლაჟვარდოვან სანაპიროზე. მეშახტეებს მსგავსი სასიამოვნო პრობლემები არ აწუხებთ, მაგრამ რადგან მასპინძლები ჯეროვნად არ აფასებენ ტურნირს, თავადაც საკუთარი ღირსების შელახვად მიიჩნიეს შუააზიელებთან უძლიერესი შემადგენლობით "შერკინება" და, ამის გამო, პირველივე შეხვედრაში დაისაჯნენ კიდეც. უზბეკეთის ჩემპიონმა, "პახთაქორმა" ტურნირის უპატივცემულობა არ აპატია "შავი ოქროს" ქალაქის წარმომადგენლებს და სასტარტო ტურში სენსაციურად დაამარცხა ისინი. აზიელები მთელი შეხვედრის განმავლობაში სრულფასოვნად ეთამაშნენ მეტოქეს, მატჩის მიწურულს, კონკრეტულად კი 90-ე წუთზე, ბიკმოევმა გოლიც გაიტანა, ხოლო მსაჯის მიერ დამატებულ წუთებზე კასიმოვმა საბოლოოდ დაამარცხა უკრაინის ჩემპიონი.

"შახტიორისგან" განსხვავებით, "ლოკომოტივმა" იგივე ხვედრი აიცილა. ყაზახეთის "ირტიშთან" შეხვედრაში მასპინძლებმა მხოლოდ ერთი გოლი გაიტანეს (ოვჩინნიკოვი, 60`), რაც სამი ქულის მოსაპოვებლად სრულიად საკმარისი აღმოჩნდა, მაგრამ არა - პირველი ტურის შემდეგ ჯგუფში პირველი პოზიციის დასაკავებლად. ჯგუფის მეორე თამაშში ქუთაისის "ტორპედომ", რომელიც ასევე საგრძნობლად შესუსტებული შემადგენლობით წარსდგა მოსკოველი მაყურებლის წინაშე, ყოველგვარი პრობლემის გარეშე, ანგარიშით 3:0, დაამარცხა ყირგიზეთის ჩემპიონი, "სკა" და ტურნირში წარმატებულთა შორის აღმოჩნდა. ამ შეხვედრაში ანგარიში 36-ე წუთზე საქართველოს ჩემპიონატის ბომბარდირთა შორის დაწინაურებულმა იონანიძემ გახსნა. ორიოდ წუთში ხვადაგიანმა ყირგიზებს კიდევ ერთი გოლი გაუტანა, ხოლო 79-ე წუთზე უკრაინელმა ლეგიონერმა, პოროშინმა დამარცხებულ თანამემამულეებს თამაშის კლასი უჩვენა და მესამე გოლით ქუთათურებს დიდი ანგარიშით გამარჯვება მოუპოვა. აქვე ვიტყვით, რომ ტორპედოელთა სამი წამყვანი ფეხბურთელი, გუნდის კაპიტანი და ეროვნული ნაკრების წევრი გივი დიდავა, ახალგაზრდული ნაკრების ფეხბურთელი, გიორგი იმედაძე და ეროვნული გუნდის ყოფილი წევრი, რევაზ ქემოკლიძე ამჟამად თურქეთში იმყოფებიან და ამ ქვეყნის ერთ-ერთ გუნდში, "ქოჯაელისფორში" ცდიან ძალებს. სავარაუდოდ, თურქეთის ჩემპიონატის ეს აუტსაიდერი გუნდი სამივე ქართველთან გააფორმებს კონტრაქტს და ამით უძლიერესთა ლიგაში ადგილის შენარჩუნებას შეეცდება.

**პირველი ტურის შედეგები:**

***A ჯგუფი***

"ლოკომოტივი" (რუსეთი) - "ირტიში" (ყაზახეთი) 1:0
"ტორპედო" (ქუთაისი) - "სკა" (ყირგიზეთი) 3:0

***B ჯგუფი***

"რეგარ-ტადაზი" (ტაჯიკეთი) - "ბატე" (ბელორუსი) 0:2
"სკონტო" (ლატვია) - "პიუნიკი" (სომხეთი) 2:1

***C ჯგუფი***

"კაუნასი" (ლიტვა) - "აზერბაიჯანი (ახალგაზრდ. ნაკრ.) 2:1
"შახტარი" (უკრაინა) - "ფახთაქორი" (უზბეკეთი) 0:2

***D ჯგუფი***

"ფლორა" (ესტონეთი) - "შერიფი" (მოლდოვა) 0:4
"შაგადამი" (თურქმენეთი) - რუსეთი (ჭაბუკთა ნაკრ.) 0:2

**მეორე ტურის შედეგები:**

***A ჯგუფი***

"ლოკომოტივი" - "ტორპედო" 2:2
"სკა" – "ირტიში" 1:2

***B ჯგუფი***

"პიუნიკი" – "რეგარ-ტადაზი" 1:3
"ბატე" – "სკონტო" 1:1

***C ჯგუფი***

აზერბაიჯანი – "ფახთაქორი" 1:1

***D ჯგუფი***

"შერიფი" – "შაგადამი" 7:1
რუსეთი – "ფლორა" 2:1

# "დინამოს" მეორე "კვიპროსულ-რუსული" ფრე

გუშინ თბილისის "დინამომ" მეორე კვიპროსული ტესტ-მატჩი გამართა. ამჯერად შუშაკის შეგირდებს ვორონეჟის "ფაკელი" დაუპირისპირდა. ეს გუნდი რუსეთის ჩემპიონატის პირველ ლიგაში თამაშობს. წინა შეხვედრის მსგავსად, დინამოელთა მთავარმა მწვრთნელმა არც ამჯერად მიანიჭა თამაშის შედეგს მნიშვნელობა და გუნდი ორი შემადგენლობით ათამაშა. პირველ ტაიმში მოედანზე "დინამოს" დუბლები გამოვიდნენ: მამალაძე, კარლოსი, ვაშაკიძე, კანდელაკი, სახვაძე, მაზიაშვილი, მანწკავა, მანჩხავა, სამხარაძე, ბობოხიძე, მიქაძე. ამის მიუხედავა, ანგარიში სწორედ ქართველმა ფეხბურთელებმა გახსნეს: მიქაძის პასით ბობოხიძემ დებიუტშივე, მე-3 წუთზე დააწინაურა თავისი გუნდი. თუმცა, რუსებმა ათიოდ წუთში აღადგინეს სტატუს-ქვო: გოლი ივანოვის ანგარიშზეა. 38-ე წუთზე იერარქიით უფრო დაბალ საფეხურზე მდგომმა "ფაკელმა" დაწინაურებაც კი მოახერხა: გოლი კომიაგინს ეკუთვნის. მეორე ტაიმში შუშაკმა ძირითადი შემადგენლობა შეუშვა მოედანზე (გვარამაძე, ხიზანეიშვილი, შაშიაშვილი, ამისულაშვილი, კვირკველია, გოგობერიშვილი, ანჩაბაძე, დარასელია, ბურდული, ალექსიძე, ახალაია) და ყველაფერი თავის ადგილზე დადგა. უკვე 50-ე წუთზე დარასელიამ ორი მეტოქე მოატყუა და ზუსტი პასით მოძებნა მოწინააღმდეგის საჯარიმოში მყოფი კვირკველია, რომელსაც ანგარიშის გათანაბრება არ გასჭირვებია. რამდენიმე წუთში დინამოელებს კიდევ ერთი გოლის გატანის შანსი მიეცათ, მაგრამ რუსთა მეკარესთან პირისპირ გასულმა ახალაია-დარასელიას ტანდემმა ეს შანსი ხელიდან გაუშვა. 74-ე წუთზე საქართველოს ჩემპიონატის ლიდერმა გამარჯვების გოლიც გაიტანა, მაგრამ რუსმა არბიტრმა, თამაშგარეს მომიზეზებით, გოლი არ ჩათვალა. საბოლოოდ, შეხვედრა ფრედ, 2:2 დასრულდა. ეს "დინამოს" მიერ კვიპროსზე ჩატარებული და ფრედ დასრულებული მეორე თამაშია. შეგახსენებთ, რომ ორი დღის წინ ჩვენმა გუნდმა ხაბაროვსკის "სკასთან" ითამაშა ფრედ - ანგარიშით 1:1. იმ შეხვედრაშიც "დინამოს" პირველმა შემადგენლობამ "თავისი" ტაიმი მოიგო, დუბლები კი დამარცხდნენ. როგორც გუნდის პრეს-ატაშემ, ლევან სალუქვაძემ სატელეფონო საუბარში გვითხრა, შუშაკისთვის ამ შეხვედრების სპორტულ შედეგებს მნიშვნელობა არ აქვს და მწვრთნელი უპირატესობას გუნდის ტექნიკურ-ტაქტიკურ და ფიზიკურ მომზადებას ანიჭებს. მისივე თქმით, 22 იანვარს "დინამო" ქეცბაიას გუნდს, კვიპროსის ჩემპიონატის ერთ-ერთ ლიდერს, ფამაგუსტას "ანართოსისს" ეთამაშება. ეს შეხვედრა დედაქალაქ ლარნაკაში გაიმართება და შუშაკი, კვიპროსზე ყოფნის განმავლობაში პირველად, გუნდს შედეგზე სათამაშოდ გამოიყვანს.

# ოლაფ ტონი დიდ ფეხბურთს გამოემშვიდობა

### 18 იანვარს გერმანული ფეხბურთის ვეტერანმა თავისი უკანასკნელი მატჩი ითამაშა

*სტადიონ "Auf Schalke"-ზე ყველა ბილეთი გაყიდული იყო. 60,672 გულშემატკივარი ოლაფ ტონს ფეხბურთიდან მიაცილებდა. ის, რომ "შალკემ" მიუნხენის "ბაიერნთან" 0:1 წააგო, მხოლოდ უმნიშვნელო დეტალი იყო...*

გელზენკირხენის "შალკემ" და მიუნხენის "ბაიერნმა" ოლაფ ტონის კარიერაში უმნიშვნელოვანესი როლი ითამაშეს: "შალკეში" მან კარიერა დაიწყო, შემდეგ გადავიდა "ბაიერნში", სადაც თავისი საუკეთესო წლები გაატარა, ბოლოს კი კვლავ "შალკეს" დაუბრუნდა და დაამათავრა კიდეც თავისი კარიერა. სწორედ ამიტომ იყო, რომ ტონმა თავის გამოსათხოვარ მატჩში "შალკეს" მოწინააღმდეგედ სწორედ "ბაიერნი" შეარჩია. ეს ორი კლუბი ტრადიციული მეტოქეა. მათ შორის კონკურენცია ოდითგანვე მწვავე იყო. "არ მინდოდა, რომ ჩემი გამოსათხოვარი მატჩი "ღლაბუცს" დამსგავსებოდა, მსურდა, რომ ნამდვილი, დაძაბული შეხვედრა ყოფილიყო", - განაცხადა ტონმა და მართალიც გამოდგა. ეს მატჩი არ იყო უბრალო ბენეფისი, რომლის დროსაც ანგარიშს არავინ აქცევს ყურადღებას და ყოველთვის "იუბილარის" სიამოვნებას ცდილობენ. გუნდები საკმაოდ სერიოზულად მოეკიდნენ მატჩს, ამის დასტურია მისი შედეგიც.

შეხვედრა "შალკეს" შეტევებით დაიწყო, თუმცა 20 წუთის შემდეგ უპირატესობა "ბაიერნმა" ჩაიგდო ხელში. მატჩის მე-60 წუთზე გელზენკირხენელთა კარში გოლი ჯოვანი ელბერმა გაიტანა. თავად ოლაფ ტონმა მოედანი 63-ე წუთზე დატოვა, რის გამოც თამაში კარგა ხნით შეწყდა. სტადიონზე გამაყრუებელი ოვაციები გაისმოდა, შეხვედრის განახლება კი იქამდე არ მოხერხდა, სანამ ტონმა მოედანს საპატიო წრე არ დაარტყა. "მე კიდევ უფრო აღელვებული ვარ, ვიდრე 1997 წელს, UEFA-ს თასის ფინალის წინ", - განაცხადა 36 წლის ვეტერანმა. ოლაფ ტონის გამოსამშვიდობებელ მატჩს გერმანული ფეხბურთის მთელი ელიტა ესწრებოდა. აქ იყვნენ: ფრანც ბეკენბაუერი, უვე ზეელერი, რუდი ფიოლერი, გერდ მიულერი, კლაუს ფიშერი და სხვები.

ოლაფ ტონს გელზენკირხენში განსაკუთრებით აფასებენ. ის ამ ქალაქში დაიბადა, ფეხბურთის თამაშიც "შალკეში" დაიწყო. კლუბში მან მთელი კარიერა გაატარა, თუ არ ჩავთვლით 1988-1996 წლებში "ბაიერნში" გატარებულ 6 წელს. ბუნდესლიგის 443 მატჩში ტონმა 82 გოლი გაიტანა, ნაკრების შემადგენლობაში კი 52 შეხვედრა ჩაატარა.

მოთამაშის კარიერის დასრულების მიუხედავად, ოლაფ ტონი ფეხბურთში რჩება, თანაც ისევ "შალკეში". რამდენიმე დღის წინათ მან 2005 წლამდე კლუბთან კონტრაქტს მოაწერა ხელი, რომლის თანახმადაც ის "შალკეს" ოფიციალური წარმომადგენელი იქნება.

**უკანასკნელი ინტერვიუ ფეხბურთელ ოლაფ ტონთან**

*ეს ინტერვიუ გერმანულმა სპორტულმა ვებ-გვერდმა "Sport-1"-მა ოლაფ ტონისაგან მისი გამოსათხოვარი მატჩის წინ აიღო.*

**- შაბათს თქვენ უკანასკნელად გამოხვალთ საფეხბურთო მოედანზე, გული ხომ არ გწყდებათ?**

- ფიქრისათვის ბევრი დრო არც კი მქონდა, რადგან ძალიან დაკავებული ვიყავი მატჩის საორგანიზაციო საკითხებით. ყოველივე ეს ცოტათი დამეხმარა, რომ არ მენერვიულა.

**- მაგრამ მატჩის შემდეგ კარიერა დასრულდება...**

- დიახ, ეს ვიცი, ამის შემდეგ ყველაფერი დამთავრდება. მაგრამ რომ დავუკვირდეთ, ჩემი უკანასკნელი მატჩი ჯერ კიდევ აპრილში ვითამაშე. აქედან გამომდინარე, საკმარისი დრო მქონდა იმისათვის, რომ ყოველივეს შევგუებოდი. სწორედ ამიტომ ფეხბურთიდან წასვლა არ გამჭირვებია.

**- რომელი იყო თქვენი კარიერის უმნიშვნელოვანესი მატჩი?**

- ცხადია გერმანიის თასის მატჩი "ბაიერნის" წინააღმდეგ 1984 წელს, რომელიც ანგარიშით 6:6 დასრულდა, აგრეთვე - გამარჯვება UEFA-ს თასის ფინალში "სან სირო"-ს სტადიონზე. ეს ორი მატჩი ჩემი კარიერის უდიდესი მოვლენები იყო.

**- დიდი გამარჯვებიდან მწარე დამარცხებამდე არც ისე დიდი გზაა. რომელი იყო ყველაზე დიდი იმედგაცრუება?**

- 2 წლის წინათ, როდესაც გერმანიის ჩემპიონობა უკანასკნელ ტურში გავუშვით ხელიდან. "ბაიერნმა" მატჩის მე-100 წუთზე გაიტანა თერთმეტმეტრიანი.

**- 19 წლის მანძილზე ეს ერთადერთი იმედგაცრუება გქონდათ?**

- არა, მახსენდება ევროპის 1988 წლის ჩემპიონატიც, როდესაც მეოთხედფინალში ჰოლანდიის ნაკრებთან დავმარცხდით.

**- ალბათ, იყო მომენტები, რომელთა გახსენება საერთოდაც არ გსურთ, მართალი ვარ?**

- ცხადია: ჩემი უკანასკნელი ტრავმა. ეს რომ არ მომხდარიყო, შესაძლოა, ყველაფერი სხვაგვარად წარმართულიყო. მაგრამ მოვლენები ისე უნდა მივიღოთ, როგორც ხდება. 19 წელიც არ არის ადვილი გასაძლები.

**- თქვენი სპორტული კარიერა დასასრულს მიუახლოვდა, რა იქნება მომავალში?**

- მომავალი სამი წელი კვლავინდებურად "შალკეში" დავრჩები. ამავდროულად ვარ მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის ელჩი და 2012 წლის ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტშიც ვთანამშრომლობ.

**- რა ფუნქცია გექნებათ "შალკეში"?**

- ავიღე მწვრთნელის სერთიფიკატი. კვირაში ერთხელ ჩვენი კლუბის ახალგაზრდულ გუნდებს ვავარჯიშებ. ვმუშაობ სპონსორებთან. სამუშაო მართლაც მრავლისმომცველი მაქვს.

**- და რამდენ ხანს გაგრძელდება ყოველივე ეს?**

- ასე იქნება 2005 წლამდე, მერე კი ვნახავთ, რა პასუხისმგებლობის აღება მინდა და შემიძლია. მხოლოდ ამის შემდეგ გადაწყდება, დავრჩები "შალკეში" თუ სხვა საქმით დავკავდები. მაგრამ, ალბათ, მომავალშიც "შალკეში" დავრჩები.




ოლაფ ტონი

ჩოგბურთი

# კურნიკოვა ყველაზე პოპულარულია

*მელბურნი. ავსტრალიის ღია ჩემპიონატი - "დიდი სლემის" ტურნირი. საპრიზო ფონდი 12 004 900 დოლარი. შარშანდელი ჩემპიონები: ვაჟებში - ტომას იუჰანსონი (შვედეთი), ქალებში - ჯენიფერ კაპრიატი (აშშ). მეოთხე წრე.*

**ვაჟები**

ხუან კარლოს ფერერო (ესპანეთი, 4) - მარიო ანჩიჩი (ხორვატია) 6:0, 6:3, 6:2

ანდრე აგასი (აშშ, 2) - გილიერმო კორია (არგენტინა) 6:1, 3:1 კორიამ თამაში შეწყვიტა.

უეინ ფერეირა (სარ) - სარქის სარქსიანი (სომხეთი) 6:3, 6:4, 3:6, 6:3

სებასტიან გროსჟანი (საფრანგეთი, 12) - ფელიქს მანტილია (ესპანეთი) 3:6, 2:6, 6:3, 6:3, 6:3

**ქალები**

ჟიუსტინ ენინ-არდენი (ბელგია, 5) - ლინდსეი დევენპორტი (აშშ, 9) 7:5, 5:7, 9:7

ვინუს უილიამსი (აშშ, 2) - ნიკოლ პრატი (ავსტრალია) 6:3, 6:2

დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკეთი, 7) - პატი შნაიდერი (შვეიცარია, 12) 7:5, 6:3

ვირხინია რუანო-პასკუალი (ესპანეთი) - დენიზა ჰლადკოვა (ჩეხეთი) 6:3, 6:3

პირველ სამ წრეში ხორვატმა მარიო ანჩიჩმა ისეთი მძლავრი თამაში აჩვენა, სპეციალისტებმა ის, თითქმის, ფავორიტთა სიაში ჩაწერეს, მაგრამ ესპანელმა ხუან კარლოს ფერერომ მას კუთვნილი ადგილი მიუჩინა და მიანიშნა, რომ მეოთხედფინალიდან ნამდვილ ფავორიტთა ჯერი დადგება და ანჩიჩის მსგავს ფიგურებს მათ მარაქაში გასარევად დიდი ოფლისღვრა მოუწევთ.

სიმართლე რომ ითქვას, ფერერო თამაშის წინ მეტისმეტად ღელავდა. "ვინც დღეს ნაკლებ შეცდომას დაუშვებს, გამარჯვებაც მას დარჩება. იმედი მაქვს, რომ ეს მე ვიქნები," - ფრთხილობდა ესპანელი და გამარჯვების წყურვილით შეპყრობილ ხორვატს თავიდანვე მოუსპო გასაქანი - 6:0 პირველი სეტის შემდეგ.


ანა კურნიკოვა

ბუნებრივია, რომ ასეთი დებიუტის მომსწრე ანჩიჩი, ცოტა არ იყოს, დაითრგუნა და მეორე სეტში უაღრესად დაბნეული ჩანდა. სპეციალისტებმა აღნიშნეს კიდეც, რომ ანჩიჩმა ეს თამაში პირველი წრის შემდეგ წააგო. პრინციპში ასეც მოხდა. ხორვატმა ვერაფერი დაუპირისპირა ჭკვიანურად მოთამაშე ესპანელს და სამ სეტში დაყარა ფარ-ხმალი.

იგივე შეიძლება ითქვას სომეხ სარქის სარქსიანზე, რომელმაც ავსტრალიაში მარკ ფილიპუსისის ძლევით გამოიჩინა თავი. სომეხი ძალიან დაღლილი ჩანდა და, მართალია მესამე სეტში გაიბრძოლა, მაგრამ მისი ეს გარჯა გედის სიმღერას უფრო ჰგავდა, ვიდრე გამარჯვების ჟინით შეპყრობილი ჩოგბურთელის თამაშს.

ანდრე აგასის გამარჯვებას რაც შეეხება, მისი თამაში მოთელვას უფრო მოგაგონებდათ. არგენტინელმა გილიერმო კორიამ მეორე სეტში შეწყვიტა თამაში, რისთვისაც ამერიკელი ფრიად მადლობელი დარჩა. "კორია ძალიან კარგი მოთამაშეა და ჩემთვის მით უფრო სასიამოვნოა, რომ შესანიშნავი საჩუქარი მომიძღვნა. ახლა დასვენებისთვის მეტი საშუალება მექნება," - ამაყად ამბობდა აგასი.

სამაგიეროდ, გაუჭირდა მე-12 ნომრად განთესილ სებასტიან გროსჟანს. ეს შეხვედრა თითქოს უცნაურად წარიმართა და რაღაცით დევისის თასის ფინალურ მატჩს ჰგავდა. მაშინ პოლ-ანრი მატიემ რუს მარატ საფინს პირველი ორი სეტი კი მოუგო, მაგრამ შემდეგ ზედიზედ სამი პარტია დათმო და საბოლოოდ დამარცხდა. გროსჟანის შემთხვევაშიც იგივე განმეორდა. თუმცა, ამჯერად გამარჯვება ფრანგს დარჩა. ორი უსახური პარტიის შემდეგ გროსჟანმა ერთიდაიგივე ანგარიშით - 6:3, სამჯერ მოუგო ესპანელ ფელიქს მანტილიას.

ქალთა თანრიგშიც ფავორიტებმა იმარჯვეს. მეოთხედფინალში ჟიუსტინ ენინი, ვინუს უილიამსი, დანიელა ჰანტუხოვა და ვირხინია რუანო-პასკუალი გავიდნენ. თუმცა, რაგინდ პარადოქსულად უნდა ჟღერდეს, ავსტრალიის ღია ჩემპიონატის ყველაზე პოპულარულ ჩოგბურთელად რუსი ანა კურნიკოვა რჩება.

რუსი ლამაზმანი სათავეში უდგას ტურნირის ოფიციალური საიტის რეიტინგს, რომელიც ყველაზე პოპულარულ ჩოგბურთელს აფიქსირებს. საიტზე კურნიკოვას შესახებ დამატებითი ინფორმაცია 19 153 ადამიანმა მოითხოვა - უფრო სწორად, მათ კურნიკოვას შესახებ ყველაფერი აინტერესებთ - თვით ყველაზე ინტიმური ინფორმაციაც კი.

ეს ბევრად მეტია, ვიდრე ლეიტონ ჰიუიტის ანალოგიური მაჩვენებელი, რომელიც ამავე დროს ტურნირის მასპინძელიც არის. როგორც ირკვევა, საიტით დაინტერესებულთა უმრავლესობას ჩოგბურთთან მაინცდამაინც დიდი კავშირი არ უნდა ჰქონდეს, ვინაიდან ამ დროისთვის თავად კურნიკოვაც ნაკლებადაა ჩოგბურთთან დაკავშირებული.

ამ მეტად საყურადღებო რეიტინგში მეორე ადგილზე სლოვაკი დანიელა ჰანტუხოვა მოხვდა. კურნიკოვასი არ იყოს, ალბათ, მასაც გრძელი ფეხების გამო დასდეს ესოდენ დიდი პატივი. ჰანტუხოვას მოტრფიალეთა რაოდენობა - 10 000 უდრის. დებ უილიამსებზე რომ არაფერი ვთქვათ, ბელგიელი ჟიუსტინ ენინი, რომელმაც რუსი ლამაზმანი გამანადგურებელი ანგარიშით - 6:0, 6:1 დაამარცხა, მხოლოდ მეოთხეა. მეხუთე ადგილზე სერენა უილიამსია, ხოლო მისი უფროსი და, ვინუსი მხოლოდ მერვეა. მართალია უილიამსები ჩოგბურთს კურნიკოვაზე უკეთესად თამაშობენ, მაგრამ ეს ვის აღელვებს?

ვაჟთა რეიტინგს, როგორც ვთქვით, ლეიტონ ჰიუიტი ლიდერობს. მეორე კი ტაილანდელი პარადორნ შრიჩაფხანია, ალბათ იმიტომ, რომ აზიური ჩოგბურთის სამეფო ტახტზე მან ამერიკელი მაიკლ ჩანგი შეცვალა და მკვიდრად დაიპყრო აზიელი გულშემატკივრების გულები.

ჭადრაკი

# სამხელისუფლებიანობა

**ვეიკ-ან-ზეე. ჰოლანდია. ვაჟთა სუპერტურნირი. მე-6 ტური.** *კრამნიკი - გრიშჩუკი 0,5:0,5, ივანჩუკი - ანანდი 0,5:0,5, პონომარიოვი - პოლგარი 0,5:0,5, ბარეევი - ვან ველი 0:1, კრასენკოვი - შიროვი 1:0, კარპოვი - რაჯაბოვი 0,5:0,5, ტიმანი - ტოპალოვი 0:1.*

ვეიკ-ან-ზეეს საჭადრაკო ტურნირის მე-6 ტური სენსაციებით მდიდარი აღმოჩნდა. დასასრული კი საერთოდაც სუპერმოულოდნელი ჰქონდა - ლუკ ვან ველი, რომელიც ბოლო რამდენიმე წელია, ტურნირს აუტსაიდერის რანგში ამთავრებდა, ლიდერად მოგვევლინა.

სტარტზე განცდილი ოთხი ფრის შემდეგ ლუკმა ზედიზედ მეორე გამარჯვება იზეიმა. ბულგარელი ვესელინ ტოპალოვის კაპიტულაციის შემგედ ჰოლანდიელმა ევგენი ბარეევსაც დააყრევინა ფარ-ხმალი. გრიუნფელდის დაცვის გამო შექმნილ მეტად საჩოთირო პოზიციაში ბარეევმა ექსპერიმენტებს მიმართა. მან შეწირვებზე გადაიტანა აქცენტი და მდგომარეობა ველარ გამოასწორა. როცა საქმე შეწირული ფიგურების დაბრუნებაზე და ზუსტი დაცვით ყაიმის დაფიქსირებაზე მიდგა, გაირკვა, რომ ექსპქრიმენტი მას მარცხის ფასად დაუჯდა.

ლიდერთა ტრიოში ვან ველიმ ალექსეი შიროვი შეცვალა, რომელმაც შავი ფიგურებით მიხაილ კრასენკოვს დაუთმო ქულა. სპეციალისტები აღიარებენ, რომ შიროვმა, როგორც ჩანს, ღირსეულად ვერ შეაფასა ის საფრთხე, რომელიც კრასენკოვისგან ელოდა. მიუხედავად იმისა, რომ პოლონელ მოჭადრაკეს არცთუ ისე ბევრი ქულა აქვს, ის შესანიშნავი სადებიუტო მომზადებით გამოირჩევა და რამდენჯერმე მოსაგები პოზიციაც ჰქონდა.

მორიგი წარუმატებლობა განიცადა ჰოლანდიელმა ვეტერანმა, იან ტიმანმა. მას ვესელინ ტოპალოვმა ავანტურული თამაში შესთავაზა. ბულგარელმა დებიუტშივე გარისკა. მეტოქეს ხარისხი შესწირა და საყაიმო პოზიციას გამუდმებით გაურბოდა. ამის გამო, ტიმანს მეტოქის დასჯა სურდა, მაგრამ გადამწყვეტი სვლა, რომელიც მუდმივ ქიშს აფიქსირებდა, შეეშალა და დამარცხდა.

დანარჩენი პარტიები ყაიმით დასრულდა. ივანჩუკმა და ანანდმა არ ითამაშეს. კრამნიკმა თავისი სანიმუშო დებიუტით გრიშჩუკის წინააღმდეგ ვერაფერი გააწყო, ხოლო პოლგარი და პონომარიოვი ერთმანეთის ღირსეული მეტოქეები აღმოჩნდნენ. ყველაზე დიდხანს კარპოვ - რაჯაბოვის პარტია გაგრძელდა. რაჯაბოვი ენდშპილში მსოფლიოს ექს-ჩემპიონის მოტყუებასაც შეეცადა, მაგრამ მხოლოდ ფრეს გამორჩა.

დღეისთვის სატურნირო ცხრილს 4-4 ქულით ლიდერობენ - პოლგარი, ანანდი და ვან ველი. ალექსეი შიროვს 3,5 ქულა აქვს.

კალენდარი

## 20 იანვარი


გარინჩა

1874 წელს დაიბადა სტივენ მლუმერი - ინგლისელი ფეხბურთელი. მას უწოდებენ ინგლისური ფეხბურთის პირველ ვარსკვლავს. მან საკლუბო დონეზე ჩაატარა 598 მატჩი, რომელშიც გაიტანა 352 გოლი. ინგლისის ნაკრების შემადგენლობაში ჩატარებულ 23 შეხვედრაში გაიტანა 28 გოლი.

1936 წელს დაიბადა შოთა ლომიძე - ქართველი თავისუფალი სტილით მოჭიდავე, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი, 1968 წლის ოლიმპიური თამაშების ვერცხლის მედალოსანი.

1983 წელს გარდაიცვალა გარინჩა - მანუელ ფრანსისკო დოს სანტოსი. მსოფლიოს საუკეთესო გარემარბი, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი. ის გარდაიცვალა ღატაკთა თავშესაფარში ალკოჰოლით მოწამვლისაგან. ნაკრებში ჩაატარა 50 მატჩი და მხოლოდ ერთ შეხვედრაში დატოვა მოედანი დამარცხებულმა. როცა გარინჩა და პელე ერთად თამაშობდნენ, ბრაზილიის ნაკრებს არც ერთი მატჩი არ წაუგია.

1984 წელს გარდაიცვალა ჯონი ვაისმიულერი - ამერიკელი მოცურავე, ხუთგზის ოლიმპიური ჩემპიონი, პირველი, ვინც 100 მეტრი წუთზე ადრე გასცურა. იგი ფილმებში ტარზანის როლის შემსრულებელიც იყო.

1984 წელს გარდაიცვალა მეტიუ ბასბი - გამოჩენილი ინგლისელი მწვრთნელი, რომელმაც მთელი ცხოვრება "მანჩესტერ იუნაიტედს" მიუძღვნა.

კრივი

# ცზიუმ გამარჯვებით ყური გახვრიტა

ბიბა ბურასაშვილი

*მუშტების ქნევის ოსტატმა, პროფესიონალური რინგის აბსოლუტურმა ჩემპიონმა, გაავსტრალიელებულმა კონსტანტინ ცზიუმ ახალ სამშობლოში პირველად იჩხუბა და წარმატებით დაიცვა ქვე-საშუალო (63,5 კგ) წონის ჩემპიონის ტიტული. ამერიკელი ჯესი ჯეიმს ლეიხასთან ორთაბრძოლა ხანგრძლივი არ გამოდგა, თუმცა, მის დასრულებას ნაკლებ დროშიც ვარაუდობდნენ.*

მელბურნში "ტელსტრა დოუმის" რინგზე გასული, რუსეთში დაბადებულ-გაზრდილი, 33 წლის ცზიუსთვის, რომელიც 1998 წლიდან მწვანე კონტინენტის მაცხოვრებელია, ამჟამინდელ პაექრობას ყველაზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ხუმრობა ხომ არაა, სასწორზე იდოს ერთბაშად სამი - WBC (საბჭოს), WBA (ასოციაციის) და IBF (ფედერაციის) პრესტიჟული საჩემპიონო ქამარი და მათ დაუფლებას ერთი ნაბიჯი გაშორებდეს, მით უმეტეს, როცა იგივე მდგომარეობაშია მოწინააღმდეგეც. ყოველივე დაძაბული და საინტერესო ორთაბრძოლის წინა პირობას მოასწავებდა და ეს მაყურებლის რეკორდულ რაოდენობაზეც აისახა. მოგუგუნე მაყურებელთა შორის ყველაზე საპატიო სტუმარი გახლდათ 8 წლის ტიმოფეი, რომელიც პირველად ადევნებდა თვალ-ყურს საკუთარი მამის – კონსტანტინე ცზიუს ორთაბრძოლას.


კონსტანტინ ცზიუ

მიუხედავად ადრეული პროგნოზებისა, რომ რუს-ავსტარლიელი და ტექსასელი მოკრივეების შერკინება პირველ, ან მეორე რაუნდში ცზიუს გამარჯვებით დასრულდებოდა, ექვს რაუნდამდე გაიწელა. ცზიუს ძლიერ დარტყმებს ლეიხას ასევე ძლიერი დარტყმები ენაცვლებოდა. თუმცა, პირველ რაუნდებში ამერიკელის უპირატესობა მაინც შეიმჩნეოდა. პირველი სამი რაუნდის შემდეგ მსაჯები უპირატესობას ქულებით ლეიხას ანიჭებდნენ. შემდეგი სამი რაუნდი კი, შეიძლება ითქვას, გარდამავალი უპირატესობით წარიმართა, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში რუს-ავსტრალიელი გასავათებულის შთაბეჭდილებასაც კი ტოვებდა. შერკინების დაწყებიდან, დაახლოებით, 25-ე წუთის მსვლელობისას კონსტანტინემ თავი გამოიდო და ლეიხას ძლიერი დარტყმა მიაყენა თავზე. ამ დროს გონგის ხმაც გაისმა. შესვენებისას აშკარა გახდა, რომ ამერიკელი მეშვიდე რაუნდის დაწყების მაუწყებელ გონგის ხმას არაფრად ჩააგდებდა. საქმე მსაჯების გადაწყვეტილებამდე მივიდა. მსაჯებმა ამერიკელს ტექნიკური ნოკაუტით წაგება ჩაუთვალეს. როგორც შემდეგ თავად მოკრივემ განაცხადა, მას მარჯვენა ყურის დაფის აპკი მეოთხე თუ მეხუთე რაუნდში დაშავებია. მეექვსე რაუნდში ცზიუს მიერ განხორციელებულ ძლიერ დარტყმას კი დაშავებული აპკი უფრო დაუზიანებია.

"ვიცი, რომ დავშავდი, მაგრამ რა სახის ტრავმა მივიღე, ვერ გეტყვით, ექიმი არ ვარ", - ასპარეზობის დასრულების შემდეგ მოკლედ მოჭრა 36 წლის ლეიხამ.

თავად კონსტანტინ ცზიუმ, რომლისთვისაც ლეიხასთან შერკინება მისთვის მეთოთხმეტე სატიტულო ორთაბრძოლა გახლდათ, აღიარა, რომ, ექსპერტებისგან განსხვავებით, მას პირველ, ან მეორე რაუნდში მოგების იმედი სულაც არ ჰქონია - ძლიერი მეტოქე მყავდა და იმიტომო.

ახლა, როდესაც ცზიუმ გამარჯვება იზეიმა, მას ტიტულის სავალდებულო დაცვა მოუწევს - ჯანლუკა ბრანკოსთან ან არტურო გატისთან.

რალი

# ლიდერის უიღბლობამ "დაკარი" ფორმალობად აქცია

*"ტელეფონიკა დაკარი-2003"-ის აბსოლუტური ჩათვლის ზესამეულში მოსახვედრად, წმინდა სპორტული თვალსაზრისით, ფაქტობრივად, უშანსოდ დარჩენილ მრბოლელებს ერთადერთ გამოსავლად ისღა რჩებოდათ, რომ დაწინაურებულთაგან ვინმეს სერიოზული ტექნიკური პრობლემა შექმნოდა. საბოლოოდ ასეც მოხდა - უკვე გამარჯვებულის შარავანდედით შემოსილ Mitsubishi-ის ფრანგულ ეკიპაჟს, სტეფან პეტერჰანსელისა და ჟან-პოლ გოტრეს შემადგენლობით, ბედმა უმუხთლა.*

აქამდე "პარიზი-დაკარის" სახელით ცნობილი უპრესტიჟულესი რალი უკვე, თითქმის, ისტორიის საკუთრება გახდა. დასრულდა ბოლოს წინა, მეთექვსმეტე ეტაპი, რომელიც აბუ რიშიდან წითელი ზღვის სანაპირომდე, შარმ ელ შაიხამდე, 828 კილომეტრს მოიცავდა. ასპარეზობას შემორჩენილი 100 მოტოციკლის, 61 ავტომობილისა და 28 სატვირთოსგან შემდგარ ქარავანს მთავარი გამოცდის ჩაბარება 365-კილომეტრიან სპეციალურ მონაკვეთზე მოუხდა. აქ წარმატება ეკიპაჟებისთვის, ფაქტობრივად, ძალთა გადანაწილების ბოლო საშუალება გახლდათ. ვისაც საკუთარი პოზიციის გაუმჯობესება სურდა, სწორედ ზემოხსენებული საგანგებო მონაკვეთი უნდა გამოეყენებინა. ბოლო ეტაპი უფრო ერთგვარ ფორმალობას წარმოადგენდა.

ეკიპაჟებიდან ორთვლიანთა კლასში მეთექვსმეტე ეტაპი საერთო ჩათვლის მეორე პოზიციაზე მყოფმა ფრანგმა, კირილ დესპრესმა მოიგო, მაგრამ მისივე თანამემამულეს, რიშარდ საინტს ეს საფრთხეს არ უქმნის - იგი საერთო ჩათვლის ლიდერია. არადა, მოვლენები ისე განვითარდა, შეიძლებოდა მეთექვსმეტე ეტაპის გამარჯვებული მარკ კომა გამხდარიყო. კომა პირველ და საიდუმლო საკონტროლო პუნქტებთან, რომელიც პირველ და მეორე პუნქტებს შორის იყო განთავსებული, საუკეთესო შედეგით გამოირჩა, მაგრამ ისე მოხდა, რომ ფინიშის ხაზთან დესპრესი მასზე ადრე მიიჭრა. დესპრესმა მთლიან მონაკვეთზე ოთხი საათი და 52 წუთი დაჰყო. გამარჯვებასთან მიახლოებულმა კომამ კი ფინიშის ხაზი მესამემ გადაკვეთა. დესპრესსა და კომას შორის კი საერთო ჩათვლის ლიდერმა, რიშარდ საინტმა დაიკავა ადგილი.

მოულოდნელი სენსაცია მოხდა ავტომობილების კლასში. Mitsubishi-ის პილოტმა, სტეფან პეტერჰანსელმა საერთო ჩათვლის ლიდერობა მისივე თანაგუნდელ პარტნიორს, იაპონელ ჰიროში მასუოკას გადაულოცა. იაპონელისგან მთელი 25 წუთითა და 50 წამით დაწინაურებულმა ფრანგმა, ვიდრე აბუ რიშსა და შარმ ელ შაიხს შორის გაშლილ სპეციალურ მონაკვეთს გაუდგებოდა, უმძიმესი დღე გადაიტანა. დაკარის ფინიშის ბოლო წერტილამდე 151 კილომეტრით ადრე, 320-ე კილომეტრზე, დაკარის ისტორიის ყველაზე დრამატული სცენა გათამაშდა - პეტერჰანსელი ასპარეზობას გამოეთიშა.

"საშინელი დღე მქონდა. 70 კილომეტრის შემდეგ შევამჩნიეთ, რომ ინდიკატორი გაცხელებულ წყალზე მიგვითითებდა. შევჩერდით და აღმოვაჩინეთ, რომ რადიატორი გვქონდა გაგლეჯილი. წყალს ვკარგავდით. სასწრაფოდ, შეძლებისდაგვარად, შევაკეთეთ კიდეც, რაშიც, დაახლოებით, 20-25 წუთიც დავკარგეთ, მაგრამ ვხვდებოდით, რომ ჩვენთვის ასპარეზობა უკვე დასრულებული იყო. შემდეგ მთელი სისწრაფით გავაგრძელეთ რბოლა, თითქოს ყველაფერი კარგად წავიდა, მასუოკასაც წამოვეწიეთ მე-200 კილომეტრზე, მაგრამ წყალმა ისევ წითელი აგვინთო. სამჯერ მოგვიწია გაჩერება და წყლის ჩამატება. შემდეგ ზეთიც გაცხელდა და დასახმარებლად მოსული სხვა ეკიპაჟის ლოდინი მოგვიხდა. ბოლოს ისევ გავაგრძელეთ რბოლა, მაგრამ წინა მარცხენა ბორბლით კლდის შვერილს გამოვედეთ და გავტეხეთ. აი, ასეთია მოტოსპორტი. როდესაც გგონია, რომ ასპარეზობა მოგებული გაქვს, მერეღა ხვდები, რომ გამარჯვებულად თავი მანამდე არ უნდა ჩათვალო, ვიდრე ფინიშის ხაზს საბოლოოდ არ გადაკვეთ", - სინანულით აღნიშნავს პეტერჰანსელი.

რომ არა ტექნიკური პრობლემები, პეტერჰანსელს შეეძლო, გამხდარიყო დაკარის ისტორიაში მეორე პილოტი, რომელსაც მოტოციკლისტთა და ავტომობილების ჩათვლაში ექნებოდა გამარჯვებები (პეტერჰანსელი, ვიდრე ავტომანქანის საჭეს მიუჯდებოდა, ორთვლიანების კლასში ექვსჯერ ჰქონდა მოგებული "დაკარი").

სტეფან პეტერჰანსელისა და ჟან-პოლ გოტრეს Mitsubishi-ის ფრანგული ეკიპაჟის უიღბლობის შემდეგ ჰიროში მასუოკას ისღა დარჩენია, ზედიზედ მეორე გამარჯვებისთვის მოემზადოს. საერთო ჩათვლაში მეორე პოზიციიდან პირველზე გადანაცვლების მიუხედავად, მეთექვსმეტე ეტაპი იაპონელს არ მოუგია. ეტაპის გამარჯვებული გახდა იტალიელი მიკი ბიაზონის Mitsubishi (ოთხი საათი, 43 წუთი და 50 წამი). ყველასგან მოულოდნელად, იტალიელს ფეხდაფეხ მიჰყვა ბელგიელი სტეფან ჰენრარის VW. მესამე იყო ჟან-პიერ ფონტანის Mitsubishi. ხოლო რაც შეეხება საერთო ჩათვლაში მეოთხე საფეხურზე ჩამოქვეითებულ პეტერჰანსელს, იგი 61 ეკიპაჟს შორის მე-40 აღმოჩნდა. იმავე ჩათვლაში პირველ ადგილზე მყოფმა მასუოკამ კი მეექვსემ დაასრულა ასპარეზობა.

სატვირთო მანქანების კლასში ისევ ფირდაუს კაბიროვის Камаз-ის რუსულ ეკიპაჟს დარჩა გამარჯვება. მეორეზე ამჯერად Tatra-ს ჩეხური ეკიპაჟი გავიდა, ხოლო სამეულს დაუბრუნდა DAF-ის ჰოლანდიური ეკიპაჟი, იოჰანეს დე რუუის ლოცმანობით.


ხიროში მასუოკა

გაზეთი 24 საათი
უფასო განცხადების კუპონი
20.01.03 N-18




## აფიშა

### თეატრები

**რეზო გაბრიაძის თეატრ-სტუდია**

ყოველ პარასკევს, შაბათს და კვირას გაიმართება სპექტაკლი "ჩემი გაზაფხულის შემოდგომა"

დას: 19.00. ბილეთები იყიდება თეატრის სალაროში 11 - 16 სთ-მდე. (შავთელის ქ. №13). ტელ: 98-65-90, 98-65-93.

### საგამოფენო დარბაზები

**ეროვნული გალერეა**

11 ახალგაზრდა შემოქმედთა ნამუშევრების გამოფენა

**ძველი გალერეა**

"დაჭექი", ლია შველიძის გამოფენა-აქცია

**ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი**

საშობაო გამოფენა

**ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი**

ქართველ მხატვართა ნამუშევრების ჯგუფური გამოფენა (ფერწერა, გრაფიკა, ქანდაკება)

### კინოთეატრები

**„ამირანი„**

"ჰარი პოტერი", რეჟ. კრის კოლუმბი

დას: 11:00; 14:00; 17:00 სთ; ფასი 5-8 ლარი

"გაფარჩაკებულები", რეჟ. გევინ ბრაზერი

დას: 20:00; 22:00 სთ; ფასი 7,8 ლარი

**„რუსთაველი„**

ანიმაციური ფილმი "კარლსონი, რომელიც სახურავზე ცხოვრობს"

დას: 15:00 სთ; ფასი 5 ლარი

"ლამარკას უკანასკნელი საქმე", მთავარ როლში რობერტ დე ნირო

დას: 17:00 სთ; ფასი 5,6 ლარი

"ჯეიმს ბონდი, მოკვდი სხვა დღეს", რეჟ. ლი ტომახორი; როლებში პირს ბროსნანი, ჰალი ბერი

დას: 19:00; 21:30 სთ; ფასი 9 ლარი

**„ელისო„**

ანიმაციური ფილმი "კარლსონი, რომელიც სახურავზე ცხოვრობს"

დას: 13:00 სთ; ფასი 5 ლარი

"ჯეიმს ბონდი, მოკვდი სხვა დღეს", რეჟ. ლი ტომახორი; როლებში პირს ბროსნანი, ჰალი ბერი

დას: 15:00; 18:00; 21:00 სთ; ფასი 7 ლარი

**ESM-თბილისის სკოლა-ლიცეუმი**

**ცხადდება მიღება მოსამზადებელ ჯგუფებში**

V-VI-VII-VIII-IX კლასების იმ მოსწავლეთათვის, რომლებიც სწავლის გაგრძელებას აპირებენ ESM-თბილისის სკოლა- ლიცეუმში.

მეცადინეობა ჩატარდება მათემატიკასა და უცხო ენაში - კვირაში 3-ჯერ $15^{00}$ საათიდან. სწავლება დაიწყება 15 იანვარს.

განცხადებები მიიღება ყოველდღე $9^{30}$ -დან $15^{00}$ -საათამდე.

მისამართი: ნუცუბიძის 223. (საქართველოს ბანკის შენობასთან).
ტელეფონი: 32 97 83 (9.00-15.00) სკოლა-ლიცეუმი, 877 425286.

## ბინები

### იყიდება

იყიდება 4-ოთახიანი არასტანდარტული ბინა პეკინის 35. 140 კვ.მ. ფასი 32 000, ტელ: 899 901729.

იყიდება ერთი ოთახი ალმაშენებლის 82-ში იტალიურ ეზოში I სართულზე, გამოდგება საოფისედ,. ფას: 5600$. ტელ: 34-06-65, 34-85-40, 899 266 221.

იყიდება წერეთელზე 4-ოთახიანი ჩეხური პროექტის ბინა მაღალ ბელეტაჟზე. ფასი 25 000. 8(99) 51 58 54

სასწრაფოდ იყიდება კარგად გარემონტებული 5-ოთახიანი ბინა ვაკეში, II-III სართული. ფასი 75 000. 8(99) 51 58 54

სასწრაფოდ იყიდება გარემონტებული სამოთახიანი ბინა ა/ფარეხით ფალიაშვილის ქუჩაზე. მე-2 სართული. ს/ფასი 50 000. 8(99) 51 58 54

სასწრაფოდ იყიდება სამოთახიანი ბინა ახალ კორპუსში რუსთაველზე, I სკოლასთან. 50 000. 8(99) 51 58 54

იყიდება საკუთარი სახლი ნუცუბიძეზე საბაგიროსთან, ბელეტაჟზე, ხეხილის ბაღით, ავტოფარეხით. ტ: 39-87-19.

## მიწის ნაკვეთი

იყიდება 2500 კვ.მ. მიწის ნაკვეთი ალმაშენებლის ხეივნიდან 400 მ-ში, რესტორან „ფორტუნასთან". 53 07 48

იყიდება ბაზალეთის ტბის პირას საუკეთესო მიწის ნაკვეთი. ფასი შეთანხმებით. ტელ: 95-52-92.

## ბინები

### ქირა, გირაო

**ქირავდება!**

სახლი ალმაშენებლის გამზ. №151 (24-ე სკოლასთან); ევრორემონტით. საერთო ფართი 200 კვ.მ. 6 ოთახი, 2 სველი წერტილით, ტელეფონით, გათბობით, ცხელი წყლით. 2 შესასვლელით. II სართული. გამოდგება საოფისედ.

ტელ: 37-28-77;
93-16-11; 899 539097

ვაქირავებ 1-ოთახიან იზოლირებულ ბინას პარლამენტთან ახლოს, ბესიკის ქუჩა №9-ში დღიურად. ფასი მოლაპარაკებით. 92 03 85, 99 94 67, 8(93) 33 03 86

## მანქანები

სასწრაფოდ! იყიდება მაღალი კლასის ავტომანქანა "ჰუნდაი სონატა" სრული ელპაკეტით (ტყავის სალონით) 1995წ. 877 44 45 13

## სწავლება

მოვამზადებმათემატიკაში, ფიზიკასა და ქიმიაში სკოლის სრული პროგრამით. ტელ: 38-63-73 ზურაბი.

დავამთავრე თსუ და თსსუ. მოვამზადებ ქიმიაში, ბიოლოგიაში, მათემატიკაში, ფიზიკაში ბინაზე მისვლით, დილის საათებში. 38 48 65 (8 სთ-ის შემდეგ), 8(93) 39 71 19

ირმა ნიორაძის საბალეტო სტუდია აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 5 წლის ასაკიდან. ფალიაშვილის ქ. N34. ტელ: 22-47-29

BRITISH HOUSE -ინგლისური სამ თვეში მოსწავლეთათვის 6 თვეში. ტ: 23-31-45 (საღამოს) 899 554469

ინგლისში სტაჟირებული პედაგოგი შეგასწავლით ინგლისურ ენას თქვენი მიზნების გათვალისწინებით. აგრეთვე, მიიღებთ კონსულტაციებს დიდ ბრიტანეთში სწავლა-განათლების შესახებ. ტელ: 95-20-34, 96-64-12

**შეგასწავლით!**

კომპიუტერზე საოფისე პროგრამებს ინდივიდუალურად (WINDOWS, Word, Exell, Internet), ფასი 60 ლარი, ჭავჭავაძის 74, მე-9 სართ. 908 ოთახი.

**ტელ: 25-35-48, 23-53-69 - თამილა.**

მოვამზადებ ფიზიკა-მათემატიკაში სკოლის მოსწავლეებს, აბიტურიენტებს, მოსამზადებლის სტუდენტებს. 38 44 43 საღამოს, 61 29 76

## სხვადასხვა

წყლის ბატარიების გადაყვანა დენზე. 60-37-06 თამაზი.

დედათა და ბავშვთა სამკურნალო პროფილაქტიკურ ცენტრში ვმკურნალობთ კანის დაავადებებს: ფსორიოზს, ნეიროდერმიტს, სებორეას, ეგზემას, სოკოს (ლიც. № 0002440). მიცკევიჩის 29 ა. 39 18 24 (10-დან 15 სთ-მდე), 39 80 50 (18 სთ-დან)

საორსულო ტანსაცმელი და ბანდაჟები. მოხრილობის, დისკოზის და ფეხის ასადგმელი ქამრები, ბრტყელტერფიანების სუპინატორები, ორთოპედიული ბალიშები. 53 46 41

იყიდება ინგლისური ჯიშის გოჭები. 8(99) 93 93 85

იყიდება კაპიტალური ფერმა ძროხებით, ღორებით, თხებით და ფრინველებით სოფ. გლდანში. 8(77) 48 49 49, 8(99) 94 72 51

ქირავდება თხილამურები ბავშვებისათვის. ქავთარაძის ქუჩა №16. „ლეჩკომბინატის" მიმდებარე ტერიტორია. 8(99) 18 58 58

ვეძებთ სარეკლამო აგენტს პროდუქციის რეკლამის დასამზადებლად. 75 35 80, 8(99) 56 34 45 თამუნა

გვესაჭიროება ნაყინის ეტიკეტის დიზაინის დამზადება. 75 35 80, 8(99) 56 34 45 თამუნა

ყურადღება! სამუდამოდ გაგათავისუფლებთ ჭარბთმიანობისგან. ვარჩევთ ნებისმიერი სირთულის თმას. 1 საათი – 12 ლარი. ტ. 93-19-52, 899 168 168 ნინო

საშუამავლო ფირმა „კახი-98" გთავაზობთ ბინების ყიდვა-გაყიდვა-დაგირავება-გაქირავებას. 23 70 91, 8(77) 71 05 90, 8(93) 30 32 82

ვიწვევთ სამუშაოდ სამორინეში გოგონებს 18-დან 25 წლამდე. 8(99) 28 83 93

ფირმა "ულტრა-დომუს"-ი გთავაზობთ:
- პროექტირებას,
- დიზაინს,
- მშენებლობას.

ტელ: 23-36-58; 94-13-34; 893 347536

## TV პროგრამა 20 იანვარი

### რუსთავი - 2

07.00 მუსიკა
07.30 მულტსერიალი „პაწაწინა ონავრები"
08.00 დილა მშვიდობისა
09.40 სერიალი „ქალთა ქვეყანა"
10.40 სერიალი „ალფი"
11.10 ხალხის პირისპირ
12.00, 15.00 კურიერი
13.30 მხ. ფილმი
12.15 სერიალი „მაცდური სიყვარული"
15.20 მხ. თილმი
17.05 სერიალი „ქალთა ქვეყანა"
18.00, 21.00, 02.20 კურიერი
18.20 მულტსერიალი „პაწაწინა ონავრები"
18.50 ჰერაკლე
19.30 სერიალი „მედისონის სკოლა"
20.05 სერიალი „მაცდური სიყვარული"
22.00 ხალხის პირისპირ
22.50 ღამის კურიერი
00.20 მხ. ფილმი „ჰაკერები" მთ. როლებში ჯონი ლი მილერი, ანჯელინა ჯოლი
02.30 კლასიკა

### პირველი არხი

20.01 07.30 ალიონი
16.50 „საქართველო და გარესამყარო"
17.15 „რამპა"
17.20 50-50
18.00 ვესტნიკი
18.20 დოკ. სერიალი „ყველანი ორბიტაზე"
18.30 ბასტი-ბუბუ
18.50 „მრავალჟამიერ" (კალანდობა გურიაში)
19.20 ტელეთამაში „იმღერე რამე"
20.00 მოამბე
21.00 ტელესერიალი „ეშმაკუნა"
21.50 „ბენი ჰილი"
22.05 დოკ. სერიალი „ყველაზე, ყველაზე საკვირველი"
23.00 დღის ბოლოს
00.00 მხ. ფილმი „ბულის საიდუმლოებანი"

### პირველი სტერეო

08.00 ტოროლა
10.00 განმეორებით ინფორმატორი
11.00 განმეორებით ქართული მუსათეული
11.45 მუსიკა
13.00 სმს შოუ
16.00 ფილმი „უდანაშაულო დამნაშავე"
18.00 უცხოური მუსათეული
19.00 ინფორმატორი
19.30 ქართული მუსიკა
20.00 ვიდეორადიო
22.00 ინფორმატორი
22.30 პოლიტპაპარაცი
23.00 უცნობი
00.00 ფილმი ბრავო „საბედისწერო ქალი"
01.45 ფილმი ღამურა „ქალაქური ლეგენდები"
03.45 პაუზის გარეშე

### მეორე არხი

19.00, 22.00 „მოამბე" მეორე არხზე
19.10 მულტფილმი
19.40 სერიალი „ოჯახური ურთიერთობები"
20.30 მოგზაურობა სასიტყვეთში
21.00 ჯანმრთელობა
21.30 დოკ. ფილმი
22.10 ჰიტ. პარადი
22.20 მხ. ფილმი „დიდიე"

### იბერია

08.00 ანონსი, მულტფილმი
08.15 აღსავალი
08.20, 10.15, 12.30, 17.20, 17.50, 18.30, 19.30, 21.35, 00.05 მუსიკა
08.30 მხ.ფ. „ნოსტალგია მამილოზე"
10.20 მხ.ფ. „გულები ატლანტიდაში"
13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00 ახალი ამბები
13.10, 18.00 მულტფილმი
14.10 დოკუმენტური ფილმი
17.30 დოკ. სერიალი
18.45 ბუნების ფერები
20.00 მხ.ფ. „ცისფერთვალება მიკი"
22.30 „ბურთი მოედანი"
22.50 მხ.ფ. „ჰარტის ომი"
00.30 ღამის ფილმი

### კავკასია

12.00 ინდური მხ. ფილმი „შურისძიების წყურვილი"
15.00 მხ. ფილმი „გატაცება 60 წამში"
17.00, 19.00, 20.30, 00.00 „დღეს"
17.15 მხ. ფილმი „ნიღაბი"
19.20 სპექტრი
21.00 მხ. ფილმი „ფლაბერი"
22.30 მხ. ფილმი „დრაკონის კოცნა"

### მეცხრე არხი

10.00 რუსული მხ. ფილმი „კუზიანი ცხენი"
11.15, 16.15, 18.50, 23.45, 01.50 მუსიკა
11.30 „მსოფლიო ფეხბურთი"
12.00 მხ. ფილმი „ზვიგენის თავდასხმა 2"
13.30 მულტფილმი „წითელქუდა"
14.30, 17.30, 20.30, 00.00 დღის ამბები
14.45 მხ. ფილმი „უკანასკნელი მოგზაურობა"
16.30 დოკ. სერიალი „ველური ბუნება"
17.45 მხ. სერიალი „ზურგის ქარი" 53-ე სერია
18.30 მულტფილმი „ოზის ჯადოქარი" 1-ლი სერია
19.00 მხ. სერიალი „მოჯადოება" 96-ე სერია
20.00 გადაცემა „მსოფლიო რაგბი"
21.00 მხ. სერიალი „ადვოკატი პორტა" 1-ლი სერია
21.50 „მსოფლიო კულტურის საგანძური". „განდიაგარა, დოგონების სამყარო. მალი"
22.00 მხ.ფ. „მგზნებარე გონება"
00.05 მხ.ფ. „ლაბირინთი"

### აჭარა

08.00 კონცერტი
09.00, 19.00, 22.00, 00.00 „დღეს"
09.30 სათავგადასავლო ფილმი „ინდიანა ჯონსი"
11.25 დოკუმენტური ფილმი
12.00, 16.00 საინფორმაციო გამოშვება
12.10 კომედია „ტრაგიკული ფანტოცი"
13.55 მხატვრული ფილმი „ვინ ვარ მე?"
16.10, 19.30, 22.50, 00.50 საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე
16.15 მულტფილმი „აბა, დამაცადე!"
17.30 მელოდრამა „ვალსი"
19.20, 22.30, 00.30 „ნოვოსტი"
19.40 ისტორიული ფილმი „რევოლუცია"
23.00, 00.00 საინფორმაციო გამოშვება გერმანულ ენაზე
23.05, 01.00 საინფორმაციო გამოშვება ფრანგულ ენაზე
23.10 „ალტერნატივა"
01.10 მელოდრამა „წითელი და შავი" 1 სერია
03.00 საინფორმაციო დაიჯესტი
03.30 ფანტასტიკური საგა „მთიელი"

### VII არხი

09.10 „აჩიკუდა"
09.35 აუდიო-ვიდეო-ტელე
10.10 სპორტი
10.15 მელოდია
10.45 საყოფაცხოვრებო ტექნიკა
11.15 „ობიექტივი"-სტუმარი (განმეორებით)
12.05 კომპიუტერული ტექნიკა
12.45 დისნეი და მისი მეგობრები
13.15 მობილურები
18.20 აუდიო-ვიდეო-ტელე
19.00 „აჩიკუდა"
19.35 კომპიუტერული ტექნიკა
20.20 სპორტული პროგრამა - „ევროპული ფეხბურთი" - ესპანეთის ჩემპიონატის მიმოხილვა
21.05 „ლა-ლა-ლა"
22.00 საყოფაცხოვრებო ტექნიკა
22.25 „კინოკლუბი „ - „ტიტანიკი" - 1 სერია.
23.50 მობილურები 00.35 „გიორითმი" - ალსუ.

### ОРТ

16.00 Новости
16.15 Комедия „Папаша из Ниццы"
18.00 „Большая стирка"
19.00 Вечерние новости
19.30 „Шутка за шуткой"
20.00 Жди меня
21.00 „Кто хочет стать миллионером?"
22.00 Время
22.40 Сериал „Русские в Городе Ангелов"
23.45 „Живой Высоцкий", 1 с.
00.30 Ночное „Время"
00.50 „Наши в Голливуде". Спецрепортаж
01.20 „Новый день". Чаплин и Гитлер
02.20 „Апология"

### РТР

12.45 Вести недели
13.35 Вера, надежда, любовь
14.30 Вести-Москва. Неделя в городе
15.00, 18.00, 21.00 Вести
15.20 „Что хочет женщина"
16.10 Сериал „Комиссар Рекс"
17.15 Сериал „Простые истины"
17.45 Экспертиза
18.20 Дорожный патруль
18.35 Вести-спорт
18.45 Вести. Дежурная часть
19.20, 21.30 Местное время. Вести-Москва
19.50 Сериал „Трое против всех"
20.45 Вести. Дежурная часть
21.50 Спокойной ночи, малыши!
21.55 Сериал „Леди Бомж"
22.50 Сериал „Дневник убийцы"
23.50 „Вести +"
00.20 Вести-спорт
00.30 Детектив „Место встречи изменить нельзя"
01.55 Фигурное катание. Чемпионат Европы. Пары. Короткая программа

### НТВ

09.35 Утро на НТВ
10.15 Игра „Один за всех"
11.00 Сегодня утром
11.25 Погода на завтра
11.30 „Намедни"
13.00, 15.00, 18.00, 20.00 Сегодня
13.05 Сериал „Досье детектива Дубровского"
15.05 „Женский взгляд". Алла Сурикова
15.35 Детектив „Она написала убийство"
16.35 „Дети Интернета". Ток-шоу „Принцип „Домино"
18.05 Сериал „Гангстерские войны: особенности национальной разборки"
19.20 „Внимание! Розыск!" „Рожденный вором"
20.35 Сериал „Право на защиту"
21.45 Сериал „Улицы разбитых фонарей". „Попутчик"
23.00 Сегодня вечером
23.35 Сериал „Секс в большом городе"
00.15 Детектив „Право на защиту"
01.20 Гордон















# სახლი ჩემი ციხე-სიმაგრეა

კევინ კოსტნერმა უკვე დიდი ხანია, იპოვა თავისი ოცნების სახლი და ციხე-სიმაგრე. ვილა, რომელშიც კოსტნერი ცხოვრობს, ლოს-ანჯელესთან ახლოს, ჰოლივუდის მთებში მდებარეობს. Casa di Pace – მშვიდობის სახლი – ასე ჰქვია მას. ის წინათ მსახიობ რიჩარდ დრეიფუსს ეკუთვნოდა. კოსტნერმა კი, როგორც კი რეზიდენცია დაათვალიერა, მიხვდა, რომ მეუღლესთან დაშორებას ყველაზე უკეთ სწორედ ეს მშვიდი გარემო გადაატანინებდა. ამიტომაც თანხა ისე გადაიხადა, არც დაფიქრებულა.

"მშვიდობის სახლი" ორსართულიანი, კრამიტით გადახურული, ბრიტანულ-კოლონიალური სტილის შენობაა, რომელსაც ულამაზესი, მწვანეში ჩაფლული, რამდენიმე ნაწილად დაყოფილი ეზო აკრავს გარს. ზედ კართან, ქვის ოთხკუთხა ფილებიან ნაკვეთზე შადრევანი ჩქეფს, იქვეა ტრადიციული ინდური აუზი და უამრავი, ეგზოტიკური ჯიშის მცენარე. როგორც მსახიობი ამბობს, "მშვიდობის სახლი" მის უზარმაზარ თეთრ ლაბრადორს – უაიტსა და შვილებს მამაზე არანაკლებ ამშვიდებს.

"ხალხი ფიქრობს, რომ მე ზედმეტად ამერიკელი ვარ. შეიძლება, მართლაც ასეა. მაგრამ ხანდახან იმაშიც ვრწმუნდები, რომ რაღაცით რენესანსის ეპოქის კაცსაც ვგავარ", - აღიარებს მსახიობი და ეს რენესანსული განწყობა მის ვილაშიც იგრძნობა: მასიური შავი ფერის ხის პირსაბანი, ძველებური თასებით, ჩუქურთმებით, მოწნული სკივრებით; იგივე, შავი ხის მასალისგან დამზადებული უზარმაზარი საწოლი – ჩუქურთმიანი, მაღალი სვეტებითა და თაღით. ეს საწოლი, მართლაც ისე ამკვიდრებს ოთახში რენესანსის ეპოქის განცდას, რომ თვალი ძლივს ეჩვევა ძველებურ კომოდზე სუპერთანამედროვე ტელეფონს. თუმცა, ეს სწორედ ის კონტრასტია რენესანსსა და თანამედროვე ამერიკას შორის, რომელზეც კოსტნერი ზემოთ საუბრობდა და რომელიც თავისი პიროვნების სადემონსტრაციოდ მან თავის "მშვიდობის სახლშიც" დაამკვიდრა.

მით უფრო, რომ პირსაბანსაც და საძინებელ ოთახსაც, რენესანსულობის გარდა, თავისებური ეგზოტიკაც მოაქვს – საწოლის მასალა, შავი ხე ფილიპინებიდან არის ჩამოტანილი, პირსაბანის ზემოთ მოთავსებული სარკე მაროკოულ ჩარჩოშია მოთავსებული, თვითონ მაგიდა კუნძულ ბალიდან გახლავთ, ხეზე ამოჭრილი ჩუქურთმები კი – შრი ლანკიდან.

რაც შეეხება აბაზანას, ძველი დროის სიმბოლო იქ ჩუქურთმიანი პირსახოცის საკიდი და მცენარეებისთვის განკუთვნილი ძველებური თუნგებია. თვითონ საშხაპე კი ბულგარული კირქვისგან არის დამზადებული და ჰარმონიულად ერწყმის დიდ, თეთრ ფილებიან იატაკს. თუმცა, ამ ოთახში რაც ყველაზე მეტად მოგხიბლავთ, არის სივრცე, დომინანტი ნათელი ფერები, გემოვნებით შერჩეული მცენარეები და სინათლე, რომელიც იატაკიდანვე დაწყებული უზარმაზარი ფანჯრიდან შემოდის.

მიუხედავად იმისა, რომ კევინ კოსტნერს სახლი თავიდანვე მოეწონა, მაინც დაუკავშირდა დიზაინერ ჯეფრი ბიკროფტს (ფილმების "პირადი მცველისა" და "ცეკვა მგლებთან" მხატვარ-დეკორატორს) და რაღაც-რაღაცეების შეცვლა სთხოვა. სწორედ ბიკროფტმა მოაცილა მტვერი ძველ, ნავთის ლამფებს, ისინი მინაში მოათავსა, გრძელ, მოწნულ ჯაჭვზე დაკიდა, მაღალი ჭერიდან ძირს ლამის მაგიდამდე დაუშვა და ძალზე ორიგინალურ ჭაღად აქცია. ბიკროფტის გამოგონება ახლა კოსტნერის სასადილო და სამზარეულოს ინდურ მაგიდებს ამშვენებს.

"მიყვარს ისეთი გარემო, რომელიც ადამიანებს ერთად ყოფნისკენ უბიძგებს", - ამბობს მსახიობი. მისი სასტუმრო ოთახი, ისევ და ისევ, მაღალი ჭერით, თეთრი კედლებით, დიდი ფანჯრებითა და კარით – მოკლედ უამრავი სივრცითა და სინათლით, სწორედ ამგვარ განწყობას ქმნის. ოთახში დგას კომფორტული დივანი და კოსტნერის საყვარელი მასალის – შავი ხისგან დამზადებული სავარძლები და დაბალი მაგიდა.


სასტუმრო ოთახი.


აბაზანა.


სახლის გარე ხედი.

იქვეა შავი თიხის უზარმაზარი ქოთანი, პალმის რტოებით.

ბუნებრივია, ეს გარემო, რომლის შესახებ შთაბეჭდილებას ფოტოებიდანაც მშვენივრად შეიქმნით, კოსტნერს ყველანაირი პრობლემის დაძლევაში დაეხმარება. ახლა, როდესაც ვილა უკვე მართლაც მის საკუთრებად იქცა, მსახიობი იგონებს: "სანამ თანხმობას განვაცხადებდი, აგენტს ვთხოვე, ფულის გადახდამდე სახლში ერთი ღამის გათევის უფლება მოეცა. მეგონა, ეს ჩემს ცხოვრებაში ყველაზე მარტოსული ღამე იქნებოდა. იმ პერიოდში ხომ ცუდი ამბები ერთბაშად დამატყდა თავს. თუმცა, ჩემი შიში არ გამართლდა. ფაქტობრივად, სწორედ ამ სახლმა მიხსნა". მსახიობს გადაწყვეტილების მიღებაში შვილებიც დაეხმარნენ: "როდესაც ვილა ჯოს დავათვალიერებინე, აღფრთოვანებულმა ბავშვმა შეჰყვირა: "მამა, ეს ხომ ნამდვილი სამეფოა". ამოვისუნთქე. მივხვდი, რომ ეს გარემო ცხოვრების უკეთესისკენ შეცვლაში დამეხმარებოდა", - იგონებს კოსტნერი.

დღეს კევინ კოსტნერი ისევ ბედნიერად ცხოვრობს თავის "მშვიდობის სახლში" და ახალ ჰოლივუდურ პროექტებზე მშვიდად მუშაობს. 2003 წელს გამოვა ლორენ პაინის რომანის მიხედვით გაკეთებული ფილმი Open Range, რომელსაც კოსტნერი თავად იღებს და მთავარ როლსაც თავად განასახიერებს.

# სიმპსონების ოჯახის ახალი შანსი


სიმპსონების ოჯახი

მამა ჰომერი, დედა მერჯი, შვილები – ბარტი, ლიზა და პატარა მეგი 14 წელზე მეტია, ყოველ კვირა საღამოს ტელე-ეკრანებთან მილიონობით ამერიკელს უყრიან თავს. მიუხედავად შოუს ასეთი ხანგრძლივობისა, სიმპსონების ოჯახის სატირული ისტორიები აუდიტორიას არასდროს ბეზრდება. მეტიც, ახლახან ტელეკომპანია "ფოქსმა" "სიმპსონებს" ვადა კიდევ უფრო გაუხანგრძლივა და ამერიკელებს ნება მისცა, საყვარელი გმირების ახალ-ახალ ამბებს კვირაობით 2005 წლის ზაფხულამდე უცქირონ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ შესაძლოა, "სიმპსონები" მალე აშშ-ს ტელევიზიის ისტორიაში ყველაზე ხანგრძლივი შოუ გახდეს. ამ ტიტულს წინათ "ოზი და ჰარიეტის თავგადასავლები" ფლობდა – ეს სიტკომი 1952-1966 წლებში, ტელე-ეთერში შეუფერხებლად გადიოდა. თუმცა, ახლა, "სიმპსონების" არნახული პოპულარობის გამო, "ოზის" ამბები საუკეთესო სამეულში მეორე ადგილზე ჩამოქვეითდა. მესამე ყველაზე ხანგრძლივი შოუ აშშ-ს სატელევიზიო ისტორიაში კი სერიალი M*A*S*H გახლავთ.

"სიმპსონები" პოპულარობით "ფლინტსტოუნსსაც" უსწრებს – პირველ ანიმაციურ ტელე-სერიალს, რომელიც აშშ-ს სატელევიზიო ქსელის ეთერით 1960-66 წლებში დიდი წარმატებით გადიოდა და რომელიც მთელი ამერიკის საყვარელი შოუ იყო.

იმ ფაქტს რომ "სიმპსონები" კონკურენტ ტელე-შოუებს წლების განმავლობაში იოლად ამარცხებენ, ტელევიზიის ისტორიკოსი, ტიმ ბრუკსი ასე ხსნის: "სიმპსონებს", შეიძლება ითქვას, უნიკალური პერსონაჟები ჰყავს. ისინი არასდროს ბერდებიან. ამიტომაც უძლებს შოუ დროს". თუმცა, ალბათ, "სიმპსონების" წარმატების არანაკლებ მნიშვნელოვანი მიზეზი გონივრულად შედგენილი სცენარებიც გახლავთ. ეს ანიმაციური ფილმი ხომ ამერიკულ პოპ-კულტურას დასცინის და ყოველთვის ახალ-ახალი, დროული თემატიკით გამოირჩევა. ბევრს ყველაზე მეტად სიმპსონებთან სტუმრად მისული ვარსკვლავების ხილვა მოსწონს. მართლაც, ხშირად ხომ არ მონაწილეობენ ანიმაციურ ფილმებში ჯეიმს ბრაუნი, რინგო სტარი, მერილ სტრიპი, "სმეშინგ ფამფქინსი", "როლინგ სტოუნზი" და კიდევ ათასი სხვა.

თუმცა, არის კიდევ ერთი რეკორდი, რომელიც "სიმპსონებმა" სრული ტრიუმფისთვის აუცილებლად უნდა მოხსნას – შოუმ უნდა დაამარცხოს სერიალი Gunsmoke, რომელიც "სიბიესის" არხზე 20 წლის განმავლობაში შეუფერხებლად გადიოდა და რომელიც დღეს გარკვეული სცენარის მქონე, ყველაზე ხანგრძლივი შოუს ტიტულს ფლობს.

# გაუდი მანჰეტენზე

ტერორისტული აქტის შედეგად დანგრეული ნიუ-იორკის "მსოფლიო სავაჭრო ცენტრის" ადგილას კატალონიის მთავრობამ ნიუ-იორკს დიდი არქიტექტორის, გაუდის პროექტის მიხედვით ცათამბჯენის აშენება შესთავაზა.

მეოცე საუკუნის დასაწყისში გაუდიმ თავისი ცათამბჯენი, სწორედ მანჰეტენისთვის ჩაიფიქრა. პროექტზე მუშაობა 1908-1911 წლებში მიმდინარეობდა. დამკვეთი ორი მდიდარი ამერიკელი მეწარმე იყო, ორივე - მისი ხელოვნების დიდი თაყვანისმცემელი.

გაუდის ესკიზებზე შენობა 360 მეტრის სიმაღლისაა და Hotel Atraction ჰქვია. ის გაუდის ყველაზე ცნობილ ქმნილებას – ბარსელონას წმინდა ოჯახის ტაძარს მოგვაგონებს, შედგება ვარსკვლავით დამშვენებული მთავარი კოშკისა და მასთან დაკავშირებული რვა ერთგვაროვანი შენობისგან.

კოშკში უნდა განლაგებულიყო ოთხი რესტორანი, მსოფლიოს ხუთივე კონტინენტის კულტურათა მუზეუმი, საგამოფენო და საკონცერტო დარბაზები. ღრმად მორწმუნე არქიტექტორმა პროექტის შექმნისას არც ნიუ-იორკის მრავალკონფესიური წყობა დაივიწყა და თავის შენობაში ტაძრების გახსნაც დაგეგმა: ქრისტიანული – კათოლიკების, პროტესტანტებისა და მართლმადიდებლებისთვის, ბუდისტური, ინდუისტური, მუსულმანური და იუდაისტური. კოშკის ირგვლივ განლაგებული შენობები საცხოვრებლად და საოფისე ფართად იყო ჩაფიქრებული.

ეს პროექტი რომ განხორციელებულიყო, გაუდის ქმნილება მანჰეტენის პირველი ნამდვილი ცათამბჯენი იქნებოდა.


"საგრადა ფამილია"

ამჟამად გაუდის პროექტის მიმართ ინტერესი იმანაც გააძლიერა, რომ ნიუ-იორკში მისი 100 წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენაა გახსნილი. გარდა ამისა, მანჰეტენის დანგრეულ ზონაში ასაშენებელი შენობების კონკურსზე გამარჯვებული ჯერაც ვერ გამოვლინდა.

# სავარძელი, რომელიც ნაპოლეონს არწევდა

გუშინ ბირმინგჰემში, ნაციონალური გამოფენის ცენტრში, ანტიკვარიატის უდიდესი ექსპოზიცია-ბაზრობა დაიხურა, რომელიც 15-19 იანვარს მიმდინარეობდა. ექსპერტთა ყურადღებას წინასწარვე იპყრობდა ერთი ექსპონატი – სარწეველა სავარძელი, რომელიც, როგორც ვარაუდობენ, ნაპოლეონს ეკუთვნოდა.

ავეჯის სპეციალისტთა განმარტებით, ამ სკამს ნაპოლეონი იყენებდა წმინდა ელენეს კუნძულზე გადასახლების შემდეგ, რომელსაც მან 1815 წელს, ვატერლოოს ბრძოლაში საბოლოო დამარცხების შემდეგ შეაფარა თავი. აბსოლუტურად ჩვეულებრივ ტყავის სავარძელს, რომელიც რკინის ფეხებზე დგას, სამეფო ნიშანი NB ამშვენებს.

ექსპერტთა ცნობით, იმპერატორობის ხანაში ნაპოლეონის ავეჯს ტრადიციულად ასო N ამშვენებდა. თუმცა, დამარცხების შემდეგ მის ნივთებზე უკვე სიმბოლო NB გაჩნდა – იმ ფაქტის სადემონსტრაციოდ, რომ გაქცეული იმპერატორი მხოლოდ უტიტულოდ დარჩენილი ნაპოლეონ ბონაპარტე იყო.

საერთაშორისო ბაზრობაზე ეს იშვიათი ექსპონატი კომპანია Reindeer Antiques წარადგინა. მისი წარმომადგენლის ნიკოლას ფულერის განმარტებით: "ეს პერიოდი სტილისა და დიზაინის ნაზავით გამოირჩევა. ამიტომაც გამოიყურება ნაპოლეონის სკამი ასე თანამედროვედ". ის ბოლომდე ვერ ამტკიცებს, რომ სკამი ნამდვილად ნაპოლეონს ეკუთვნოდა, მაგრამ აცხადებს, რომ არსებული ცნობები სწორედ ასეთი დასკვნის გაკეთების საშუალებას იძლევა.

გამოფენა-გაყიდვა, რომელიც გუშინ დაიხურა, მოეწყო ხელოვნებისა და ანტიკვარიატის დილერების ასოციაციის ეგიდით, რომელიც LAPADA-ს სახელით უფროა ცნობილი. ფასები 50-100 ათას გირვანქა სტერლინგს შორის მერყეობდა. ყველაზე იაფი ვიქტორიანული ეპოქის ვერცხლის დანა-ჩანგალი ღირდა, ყველაზე დიდი ფასი კი მე-18 საუკუნის მხატვრობის ტილოებს ედო.

თუმცა, არანაკლებ საინტერესო ექსპონატები იყო წარმოდგენილი სხვა სფეროებშიც. ფაიფურის ფიგურები და ვენეციური სარკეები, იშვიათი და ძვირფასი ხის კომოდები, შიფონერები, საათები და ვერცხლის ნივთები. გამოფენაზე აშკარა მხიარულება შეიტანა 1833 წლით დათარიღებულმა სტაფორდშირულმა ფაიფურის ფიგურამ – ეს უზადო ფერებითა და ფორმებით შესრულებული ზანგის ბიჭუნა მონობის გაუქმების გამო მუხლზე დაჩოქილა და ღმერთს მადლობას სწირავს. საერთო მოწონება დაიმსახურა 1810 წლით დათარიღებულმა, ინგლისურმა ბანქოს მაგიდამაც, რომელიც ვარდის ხისგან არის დამზადებული. ბევრს მოუნდა, დაპატრონებოდა საუკუნის დასაწყისში შექმნილ ფრანგულ ასო X-ის ფორმის გადაბმულ უზურგო, დაბალ სკამს, რომელიც ლითონის ფეხებზე დგას და შეყვარებულებისთვისაა განკუთვნილი.

## კალეიდოსკოპი

### პოლიტიკური კორექტულობის ამბავია

ბილეფელდის დისკოთეკაზე გადაწყდა, რომ მის გერმანია 2003-ის საპატიო წოდებას 19 წლის მიუნხენელი ლამაზმანი, ალექსანდრა ვოდიანიკოვა იმსახურებს. გვირგვინის მოსაპოვებლად ალექსანდრა 17 რეგიონალურ სილამაზის დედოფალს შეერკინა და აი, გაიმარჯვა კიდეც.

მას-მედია რატომღაც ხაზგასმით აღნიშნავს მის ორ გამორჩეულ ნიშანს - ფეხის ზომას (38) და უჩვეულო ჰობის – ალექსანდრას კიკბოქსინგი ჰყვარებია. ისე, ოცნებაც მოულოდნელი ჰქონია: გერმანიის ულამაზეს ქალს სადამ ჰუსეინთან შეხვდრა უნდა, უნდა გაესაუბროს იმის შესახებ, რომ ბიოლოგიური იარაღი ძალიან საშიშია და უმჯობესი იქნება, თუ გაეროს ინსპექტორებს მუშაობას დააცდის.

### მშვენიერი ლოთი ქალი

ბანკოკის ერთ-ერთ უდიდეს სუპერმარკეტში, "მის ლოთის" წოდების მოსაპოვებლად ჩატარებული კონკურსის დასკვნით ტურში თხუთმეტმა ტაილანდელმა ქალმა მიიღო მონაწილეობა. კონკურსის პირობების გამკაცრებისთვის ქალებს ტრადიციული ტაილანდური, ანუ გრძელი, აბრეშუმის კაბები ეცვათ და თმასაც მაღალი თავსაბურავი უმშვენებდათ.

გამარჯვებულად გამოცხადდა 36 წლის შრიარანი, რომელმაც 7 წამში 5 ჭიქა ტაილანდური ღვინის დალევა შეძლო და ღვინის ბოთლების მიხვეულ-მოხვეულ გზაზე ისე გაიარა, რომ არცერთი არ წაუქცევია.

ჯილდოს – დაახლოებით 150 ამერიკული დოლარის მიღების შემდეგ, "მის ლოთმა" პრეს-კონფერენცია გამართა. მან ჟურნალისტებს მოახსენა, რომ დალეული ღვინო თითქმის არ მოჰკიდებია, უბრალოდ, სასიამოვნოდ იყო აღგზნებული, როგორც ორი ჭიქა ყავის შემდეგ. მისი თქმით, ტაილანდური ღვინო გემოთი ყველაზე მეტად ტკბილ ფორთოხლის წვენს წააგავს.

ადგილობრივი პარლამენტის წევრებს მიაჩნიათ, რომ ასეთი კონკურსები ქვეყნის იმიჯს ვნებს, და ამიტომ მათ არსებობას ხმამაღლა აპროტესტებენ. მაგრამ თავად კონკურსის ორგანიზატორები ძალიან კმაყოფილი არიან. ისინი თვლიან, რომ მათი შეჯიბრება ტაილანდური ნაციონალური სასმელების საუკეთესო სარეკლამო საშუალებაა. ისინი მოსახლეობას მოუწოდებენ, თავი შეიკავონ უცხოური, მაგარი ალკოჰოლის მოხმარებისგან.

### Too Many Cooks

ლონდონში ცნობილი მუსიკოსების ჯერაც უცნობი სიმღერა "წამოტივტივდა". ფირფიტებით მოვაჭრემ - 34 წლის ტომ ფიშერმა ბრიტანულ პრესის ასოციაციას მოახსენა, რომ ოთხი წლის წინათ 20 გირვანქა სტერლინგად შეიძინა Too Many Cooks, რომელსაც მიკ ჯაგერი და ჯონ ლენონი მღერიან. 1974 წელს გაკეთებული ჩანაწერის "ნამდვილობა" ჯაგერმა დაამოწმა.

ტომ ფიშერს გადაწყვეტილი აქვს, რომ მის გაყიდვას 20 თებერვალს დაიწყებს. მისი თქმით, ჯაგერმა მაშინ იმღერა ლენონის გიტარის აკომპანიმენტის ქვეშ, როცა ამ უკანასკნელსა და მის ცოლს, იოკო ონოს შორის "გაუცხოება" მოხდა. სიმღერის ტექსტის ავტორი ვილი დიქსონი გახლავთ.

**დღეს**
ორშაბათს, 20 იანვარს




1265 წელი: უესტმინსტერში ინგლისის პირველი პარლამენტი შეიკრიბა.

1885 წელი: ნიუ-იორკში, კონი აილენდზე, მსოფლიოში პირველად გაიხსნა ატრაქციონი, "ამერიკული მთები".

1981 წელი: ირანში, 444-დღიანი ტყვეობის შემდეგ, 52 ამერიკელი მძევალი გაათავისუფლეს.

1987 წელი: ბეირუთში მძევლად აიყვანეს ინგლისის ეკლესიის დესპანი ტერი უეიტი.

1996 წელი: იასირ არაფატი პალესტინის პირველი, დემოკრატიული წესით არჩეული ლიდერი გახდა.

2001 წელი: ფილიპინების პრეზიდენტი ჯოზეფ ესტრადა სახალხო შფოთის შედეგად თანამდებობიდან გადადგა. მას 11 მილიონი დოლარის ოფიციალური ქრთამის აღებაში ადანაშაულებდნენ.

© GRAPHIC NEWS

# ბიუსტჰალტერი - მამაკაცის აქსესუარი



ვივიენ ვესტვუდის მოდელები





ევა ჰერციგოვა

სკანდალი ატყდა ცნობილი დიზაინერის ვივიენ ვესტვუდის გარშემო. მაღალი მოდის კვირეულზე დიზაინერმა წარმოადგინა მამაკაცის ტანსაცმლის ახალი კოლექცია, სადაც ბიუსტჰალტერს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. მამაკაცებმა თავიანთი გარდერობის ეს დეტალი თურმე გრძელმანჟეტიანი სვიტერის შიგნით უნდა ატარონ. ამ კოლექციამ დიზაინერთა შორის დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია. სპეციალისტთა გარკვეული წრის აზრით, აუცილებელია შეიზღუდოს დიზაინერთა ფანტაზიის საზღვრები.

ფანტაზიას არც მილანელი დიზაინერები, დოლჩე და გაბანა უჩივიან. მოდის კვირეულზე მათი ორიგინალური მოდელები ევა ჰერციგოვამ წარადგინა. მას ძირითადად შავი ფერის ორიგინალური კოსტუმები ეცვა. თუმცა, ვესტვუდის გიჟური იდეების გამო, ასე პიკანტურად გამოწყობილმა ჰერციგოვამაც კი ვერ შეძლო ბიუსტჰალტერიანი მამაკაცების დაჩრდილვა.

## ვლადიმირ ვისოცკის ხსოვნას

გუშინ მოსკოვში, გაერთიანება "ფოტოცენტრში", გაიხსნა გამოფენა "ვლადიმირ ვისოცკი. ცხოვრება", რომელზეც ამ მსახიობის, მომღერლის, პოეტის, მუსიკოსის და, რაც მთავარია, არაჩვეულებრივი ადამიანის 100 ფოტოსურათია წარმოდგენილი, ძირითადად, რეპორტაჟული ხასიათისა.

გამოფენა, რომელიც 26 იანვრამდე გაგრძელდება, მის 65-ე წლისთავს ეძღვნება, ხოლო 2003 წელი ვისოცკის წლადაა გამოცხადებული.

## ოქროს სარჭი ფოტოგრაფისთვის

გერმანელმა კინოდოკუმენტალისტმა და ფოტოგრაფმა, 100 წლის ლენი რიფენშტალმა წყალქვეშა გადაღების ხელოვნებაში შეტანილი წვლილისთვის ჯილდო მიიღო. შაბათს, დიუსელდორფში გახსნილ წყალქვეშა სპორტის საერთაშორისო გამოფენა-ბაზრობაზე Boot-2003 მას "საპატიო ოქროს სარჭი" გადასცეს. ამ ცერემონიაში მონაწილეობისთვის ქალბატონი რიფენშტალი კენიიდან საგანგებოდ ჩამოვიდა.

გერმანელ ნაცისტთა პარტიული ყრილობების გადაღებების გამო "სადავო" რეჟისორმა და კინოდოკუმენტალისტმა ლენი რიფენშტალმა წყალქვეშა გადაღებებს 75 წლის ასაკში მიჰყო ხელი.

## სკანდინავიური კროსვორდი



Visage
ესთეტიკური კოსმეტოლოგიის ცენტრი "ვიზაჟი"

პირველად საქართველოსა და ამიერკავკასიაში მაღალი ტექნოლოგიის პროფესიულ პროგრამას "Danne Montague-King"

MATTIOLLI ENGINEERING
მიკროკრისტალურ დერმოგრაზიას "Aesthipeel"

- მეზოთერაპია
- სხეულის კორექცია არაქირურგიული, ინტელექტუალური სისტემით "ЭСМА"
- ელექტრო ეპილაცია "BLEND, Flash"
- გამონაყარი, აკნე, ფერიმჭამელები, ფორიანობა, პიგმენტური ლაქები, ნაოჭები, კანის მოდუნება, ლოკალური ცხიმების დაგროვება, ცელულიტი, ორსულობის შემდგომი სტრიები, ნაწიბურები, კანის მოვლა პოსტოპერაციულ პერიოდში.

ფალიაშვილის 98, TEL 91-24-20, 25-27-02, მობილური 899-56-18-52

თქვენი რეკლამა ჩვენს გაზეთში
20-24-24
20-00-24

წამალი "სალხინო"
ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,

მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.
"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.
"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.
წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.
წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.

